ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

ყოველკვირეული სპორტული გაზეთი 16-22 თებერვალი, 2009 №7 (3500) ფასი 1 ლარი


საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

**23 თებერვლიდან სარბიელი გამოვა კვირაში ორჯერ: ორშაბათს და ხუთშაბათს**

## დინამო 4 სიონი 1



## გიორგი მერებაშვილმა ჰეთ თრიქი იშიშვლა და...

## სანამ პიიტია დაგვაყარალებდა, იაშვილმა სამი წამით დაიგვიანა







## ხანჯალიაშვილი მეორედ წავიდა და პირველად დაბრუნდა!

## პორტუგალიამ 20:20-ით გაგვაოცა





# მჭედლიძემ უკვე ტრენაჟორი დაიწყო

**ლევან მჭედლიძე** მძიმე ტრავმას გადაურჩა.

გეცოდინებათ, 18 წლის ფორვარდმა ორიოდ კვირის წინ „პალერმოს" ვარჯიშზე ჯვარედინი მყესები დაიზიანა და ტკივილისგან ისეთი სიმწრით უყვირია, ვარჯიში ცოტა ხანს შეწყვეტილა კიდეც.

და აი, ახალი ამბავიც: ლევანმა უკვე დაიწყო ვარჯიში — როგორც ფეხბურთელის მამამ, კარლო მჭედლიძემ გვითხრა, ტრენაჟორებზე ემზადება.

**ილია ნანოზაშვილი**

# დავით სირაძეს ტერეკი ჩაეშალა

**გროზნოს** „ტერეკში" თითქმის გადასულ დავით სირაძეს ტრანსფერი ჩაეშალა.

მხარეებმა კონტრაქტის პირობებზე ვერ მოილაპარაკეს და ახლა საქართველოს ნაკრების თავდამსხმელს სხვა გუნდის მოძებნა მოუწევს.

სირაძე აქამდე ნალჩიკის „სპარტაკში" თამაშობდა, თუმც კონტრაქტი დაუმთავრდა და „ტერეკსაც" ამიტომ მიაშურა.

ვნახოთ, რა მოხდება... გროზნოელები კი იმედს მაინც არ კარგავენ, რომ ქართველ ფეხბურთელს დაიყოლიებენ.

**კახა ზალამბერიძე**

# მალხაზ ასათიანმა სიომინი გააკვირვა



**ესპანურ** მარბელაში მყოფმა კიევის „დინამომ" დანიურ „ესბიერგთან" ამხანაგურ მატჩში 0:0 ითამაშა.

უკრაინული გუნდის ქართველი ახალწვეული მალხაზ ასათიანი სრულად გაისარჯა და კარგადაც წარმოაჩინა თავი.

მწვრთნელმა იური სიომინმა „დინამოს" ოფიციალურ ვებგვერდს ეს უთხრა: „მართალი გითხრათ, არ ველოდი, მალხაზი ფიზიკურად ასე კარგად თუ იქნებოდა მომზადებული. ასათიანმა დამაჯერებლად ითამაშა და დაცვაში საიმედოდ გამოიყურებოდა".

კომენტარი გააკეთა თავად ასათიანმაც: „წლეულს ეს ჩემი პირველი თამაში გახლდათ. ცხადია, ცოტა გამიჭირდა — მე ხომ ვარჯიში სულ ორიოდ დღის წინ განვაახლე. ვგრძნობ, რომ მომატება კიდევ მჭირდება და იმედია, უკრაინის ჩემპიონატს სრულ მზადყოფნაში შევხვდები".

**კახა ზალამბერიძე**

# ფედერაციის 19-წლისთავი ფედერაციის გარეშე

**კვირას,** 15 თებერვალს, „ცოდნის" დარბაზში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობის დელეგატები შეიკრიბნენ და ქართულ ფეხბურთში არსებულ პრობლემებზე ისაუბრეს.

მიწვეულ სტუმართა შორის იყვნენ „ჩვენი ფეხბურთის" ხელმძღვანელი ლევან ყიფიანი და „გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს"-ის პრეზიდენტი მამუკა კვარაცხელია. ცხადია, სხდომას ესწრებოდა ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგის აღმასრულებელი დირექტორი ზურაბ პეტრიაშვილიც.

საინტერესოა, რომ შეკრებაზე არ მისულა ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობის არცერთი წარმომადგენელი.

შეგახსენებთ: საქართველო იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე, 1990 წლის 30 მარტს პირველი ეროვნული ჩემპიონატი დაიწყო.

**ოთარ მხეიძე**

# იაშვილმა არველაძეები ერთმანეთს დააშორა

## სამი წამი ახალ რეკორდამდე

**ალექსანდრე იაშვილის** ირლანდიასთან გატანილმა გოლმა, სამწუხაროდ, ქულები ვერ მოგვიტანა, თუმცა გოლი, თავისთავად, ყოველთვის მნიშვნელოვანია.

იმ გოლმა მაშინვე გააჩინა ასეთი კითხვაც — არის თუ არა, ეს უსწრაფესი გოლი საქართველოს ნაკრების ისტორიაში?.

იაშვილმა ბურთი 45-ე წამზე გაიტანა.

ჩვენს ეროვნულ გუნდს მატჩის პირველ წუთზე აქამდე მხოლოდ ერთხელ ჰქონდა გატანილი — შოთა არველაძემ 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში, თბილისში, ბულგარელებს რომ გაუტანა და ის გოლი 42-ე წამით „იზომება". ანუ, იაშვილმა რეკორდი ვერ მოხსნა, სამი წამით დააგვიანა.

სამაგიეროდ, იაშვილი მეორე ადგილზე გადავიდა და გადაუსწრო რევაზ არველაძეს, რომელმაც ნიგერიასთან ამხანაგურ შეხვედრაში გოლი მეორე წუთზე შეაგდო.

შეგახსენებთ: ის თამაში საქართველოს ნაკრებმა 1:5 წააგო.

და რაკი უსწრაფეს გოლებზე ვლაპარაკობთ, ისიც ვთქვათ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე უსწრაფესი გოლი თურქ ჰაქან შუქურს ეკუთვნის, რომელმაც 2002 წლის მუნდიალზე მესამე ადგილისთვის მატჩში სამხრეთ კორეას მე-11 წამზე გაუტანა.

**კოტე კეკელია**



შოთა არველაძე ბულგარეთთან მატჩში



ალექსანდრე იაშვილის ამ გოლს რეკორდამდე 3 წამი დააგვიანდა

# კანკავას გოლი და 100%

**თურქულ** შეკრებაზე მყოფმა დნეპროპეტროვსკის „დნეპრომ" რუმინულ „პანდურიისთან" საკონტროლო მატჩში ჯაბა კანკავას გოლით 1:1 ითამაშა.

კანკავამ მე-17 წუთზე გაიტანა და მატჩის ბოლოს კიდევ ჰქონდა ასპროცენტიანი მომენტი, თუმცა ახლო მანძილიდან ვერ აჯობა მეკარეს.

GEORGIAN SPORT GROUP
ოფიციალური დილერი საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში
hummel
სპორტული ეკიპირება და აქსესუარები
arena
საწყლოსნო საზეობების ინვენტარი
EPSAN
POOL SPORTS & TECHNICS
ინდივიდუალური სკამები სტადიონებისთვის
polytan
ხელოვნური საფარი კორტებისთვის და ფეხბურთის მოედნებისთვის, სარბენი ბილიკები
daplast
თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 49ა მე-3 სართული
899 92 46 76, tagi85@mail.ru

# უფერულობა გერმანიაში



ლევან კობიაშვილი

**გერმანულ** ბუნდესლიგაში „შალკეს“ არაფერი შველის — მუდმივად აგებს სტუმრად და ცხრილის შუაგულს ვერ ასცილებია.

„ხუმარებმა“ „ბოხუმთან“ 1:2 წააგეს. ლევან კობიაშვილმა მარცხენა მცველად ითამაშა 83 წუთი, მერე კი შეცვალეს. ლევან ყენია განაცხადში არ ყოფილა.

ალექსანდრე იაშვილის „კარლსრუემ“ სტუმრად ქულა აიღო „კიოლნთან“ — 0:0. ჩვენიანი 18-კაციან განაცხადში იყო, თუმცა მინდორზე არ შესულა.

მეორე ბუნდესლიგაში „ფრაიბურგი“ დღეს ითამაშებს, ტურის სხვა მატჩებს რაც შეეხება, მხოლოდ მათე ლვინიანიძე გამოჩნდა: „მიუნხენ 1860“ — „ალენის“ (2:1) შეხვედრა შეუცვლელად ჩაატარა.

ოთარ ხიზანეიშვილი „აუგსბურგის“ განაცხადშიც არ იყო, ხოლო ლევან ცქიტიშვილმა სათადარიგოებიდან უყურა „ვენი“ — „კობლენცს“ (1:3).

**ილია ნანობაშვილი**



კახა ალადაშვილი (ბურთით)

# ადამიას პასიანი დებიუტი

**აზერბაიჯანის** ჩემპიონატის მე-14 ტურში, „ბაკიში“ გიორგი ადამიას დებიუტი შედგა.

„ბაკიმ“ სტუმრად მოიკ-ი 3:0 დაამარცხა. ადამია ძირითად შემადგენლობაში იყო და საგოლე პასით გამოირჩა.

ადამია 79-ე წუთზე შეცვალეს.

მოიკ-თან ითამაშა „ბაკის“ კაპიტანმა ამირან მუჯირმაც, ხოლო გიორგი დემეტრაძე გუნდის განაცხადში ვერ მოხვდა.

„ბაკი“ 32 ქულით მეორე ადგილზეა და ორი ქულით ჩამორჩება თანაქალაქელ „ინტერს“.

**ოთარ მხეიძე**

# ალადაშვილის ოთხიდან ერთი

**ომარ თეთრაძის** მახაჩყალის „ანჟიმ“ თურქულ შეკრებაზე ბოსნიურ „ბორაცთან“ გამართა საკონტროლო მატჩი და 0:2 დამარცხდა.

ბოსნიელებმა პირველი გოლი გიორგი ნავალოვსკის მიერ თავის საჯარიმოში ხელით თამაშისთვის დანიშნული პენალტით გაიტანეს.

ნავალოვსკი პირველი ტაიმის მერე შეცვალეს, ზურაბ არზიანმა, გოჩა ხოჯავამ და სანდრო იაშვილმა სრულად ითამაშეს, კახა ალადაშვილი კი შესვენების შემდეგ გამოჩნდა მოედანზე.

მორიგ მატჩში კი მახაჩყალის „ანჟიმ“ 4:0 მოუგო ყაზახურ „ნეფთჩის“ და ამ მატჩში ქართველთაგან ედიკ საჯაიასა და რევაზ ჯიქიას არ უთამაშიათ, დანარჩენები კი მინდორზე იყვნენ.

გიორგი ნავალოვსკიმ, ზურაბ არზიანმა, გოჩა ხოჯავამ და სანდრო იაშვილმა შესვენებამდე ითამაშეს, კახა ალადაშვილმა და ოთარ მარცვალაძემ კი მეორე ტაიმში.

ოთხიდან ერთი გოლი ალადაშვილმა გაიტანა — 52-ე წუთზე 2:0 გახადა ანგარიში.

**ილია ნანობაშვილი**

# ამისულაშვილი პენალტისტობს



**თურქულ** შეკრებაზე მყოფმა ნალჩიკის „სპარტაკმა“ რუმინულ „ვასლუისთან“ ამხანაგურ მატჩში 2:1 მოიგო.

ალექსანდრე ამისულაშვილი მოედანზე 46-ე წუთზე შევიდა და თამაშის დასრულებამდე ათი წუთით ადრე პენალტით მოაგებინა თავის გუნდს.

ნალჩიკელთა მეორე ქართველმა გოგიტა გოგუამ რუმინელებთან 90 წუთი ითამაშა.

შეგახსენებთ, რომ ამისულაშვილმა ცოტა ხნის წინ რუსეთის მოქალაქეობა მიიღო.

**კახა ზალამბერიძე**

# ხიზანიშვილს თასი გადაედო

**ზურაბ ხიზანიშვილის** „ბლექბერნი“ ინგლისის ასოციაციის თასის მეხუთე რაუნდში ქვედალიგელ „ქოვენთრის“ შეხვდა.

ყველას გასაკვირად, „ვარდებს“ ძალიან გაუჭირდათ და მცველ კრისტოფერ სამბას გატანილი გვიანი გოლით ფრესლა გამოჩნენ.

„ხიზანამ“ სრულად ითამაშა და გაფრთხილება მიიღო. გადათამაშება „ქოვენთრის“ სტადიონზე შედგება.

# კვირის ქრონიკა

## დვალიშვილის გოლაობა

**რიგის** „სკონტომ“ ამხანაგური მატჩი გამართა ესტონურ „ლევადიასთან“ და 1:1-ზე გაეყარა.

რიგელთაგან გოლი ლადო დვალიშვილმა შეაგდო, ვისაც უკვე ლამის ყველა ტესტ-მატჩში გააქვს.

დვალიშვილის გარდა „სკონტოში“ დავით გამეზარდაშვილმაც ითამაშა.

## ბათუმს სომხები შეესივნენ

**ერევნის** „არარატმა“ გუშინ ბათუმში დაიწყო შეკრება და როგორც გუნდის მწვრთნელმა აშოტ კირაკოსიანმა თქვა, ადგილობრივ კლუბებთან ტესტ-მატჩებსაც გამართავს.

შეიძლება, ბათუმში ერთი უკრაინული გუნდიც ჩავიდეს და „არარატმა“ მათთან გაახურხოს თამაში.

26 თებერვალს კი ბათუმს კიდევ ერთი სომხური გუნდი „კილიკია“ ეწვევა.

## თარხნიშვილი სრულად

**კვიპროსულ** შეკრებაზე მყოფმა მოლდოვურმა „შერიფმა“ ამხანაგური მატჩი ჩაატარა ჩეხურ „იაბლონეცთან“ — 1:1.

ტირასპოლელთა კაპიტანმა ვაჟა თარხნიშვილმა სრულად ითამაშა.

# საქართველო: ისევ 108-ე



**ფიფამ** ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა, სადაც დიდი ცვლილებები არ არის — ყოველ შემთხვევაში, საქართველოს ნაკრებს არ შეხებია და ისევ 108-ე ადგილზეა.

უცვლელია პირველი ათეულიც. აი, ქართველთა ამასწინანდელმა მეტოქემ, ირლანდიის ნაკრებმა კი წინა თვის მერე 8 საფეხურით ზემოთ აიწია.

ცვლილებები მარტის რეიტინგში უფრო იქნება — ბლომად ამხანაგური მატჩი ჩატარდა.

**ილია ნანობაშვილი**

Coca-Cola
FIFA WORLD RANKING

| I | II | III | IV |
|---|---|---|---|
| 1 | 1 | ესპანეთი | 1693 |
| 2 | 2 | გერმანია | 1403 |
| 3 | 3 | ჰოლანდია | 1357 |
| 4 | 4 | იტალია | 1218 |
| 5 | 5 | ბრაზილია | 1248 |
| 6 | 6 | არგენტინა | 1181 |
| 7 | 7 | ხორვატია | 1175 |
| 8 | 8 | ინგლისი | 1136 |
| 9 | 9 | რუსეთი | 1119 |
| 10 | 10 | თურქეთი | 1040 |
| 26 | 28 | ბულგარეთი | 772 |
| 29 | 37 | ირლანდია | 747 |
| 98 | 94 | კვიპროსი | 366 |
| 108 | 108 | საქართველო | 327 |
| 111 | 113 | ჩერნოგორია | 310 |

I გრაფა – ადგილი;
II – ადგილი წინა თვეში;
III – ქვეყანა; IV – ქულა

სარბიელელები მწუხარებას გამოვთქვამთ, ყოფილი ლელოელის და მწერლის
**ნუგზარ შატაიძის**
გარდაცვალების გამო

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ვეტერანი ფეხბურთელი, საფეხბურთო სკოლა „ოლიმპის“ ექიმი
**თენგიზ დუშელი**
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

# საქართველოს 20 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

II წრე. 19 ტური

# მერაბიშვილის ჰეთ-ტრიკი

## დინამომ სიონი ბოლნისი გატეხა



**ბევრ** ფეხბურთელზე იტყვი, თავის შესაძლებლობებს ზედმეტად აფასებს, მოყვარულების ენაზე რომ ვთქვათ, თავი პელე ჰგონიაო, მაგრამ გიორგი მერებაშვილი ასეთი პიროვნება არ არის და სულაც არ იწევდა „მარკას“, როცა ჩვენთან ინტერვიუში თქვა, საქართველოს ჩემპიონატში ყველაფერი ამოვწურე და ევროპისთვის მზად ვარო.

ასეა, ჩვენი ჩემპიონატიდან თუ ვინმე მზადაა კარგ უცხოურ გუნდში სათამაშოდ, მერებაშვილი თუ არა, ვინ უნდა იყოს. „დინამოს“ 10 ნომერმა გუშინ ბოლნისელთა დაცვა დააწიოკა და მეკარე გრიგოლ ჭანტურიას სამჯერ გაუტანა — ცნობისთვის, ეს მიმდინარე სეზონში მეორე ჰეთ თრიქია, პირველი კი „გაგრას“ გიორგი გაბედავამ მიითვალა „მესხეთთან“ შეხვედრაში.

მოკლედ, მერებაშვილი ფასდაუდებელია „დინამოსთვის“ და რაინერ ცობელის გუნდი მის გარეშე ყველანაირ სიმწვავე-ეფექტს კარგავს. იმედია, გიორგი ეროვნულ ნაკრებშიც ისეთივე სარგებლიანი იქნება, როგორც მშობლიურ კლუბში — ჯერ შედარებაც არ არის, მაგრამ ბიჭმა თუ ასე გააგრძელა, ამის დროც მოვა.

„სიონთან“ გალაღებით „მერება“ ბომბარდირთა სათავეშიც მოექცა — 9 გოლი აქვს.

რაც შეეხება უშუალოდ თამაშს... ანგარიში თუ მოგატყუებთ, ოქმს ჩახედეთ და არ მოტყუვდებით: „სიონი“ ბოლო წუთებამდე ინარჩუნებდა ქულიან შედეგს. 81-ე წუთი იყო, დავით დილმელაშვილმა საჯარიმო ჩააწოდა და ლევან ხმალაძემ მცველთა გარემოცვაში თავი გაჰყო — ასე დაწინაურდა „დინამო“ მეორედ და ასე გატყდა „სიონი“.

დარჩენილ მცირე დროში კი მერებაშვილმა ჯერ შორიდან გაისროლა და ულამაზესი გოლი მიითვალა, მერე კი შოთა კაშიას ჩაწოდებისას მკერდით შეაგდო. ამ მომენტში ჭანტურია ცუდად გამოვიდა კარიდან — ბურთს ასცდა.

სადაც მერებაშვილი ვაქეთ, უფროსი კაშიაც არ დავივიწყოთ. ცობელმა ის მარჯვენა ნახევარმცველად ასწია, რამაც გაამართლა კიდეც. შოთა ძალიან მწვავე იყო შეტევებშიც დაართმევაშიც. იგივეს ვერ ვიტყვით არგენტინელ მარკოს ჩარასზე, ვინც მშვენიერი CV-ით კი ჩამოვიდა თბილისში, მაგრამ ან გუნდთან შეუჩვეველია ან სულაც CV გვაბრმავებს — ვნახოთ, პირველი ოფიციალური მატჩით რას გაიგებ...

ცობელმა მცირე სიურპრიზიც მოამზადა, კერძოდ, მათე ვაწაძის ძირითადში გამოჩენას ჯერ არ ველოდით. თუმცა ახლად გამოჯანმრთელებული ვაწაძეც კი ვერგასასწრები პოზიციიდან ასწრებდა „სიონის“ მცველებს, რომლებიც აშკარად მოისუსტებდნენ. სერგი ორბელაძე, დავით სვანიძე და ირაკლი ვაშაკიძე მაღალ ბურთებზე უფრო ძლიერები არიან, ვიდრე სისწრაფეში, ჯაბა მუჯირი კი 9 თვე უთამაშებელი იყო და ერთი თვის წინ შეუერთდა „სიონს“.

...მატჩი იმით დაიწყო, რომ ბოლნისელები კობა შალამბერიძემ იხსნა გოლისგან. „დინამოს“ ნაკუთხურალს ხმალაძემ თავი შეაშველა და შალამბერიძემ თავითვე ნახტომში გამოიტანა კარიდან. „დინამო“ შესამჩნევს არა, მაგრამ უპირატესობას ფლობდა და ვაწაძესაც შეეძლო ანგარიშის გახსნა, თუმც მეკარესთან თითქმის პირისპირ გასულმა კარგად ვერ დაარტყა და ჭანტურიამაც იოლად იგდო ბურთი ხელებში.

23-ე წუთზე კი მერებაშვილმა იყოჩაღა, „სიონის“ საჯარიმოში ვაშაკიძეს წესი დაარღვევინა და თვითონვე გაიტანა პენალტი — 1:0.

სტუმრები გაავებულნი დაირაზმნენ მეტოქის კარისკენ და რამდენჯერმე უჩხვლიტეს კიდეც დიდიე ოვონოს.

და აი, ბოლნისელთა ყველაზე მწვავე შეტევა გოლით დამთავრდა: მე-40 წუთზე მიკუჩაძემ მარჯვენა ფლანგზე მოატყუა ჩარასი და საჯარიმოში შეასრიალა ბურთი, სადაც რევაზ გოცირიძემ წაქცეულმა დაარტყა და მართალია, ოვონომ ბურთი გამოიტანა, ზაზა ჭელიძე იქვე იყო და ორიოდ მეტრიდან დაამატა — 1:1.

მიკუჩაძე მეორე ტაიმშიც ცდილობდა გამწვავებას, მაგრამ მეტი საგოლე შანსი სტუმრებს აღარ ჰქონიათ, დინამოელთაგან კი ერთხელ ვაწაძეს შეეძლო გატანა, მეორედ კი შეცვლაზე შესულ ილია სპასოევიჩს. ორივეჯერ მერებაშვილის პასებით შეიქმნა ხიფათი და ორივეჯერ ჭანტურიამ იმარჯვა.

რაც დრო გადიოდა, „სიონის“ ფეხბურთელებს სახეზე ოფლის წვეთები ემატებოდათ, დაიღალნენ და ბოლო 9 წუთში უკვე ერთი გუნდის თამაში ვნახეთ.

„დინამოს“ ფან-კლუბმა სულ ტაშ-ზეიმით გააცილა თავისი საყვარელი გუნდი, განსაკუთრებით კი, ცხადია, მერებაშვილი...

*ოთარ კორღალიძე:* „დინამოს“ ვულოცავ მოგებას. სერიოზული ძალის ფეხბურთელები და მწვრთნელები ჰყავს. ბევრი შეცდომა დავუშვით, ამდენს კი „დინამო“ არავის პატიობს. ბოლო წუთებამდე საგანგაშო არაფერი გვქონდა, მაგრამ მეორე გოლმა გაგვტეხა და ავირიეთ. „სიონის“ მიზანი ხუთეულში მოხვედრაა“.

*რაინერ ცობელი:* „მოხარული ვარ, რომ ჩემპიონატი დიდი ანგარიშით მოგებით განვაახლეთ. „სიონს“ მადლობას ვუხდი კარგი თამაშისთვის. ჩვენ ფანტასტიკური მოსამზადებელი პერიოდი გვქონდა — სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი ლიგის კლუბებს შევხვდით და ასეთ დროს, როგორც ხშირად ხდება, ფეხბურთელებს ეროვნულ ჩემპიონატზე კონცენტრაცია აკლდებათ, ზუსტად ამაზე ვაფრთხილებდი ბიჭებს, მატჩის წინ, მაგრამ ეტყობა, ცოტა მოშვებულნი მაინც იყვნენ...

...პირველი ტაიმით კმაყოფილი ვარ, მეორეში კი ფეხბურთელები ბევრს ეცადნენ და შედეგიც მივიღეთ. საქართველოში საშუალებას თუ მისცემ, ყველამ იცის ფეხბურთის თამაში, ამიტომ აქ იოლად ვერავის მოუგებ“.

**ილია ნანობაშვილი**

---

14 თებერვალი. 14 საათი

**ლოკომოტივი თბილისი – სპარტაკი ცხინვალი 2:1**

თბილისი. "მ. მესხი". 150 მაყურებელი

1:0 კვანტალიანი (20), 1:1 მგალობლიშვილი (22), 2:1 კახელიშვილი (57)

ლოკომოტივი: გ. ლომაია, ბებუა (კახელიშვილი 46), კაიშაური, გუშარაშვილი, დ. ფოფხაძე, ჩირიკაშვილი, ნულაძე (ბარბაქაძე 71), კ. მახარაძე, შ. კვანტალიანი, სარალიძე (რობაქიძე 75), დიაკვნიშვილი

*სათადარიგონი:* ბელელური; დ. ჩაგელიშვილი, ხუმარაშვილი, ი. გილაური

მწვრთნელები: გიორგი კიკნაძე და ზაზა ზამთარაძე

სპარტაკი: კოდალაევი, ქურასბედიანი, ქორიძე, გ. კვახაძე, მგალობლიშვილი, კ. ავალიანი (გაბელაია 65), გ. თურმანიძე, ჯანგიძე, შ. ჯიქია (სირბილაძე 65), მაისურაძე (ჩოჯაძე 75), ზ. მეტრეველი

*სათადარიგონი:* ნიქარიშვილი, ბონდო გოცირიძე, ვ. კობახიძე, ხაჭიპერაძე

მწვრთნელი: სერგო გაბელაია

გაფრთხილება: მახარაძე (3), გუშარაშვილი (56), ჯანგიძე (81)

მსაჯები: გ. ვადაჭკორია; ო. მოლოდინაშვილი, კ. ბერიძე; თ. გვანცელაძე

---

14 თებერვალი. 14 საათი

**ოლიმპი რუსთავი – სკ გაგრა 3:0**

რუსთავი. "ფოლადი". 500 მაყურებელი

1:0 მაჭავარიანი (9), 2:0 ხუბუა (32), 3:0 რეხვიაშვილი (35)

ოლიმპი: მ, ალავიძე, გ. რეხვიაშვილი, გ. ონიანი, მაჭავარიანი, ჩიკვილაძე (დვალიშვილი 68), ხუბუა, დობროვოლსკი, ბაბუნაშვილი, გ. სეთურიძე, მეგრელაძე (გაბიდაური 77), გ. ჩხეტიანი (ფიფია 46)

*სათადარიგონი:* სტურუა, აკუასაგა, თ. ლონლაძე, კაკულია

მწვრთნელი: ვარლამ კილასონია

გაგრა: თევდორაძე, ქაჯაია, კოზლენკო, ტყეშელაშვილი, კუპრეიშვილი, ჯარმელაშვილი (ა. აბაშიძე 46), შარიქაძე (ლ. სეთურიძე 72), ცხადაია, ჩარგეიშვილი, გაბედავა (გაბუნია 52), ბ. ცხადაძე

*სათადარიგონი:* ხომერიკი, კილაძე

მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე

გაფრთხილება: რეხვიაშვილი, ქაჯაია

მსაჯები: ო. ხეცაძე, ს. სპიცინი, დ. კვეტენაძე, ზვ. ასკაროლლი

---

15 თებერვალი. 14 საათი

**სკ ზესტაფონი – სკ ბორჯომი 1:0**

ზესტაფონი. "ცენტრალური". 2 200 მაყურებელი

1:0 მელქაძე (83)

ზესტაფონი: მამალაძე, უ. ლობჯანიძე, ს. თოდუა, გ. ხიდეშელი, მაკარიანი, ძარია (ლ. მელქაძე 65), ნ. კვასხვაძე (კაკალაძე 70), შ. გრიგალაშვილი (გ. ჭელიძე 46), ბენაშვილი, იონანიძე, გელაშვილი

*სათადარიგონი:* რ. კვასხვაძე, კაჭკაჭიშვილი, გორგიაშვილი, კვესიეშვილი

მწვრთნელი: გია გეგუჩაძე

ბორჯომი: შეყრილაძე, ლაცაბიძე, მენთეხაშვილი, დათუნიშვილი, ხითარიშვილი, გოგსაძე (ქათამაძე 86), ტუხაშვილი (ხაჩიძე 61), დარსანია, გაჩეჩილაძე, შ. ლობჯანიძე (გ. ლაბაძე 86), პაველიაშვილი

*სათადარიგონი:* ოქრომჭრიძე, მანთიძე, ნ. ლომიძე, ბ. ბაქრაძე

მწვრთნელი: ჯუნგლი ქართველიშვილი

გაფრთხილება: დათუნიშვილი, გოგსაძე, დარსანია

მსაჯები: მ. ურუშაძე, გ. ყრუაშვილი, ზ. ერქვანია, კ. ქაჭუა

---

15 თებერვალი. 14 საათი

**დინამო თბილისი – სიონი ბოლნისი 4:1**

თბილისი. "ეროვნული". 1 000 მაყურებელი

1:0 მერებაშვილი (23პ), 1:1 ჭელიძე (40), 2:1 ხმალაძე (81), 3:1, 4:1 მერებაშვილი (84, 88)

დინამო: ოვონო, თომაშვილი, კრმკო, გ. კაშია, ჩარასი, შ. კაშია (ტომიჩი 88), ხმალაძე, დილმელაშვილი, კოშკაძე (ლომია 66), გ. მერებაშვილი, ვაწაძე (სპასოევიჩი 60)

*სათადარიგონი:* ლორია; კაკუბავა, ჯიუსი, გველესიანი

მწვრთნელი: რაინერ ცობელი

სიონი: გ. ჭანტურია, ორბელაძე, სვანიძე, ი. ვაშაკიძე, ჯ. მუჯირი, გ. ხიდეშელი (ი. შენგელია 68), ზ. ჭელიძე (დავითაშვილი 83), შალამბერიძე, სანიკიძე, მიკუჩაძე (ბობოხიძე 83), რ. გოცირიძე

*სათადარიგონი:* ბობლიაშვილი; ლ. ბაჯელიძე, ქემოკლიძე, კაკაშვილი

მწვრთნელი: ოთარ კორღალიძე

გაფრთხილება: ვაშაკიძე (23), დილმელაშვილი (61)

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; მ. ელიკაშვილი, დ. კურტანიძე, მ. ბეუქლიშვილი

---

15 თებერვალი. 14 საათი

**მესხეთი ახალციხე – მგლები ზუგდიდი 0:0**

ბორჯომი. "ჯ. ზეინკლიშვილი". 400 მაყურებელი

მესხეთი: ბათიაშვილი, ვ. ხორგუაშვილი, ლ. მერებაშვილი, ფარულავა, ლეკიშვილი, მემარნიშვილი, ზ. ჩხეტიანი, ლ. თედიაშვილი (ინასარიძე 72), ლ. ვაშაკიძე (გვირჯიშვილი 68), ლ. ქებაძე, სამადაშვილი

*სათადარიგონი:* ძამუნაშვილი; ქოჩორაშვილი, პ. ხორგუაშვილი, ბეჟანიძე, სუდაძე

მწვრთნელი: კობა თედიაშვილი

მგლები: სომხიშვილი, ქითანავა, რ. ონიანი, აქუბარდია, რაქვიაშვილი, გუჩუა, გულორდავა, ა. ბაჯელიძე, ქკადუა, ინჯგია (ბაკარანძე 52), გ. თოდუა

*სათადარიგონი:* ქალდანი; ხურციძე, ფიშკარიანი, ბ. ნოზაძე, ჯოჯუა, ხუხია

მწვრთნელი: ბესიკ შეროზია

გაფრთხილება: ჩხეტიანი, ვაშაკიძე

მსაჯები: ვ. გუმბერიძე, ზ. ჯვარიძე, ბ. ქიქინაძე, ხ. გაგნიძე

# საქართველოს 20 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

II წრე. 19 ტური

## ფხის გარეშე ფსკერი გარანტირებულია



„ლოკომოტივს“ სამი ქულა გიორგი კახელიშვილმა მოუტანა

**შეკრებაგაუვლელმა** და შემადგენლობამოსუსტებულმა „ლოკომოტივმა“ წლეულს ორ მატჩში ოთხი ქულა აიღო. მართალია, ვაკელებმა მოსავალი ცხრილის ფსკეროსნებთან მოიმკეს, მაგრამ შედეგი შედეგია.

„გაგრასთან“ წინა ტურის მატჩში ლოკომოტიველთა შორის შალვა კვანტალიანი გამოირჩეოდა და მაშინ გოლს სასწაულად ვერ ეწია, თუმც „სპარტაკთან“ გაისწორა მიზანი და ანგარიშიც გახსნა. კახა მახარაძე-დაჩი ფოფხაძის კომბინაციას კვანტალიანმა უპოვა გაგრძელება, ახლო მანძილიდან შეაგდო — 1:0 მე-20 წუთზე.

გოლამდე ერთი ლამაზი ეპიზოდი ვნახეთ, როცა ვაკელმა რევაზ წულაძემ ლამაზი ფინტით ჩამოიცილა მეტოქე და კარგადაც დაარტყა, თუმც „სპარტაკის“ მეკარე ბესიკ კოდალაევმა იმარჯვა. კვანტალიანისა არ იყოს, წულაძეც ნიჭიერი ბიჭია და ვნახოთ, მეორე წრე წინაა — მათზეა დამოკიდებული, რამდენად მოუმატებენ.

გოლგაშვებულმა „სპარტაკმა“ ორ წუთში გაათანაბრა. „ლოკომოტივის“ საჯარიმოსთან სიტუაცია დაიძაბა, ბურთი რიკოშეტით წავიდწამოვიდა და საბოლოოდ დაჩი ფოფხაძისა და ნოდარ მგალობლიშვილის ჭიდილში 1:1 გახდა — გიორგი ლომაიამ გუნდს ველარ უშველა.

საქართველოს ჩემპიონატის შესაფერისად, გუნდები მაღალ სიჩქარეებზე ვერ თამაშობდნენ, მოსაწყენი ბურთაობა იყო. მხოლოდ „ლოკომოტივის“ სამწუთიანი კარგი შეტევები უნდა გამოვარჩიოთ, გოლიც სწორედ მაგ დროს გავიდა: წულაძის ჩაწოდებისას გიორგი კახელიშვილმა ბურთი გააჩერა და ზუსტად დაარტყა — 2:1.

რამდენიმე წუთში მასპინძლებს მესამის გატანაც მართებდათ, კარგად გათამაშებული კომბინაციის შემდეგ კახა მახარაძე 15-იოდე მეტრიდან ურტყამდა, თუმც ხარიხას მოარტყა.

დარჩენილ დროში „სპარტაკმა“ მეტოქის საჯარიმო გადახნა, ვერ ვიტყვით. გასატანად ცოტა ხანს კი გაიწია, მაგრამ შესამჩნევი უპირატესობაც კი ვერ მიითვისა, ეგ იყო, ზვიად მეტრეველს აუცდა ახლოდან გასროლილი.

ერთი ცხადია, „სპარტაკს“ მეტი ფხიანობა მართებს, თორემ ცხრილის ბოლოდან ვერ ამოვა.

**ილია ნანობაშვილი**

## ფუტსალის ომარდინიო



ომარ ელ-ზეინი (ბურთით) „ზესტაფონში“ ვარჯიშობს

**„ზესტაფონში“** ახალი უცხოელი ფეხბურთელი ისინჯება — წარმოშობით ლიბანელი, გერმანიის მოქალაქე 23 წლის ომარ ელ-ზეინი, ვინც ბოლოს მესამე ბუნდესლიგაში თამაშობდა. თუმც ფუტსალიდან უფრო გაიცნო თავი გულშემატკივრებს.

საინტერესოა, რომ ომარს ბურთით ჟონგლიორობის გამო ფანებმა მოფერებით ომარდინიო შეარქვეს.

გია გეგუჩაძე ელ-ზეინის საკითხს დღე-დღეზე გადაწყვეტს.

რაც შეეხება 18 წლის სენეგალელ თავდამსხმელ იდრისა სევა სისეს, იმერლებმა მისი დატოვება აღარ ისურვეს.

## ბაია ანთალიაში

**პირველი** ლიგის დასავლეთ ზონის ლიდერი ზუგდიდის „ბაია“ 7 თებერვლიდან ანთალიაში ემზადება.

გერმანელი ჰერბერტ ცანკერის გუნდმა პირველი ამხანაგური მატჩი ბულგარეთის მეორელიგელ „ჩავდართან“ გამართა და 1:0 მოუგო.

გოლი მე-14 წუთზე ირაკლი ეხვაიამ გაიტანა ზურაბ ექონიას პასით.

ზუგდიდელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: *ივარდავა, ფირცხალავა, პაჭკორია, ქვანია, ქვარცხავა, ექონია, ნ. შონია, გუგუჩია, ეხვაია, რაფავა.*

შეცვლაზე შევიდნენ: *კ. შონია, გუჯეჯიანი, სიხარულია, ქანთარია, ცანავა, კაკუბავა, კუტალია, ქობალია.*

მომდევნო მატჩში კი „ბაიამ“ გერმანიის ობერლიგელი „ლაუდა“ 4:2 დაამარცხა.

ჩვენებიდან გოლები ლუკა გუგუჩიამ და მერაბ ჩანგელიამ (3) გაიტანეს.

ცანკერმა ამჯერად ასეთი შემადგენლობა დააყენა: *მაისურაძე, პაჭკორია, კ. შონია, კაკუბავა, კანკია (ექონია), ქანთარია, ქამკამშვილი, გუჯეჯიანი (ქობალია), სიხარულია, კუტალია (ჩანგელია), გუგუჩია.*

## კედელივით ბორჯომი და მელქაძის დაბრუნება

**მორიგი** უსენსაციო ტური მიილია, თუმც ორ მატჩში სენსაციას რაღა აკლდა: „დინამომაც“ და „ზესტაფონმაც“ ბოლო წუთებზე გატეხეს მოწინააღმდეგე.

სიურპრიზი იყო „ბორჯომის“ კედელივით დგომა ფეროს ქალაქში. ოთარ გაბელიას გუნდმა 83 წუთი გაუძლო მასპინძელთა შეტევებს, მაგრამ ლევან მელქაძემ არ შეიცოდა — მეორე ტაიმის შუაში შევიდა შეცვლაზე და ბოლოს გადამწყვეტი გაიტანა.

მელქაძე გია გეგუჩაძის დროინდელ „დინამოში“ საუკეთესო მეგოლე იყო, მას შემდეგ ამ ფეხბურთელს კარიერა ველარ აეწყო, ბოლოს სულაც უთამაშებელი დარჩა და აგერ, „ზესტაფონში“ ისევ გეგუჩაძის ხელშია. ბორჯომელებთან ლევანმა ჯოკერობა იკისრა.

იმერლები კვლავაც მეოთხეზე არიან, რაკილა მოიგო მათზე წინ მდგომმა „ოლიმპმაც“. რუსთავში ზაფხულს აქეთ არავის მოუგია და რაღა „გაგრა“ შეწყვეტდა სერიას — ვარლამ კილასონიას გუნდმა საწყის 35 წუთში სამი გოლი გაუტანა გავარდნის ერთ-ერთ კანდიდატს და აღსანიშნავია, რომ ამ სამიდან ორი უკანახაზელისა იყო: ნოდარ მაჭავარიანმა დაიწყო, გიორგი რეხვიაშვილმა კი დაასრულა, ხოლო მეორე გოლი ასევე ამპლუით მცველ-ნახევარმცველმა გელა ხუბუამ მიითვალა.

რუსთაველთა წაუგებელი სერია გრძელდება, გუნდს მხოლოდ ორი გოლი აქვს შინ გაშვებული. „გაგრა“ კი, თურქული შეკრების მიუხედავად, რაღაც მორყეული ჩანს — არც წინა მატჩში შეეხედებოდა „ლოკომოტივთან“.

ტურში ერთი ფრეც გამოერია. „მესხეთმა“ სამეგრელოდან ჩასული სტუმარი 0:0-ით გაუშვა.

„მგლებმა“ ბოლო 12 ტურში მხოლოდ ერთხელ მოიგო და სხვა გუნდების გაჭირვება რომ არა, მთლად არხეინად როდი იქნებოდა — გასავარდნი ადგილიდან ცხრა მთის იქით კი არ არიან...

5 მატჩში 12 გოლი გავიდა და აქედან 7 პირველ ტაიმში. მეორე ნახევარში გატანილი 5 ბურთიდან კი ოთხი ბოლო 10 წუთში შევარდა.

შაბათ-კვირეულის ფეხბურთელი კი, ცხადია, დინამოელი გიორგი მერებაშვილია, რომელმაც „სიონთან“ ჰეთ თრიქით ბომბარდირთა კენწეროში აინაცვლა.

ასეთი იყო მე-19 ტური — „ვიტ ჯორჯია“ მომდევნო უქმეებზე დავიბრუნდება.

**ილია ნანობაშვილი**

### XX ტური

21 თებერვალი. შაბათი
ბორჯომი – მესხეთი
გაგრა – ზესტაფონი
სიონი – ლოკომოტივი
ვიტ ჯორჯია – დინამო
სპარტაკი – ოლიმპი
*მგლები ისვენებს*

### გამოტოვებული მატჩები

25 თებერვალი. ოთხშაბათი
ბორჯომი – სპარტაკი
დინამო – ზესტაფონი

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ვიტ ჯორჯია | 17 | 12 | 4 | 1 | 30:10 | 20 | 40 | 8 | 6 | 1 | 1 | 16:5 | 11 | 19 | 9 | 6 | 3 | 0 | 14:5 | 9 | 21 |
| 2 დინამო | 16 | 11 | 1 | 4 | 36:13 | 23 | 34 | 8 | 7 | 1 | 0 | 26:6 | 20 | 22 | 8 | 4 | 0 | 4 | 10:7 | 3 | 12 |
| 3 ოლიმპი | 17 | 8 | 7 | 2 | 21:10 | 11 | 31 | 9 | 5 | 4 | 0 | 12:2 | 10 | 19 | 8 | 3 | 3 | 2 | 9:8 | 1 | 12 |
| 4 ზესტაფონი | 16 | 3 | 3 | 4 | 17:9 | 8 | 30 | 9 | 6 | 0 | 3 | 11:5 | 6 | 18 | 7 | 3 | 3 | 1 | 6:4 | 2 | 12 |
| 5 ლოკომოტივი | 17 | 8 | 2 | 7 | 22:16 | 6 | 26 | 9 | 5 | 0 | 4 | 11:6 | 5 | 15 | 8 | 3 | 2 | 3 | 11:10 | 1 | 11 |
| 6 სიონი | 17 | 6 | 7 | 4 | 18:14 | 4 | 25 | 8 | 2 | 4 | 2 | 9:8 | 1 | 10 | 9 | 4 | 3 | 2 | 9:6 | 3 | 15 |
| 7 მგლები | 18 | 5 | 4 | 9 | 16:23 | -7 | 19 | 9 | 4 | 1 | 4 | 10:7 | 3 | 13 | 9 | 1 | 3 | 5 | 6:16 | -10 | 6 |
| 8 მესხეთი | 17 | 4 | 5 | 8 | 12:24 | -12 | 17 | 9 | 3 | 3 | 3 | 8:10 | -2 | 10 | 8 | 2 | 1 | 5 | 4:14 | -10 | 7 |
| 9 გაგრა | 18 | 4 | 4 | 10 | 13:29 | -16 | 16 | 9 | 4 | 3 | 2 | 10:9 | 1 | 15 | 9 | 0 | 1 | 8 | 3:20 | -17 | 1 |
| 10 ბორჯომი | 17 | 2 | 5 | 10 | 15:36 | -21 | 11 | 7 | 1 | 3 | 3 | 7:10 | -3 | 6 | 10 | 1 | 2 | 7 | 8:26 | -18 | 5 |
| 11 სპარტაკი | 16 | 2 | 2 | 12 | 12:28 | -16 | 8 | 8 | 1 | 1 | 6 | 8:16 | -8 | 4 | 8 | 1 | 1 | 6 | 4:12 | -8 | 4 |

## პფლ-მ დღეები გადაააადგილა

**საქართველოს** პროფესიული ფეხბურთის ლიგამ უმაღლესი და პირველი ლიგების კალენდარში რამდენიმე ცვლილება მოახდინა.

მე-20 ტურის 22 თებერვლის თამაში „ვიტ ჯორჯია“ — „დინამო“ 21 თებერვალს ჩატარდება, ხოლო მე-16 ტურის გამოტოვებული „დინამო“ — „ზესტაფონი“ 25 თებერვალს.

მე-19 ტურის 28 თებერვლის „ზესტაფონი“ — „სპარტაკი“ 1 მარტისთვის გადაიდო.

22 თებერვალს გასამართი „სპარტაკი“ — „ოლიმპი“ 21 თებერვალს გაიმართება, ხოლო მე-16 ტურის გამოტოვებული მატჩი „ბორჯომი“ — „სპარტაკი“ 25 თებერვალს.

პირველი ლიგის 1 მარტის მატჩი „ზესტაფონი 2“ — „ჭიათურა“ 2 მარტს შედგება, მე-19 ტურის 5 მარტის „გურია“ — „ზესტაფონი 2“ კი 6 მარტს.

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 9 — | გიორგი მერებაშვილი | *დინამო* |
| 8 — | მათე ვაწაძე | *დინამო* |
| | ვახტანგ კვარაცხელია | *ვიტ ჯორჯია* |
| | ნიკა გელაშვილი | *ზესტაფონი* |
| 7 — | ირაკლი პიპნაძე | *ბორჯომი* |
| | ლევან ცქიტიშვილი | *ლოკომოტივი* |
| | ილია სასოევიჩი | *დინამო* |


რობი კინის არამი პენალტი

# ყაჩაღობა საუნიდან
## დაანებეთ მაისურებს თავი!

ეტყობა, დუბლინში განსაკუთრებული ფინური საუნა აქვთ, თორემ სხვა რას უნდა დაეხარბებინა იუნი ჰიიტია, რომ ირლანდიელებს სათებერვლო მოსავალი ტურების ერთი მოძრაობით მოუმკო.

მოდით, ნუ დავიწყებთ, „მსაჯიც ადამიანია“; „ის ერთ წამში იღებს გადაწყვეტილებას“; „უნდა გავუგოთ“ და ასეთებს — ის, რაც ფინელმა მსაჯმა 73-ე წუთზე გააკეთა, შეცდომა არ ჰქვია. შეცდომა სხვანაირი ვიცით. ეს იყო ჰიიტიას პირდაპირი ჟესტი საქართველოს ნაკრების მიმართ — მინდა და ყელს გჭრით!

მისაჩუმებელი ამბავი არ არის და ახლა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მარიფათზეა დამოკიდებული: უეფაში აუცილებლად უნდა გაიტანოს ეს ეპიზოდი მკაცრად განსასჯელად.

ჰიიტიას ეს „ყაჩაღობა“ არ უნდა შერჩეს!

ექტორ რაულ კუპერის გუნდი „კროუკ პარკის“ ღრიანცელს არ შეუშინებია, საქართველოს ნაკრებმა ფრთხილი ფეხბურთი გადაიტანა მინდორზე და თავის პლუსებსაც იყენებდა. არ გვახსოვს, ჩვენებს როდესმე ასეთი ცივსისხლიანი ფეხბურთი ეთამაშათ — არავითარი ალელვება, უდროო დროს შეტევაში წასვლა და ზონების მიტოვება არ ყოფილა.

საქართველომ იცოდა, რომ თავი უნდა დაეცვა და ამას გაჭირვებით, მაგრამ მაინც ახერხებდა. კუპერი გრძნობდა, რომ ირლანდიას შეტევა შეეძლო, მაგრამ ფანტაზია აკლდა — მათ ერთფეროვნული მიძალება აზასიათებთ, მუდმივი ჩაწოდებებით.

და რატომ იტყვი უარს ყრუ დაცვაზე, როცა იგებ და მეტოქე ახალს ველარაფერს გთავაზობს, ხოლო რასაც გთავაზობს, უძალიანდები?!

ასე გვეგონა, ირლანდიის ნაცვლად მისი დონის სხვა ნაკრები რომ ყოფილიყო (ვთქვათ, სერბეთი ან პოლონეთი), კუპერი მათ სხვანაირ შემტევ არსენალს გაითვალისწინებდა და საჯარიმოში აღარ შესახლდებოდა.

ყველაფერი სამი ქულისკენ მიდიოდა, კახა კალაძე და ზურაბ ხიზანიშვილი კედელივით იდგნენ დაცვაში და ჩვენი დაცვის ცენტრს ასე ფხიანად ეთამაშოს, რაღაც არ გვახსენდება.

კალაძე ოთხშაბათს ნამდვილი კაპიტანი იყო — თავისი შემართებით, თანაგუნდელთა დაცაცხანებით. სულ ამაოდ ჩადიოდა ირლანდიელთა მცველი რიჩარდ დანი ჩვენების საჯარიმოში: კალაძემ თავზე ბურთი არ მიაკარებინა და თუ ჯაჯგური-მუჯლუგუნები ატყდებოდა, იქაც არაფერს თმობდა.

კალა-ხიზანაზე მეტად ფლანგელ მცველებს გაუჭირდათ, უჩა ლობჟანიძეს ეიდენ მაკგიდი აწვალებდა, დავით კვირკველიას კი დემიენ დაფი. ეს უკანასკნელი ძველებურად ტემპიანი ველარაა, მაგრამ დრიბლინგები არ დავიწყებია — დაფის აქტიურობის ბრალია, რომ კვირკველიამ შეტევებში ჩასართველად ვერ მოიცალა.

კუპერმა ნაცადი 4-3-2-1 გამოიყენა, სადაც ბექა გოცირიძე მარჯვენა გარემარბად დააყენა, ალექსანდრე იაშვილს კი მარცხენა ფლანგი მიაბარა, ხოლო თავდასხმაში დავით სირაძე ჰყავდა. ამ სამეულთან ყველაზე ახლოს ლევან კობიაშვილი იყო და „შალკეს“ ნახევარმცველმაც კარგად ითამაშა, „შავი სამუშაო“ ხომ შეასრულა და ორჯერ გოლის გატანაც შეეძლო — ერთხელ შეი გივენმა გაამწარა, მეორედ კი მისი დარტყმული სირაძეს მოხვდა და ძლივს გადაარჩინა „კელტები“.

ირლანდიამ დაახლოებით მე-10 წუთიდან მიიტაცა ინიციატივა, რაკილა მატჩის დაწყებიდან წამებში გაუშვა გოლი: რა კარგი დაწყება იყო, იაშვილმა შოკში ჩააგდო „კროუკ პარკი“.

შეტევები, იცოცხლეთ, არ ნელდებოდა, რობი კინი და კევინ დოილი ფლანგებიდანაც იღებდნენ დახმარებას და ხანდახან თვითონაც არ თაკილობდნენ სიღრმეში ჩასვლას, მაგრამ აკი ვთქვით, საქართველო მაინც მშვიდად იყო — ჩვენები ტემპს აგდებდნენ, მოკლე პასებით ცდილობდნენ ირლანდიელთა გაღიზიანებას და ბურთს შეძლებისდაგვარად უფრთხილდებოდნენ.

მეორე ტაიმში კიდევ უფრო იმატა მასპინძელთა ჩხვლეტებმა, განსაკუთრებით მაკგიდი გააქტიურდა და ჩვენმა დაბნეულობამაც იმატა... მერე იყო კუპერის შეცვლები. გიორგი მერებაშვილი წესიერად არ ჩართულიყო თამაშში, იუნი ჰიიტიამ „კროუკ პარკი“ რომ დაასაჩუქრა.

ასე დაიკარგა ქართველთა გარჯა, ანთებული თვალები და მოგება. 11 თებერვლის ღამეს მხოლოდ 73 წუთი იყო თამაში, ბოლო 17 წუთი კი საქართველოს ნაკრების ჯგუფიდან გასვლის შანსების საბოლოოდ გადაწურვისა იყო...

და მაინც, მსაჯის იქით გავიხედოთ და ნაკლოვანებებზეც ვთქვათ, რაც ოთხშაბათს მრავლად ვნახეთ: მთავარი — ჩვენები მოუმზადებლები ხვდებიან მეტოქის ჩქაროსნულ კროსებს, ტემპში ძალიან, ძალიან გვიჭირს; ბურთის საჯარიმოდან ამოტანა მუდმივი პრობლემა ხდება...

ცუდი კიდევ ის გვენიშნა, რაც მსაჯის საფინალო სასტვენის მერე ვნახეთ: როდესაც დაუმსახურებლად გამარცხებენ, ბრაზი ისე უნდა გახრჩობდეს, რომ პროტესტის გრძნობა გაგიჩნდეს და მაისურის გაცვლა არ უნდა სთხოვო მეტოქეს — რობი კინი კი არა, ლეო მესიც რომ იყოს...

**ილია ნანობაშვილი**

დუბლინი. 11 თებერვალი. 23.45 საათი. კროუკ პარკი. 65 000 მაყურებელი

### ირლანდია 2:1 საქართველო

0:1 იაშვილი (1), 1:1, 2:1 კინი (73პ, 78)

**ირლანდია:** გივენი, კელი, ოში, დანი, კილბეინი, ველანი, მაკგიდი, ენდრიუსი, დაფი (ს. ჰანტი 80), დოილი, კინი
**სათადარიგონი:** კილი, დელენეი, ფოლი, გიბსონი, კოგი, ნ. ჰანტი
**მწვრთნელი:** ჯოვანი ტრაპატონი

**საქართველო:** ლომაია, ლობჟანიძე, კალაძე, ხიზანიშვილი, კვირკველია, კობიაშვილი, მენთეშაშვილი (ხმალაძე 70), რაზმაძე, გოცირიძე (მერებაშვილი 67), იაშვილი, სირაძე (ალექსიძე 77)
**სათადარიგონი:** კვასხვაძე, კვახაძე, ოდიკაძე, მარცვალაძე
**მწვრთნელი:** ექტორ რაულ კუპერი

**გაფრთხილება:** მენთეშაშვილი (29), ლობჟანიძე (35), კვირკველია (63), ენდრიუსი (58), კობიაშვილი (68), ხიზანიშვილი (73)

**მსაჯები:** ი. ჰიიტია; ი. კოსკელა, მ. ალაკარე; ტ. ასუმა (ყველა ფინეთი)

**დამკვირვებელი:** ი. სკიერვოლდი (ნორვეგია); **დელეგატი:** გ. კორნელა (შვეიცარია)

| სტატისტიკა | ირლანდია | საქართველო |
|---|---|---|
| კარისკენ დარტყმა | 13 | 4 |
| კარში დარტყმა | 10 | 3 |
| ჯარიმა | 11 | 11 |
| კუთხური | 9 | 3 |
| თამაშგარე | 2 | 0 |
| გაფრთხილება | 1 | 5 |
| გაძევება | 0 | 0 |
| ბურთის ფლობა | 57% | 43% |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 4 | 3 | 1 | 0 | 6:2 | 10 |
| ირლანდია | 4 | 3 | 1 | 0 | 5:2 | 10 |
| ბულგარეთი | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 3 |
| ჩერნოგორია | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |
| საქართველო | 5 | 0 | 2 | 3 | 3:7 | 2 |
| კვიპროსი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |

**მომდევნო ტური**

28 მარტი

კვიპროსი — საქართველო
ირლანდია — ბულგარეთი
ჩერნოგორია — იტალია

### სტენოგრამა

1 წუთი: ლობჟანიძემ დაიწყო შეტევა, [illegible] საჯარიმოში, სადაც სირაძემ თავით უცვალა ბურთს მიმართულება, კელი დაიბნა, იაშვილმა კი ხუთიოდ მეტრიდან გაუტანა გივენს.

მე-4 წუთი: იაშვილმა მარცხენა მახვილი კუთხიდან დაარტყა — გივენმა იყოჩაღა.

მე-8 წუთი: კინი ჩვენების საჯარიმოშია და შემობრუნებით გაკეთა პასი, რომელიც დოილმა უხერხულად მიიღო.

25-ე წუთი: დაფმა მარჯვნიდან დაიწყო დრიბლინგი, ენდრიუსს დაუგორა და მანაც დაარტყა. ბურთი გზად მცველს შეეხო და კარში შევიდა, თუმც თამაშგარე!

29-ე წუთი: ირლანდიელებმა ჯარიმა გაითამაშეს: ველანმა ჩააწოდა, კილბეინმა თავით გადაუგდო კინს და მანაც თავით დაარტყა, თუმც ლომაიამ აიღო.

35-ე წუთი: კვირკველიამ თავისი საჯარიმოსთან დაკარგა ბურთი, კალაძეს მოუხდა დაზღვევა და კინალამ პენალტი აიკიდა: დოილი მასთან ორთაბრძოლისას წაიქცა, მაგრამ წესების დარღვევა რომც ყოფილიყო, საჯარიმოს გარეთ იყო.

მსაჯს არც ჩაუსტვენია.

მე-40 წუთი: მენთეშაშვილმა ცენტრში დაკარგა ბურთი, მაკგიდიმ თითქმის 50 მეტრი ირბინა და დაარტყა — ლომაიამ მოიგერია.

42-ე წუთი: კობიაშვილმა რაზმაძესთან გათამაშებული ბურთი მოულოდნელად დაარტყა — გივენმა კუთხიდან გამოაძრო.

58-ე წუთი: გოცირიძემ ირლანდიელთა საჯარიმოსთან ორი მეტოქე ჩამოიცილა და კობიაშვილს დაუგორა. ლევანის დარტყმული ძელს მოხვდა, დამატებაზე კი იაშვილმა ახლოდან კარში შეაგდო. თუმც თამაშგარე აშკარაა.

64-ე წუთი: მაკგიდის 20 მეტრიდან დარტყმული ლომაიას ლუკმაა.

65-ე წუთი: მაკგიდიმ შორიდან გაისროლა და ბურთი გვერდიდან მოხვდა კარის ბადეს.

73-ე წუთი: ირლანდიამ დიდი უპირატესობის მიუხედავად, უსამართლო გოლი გაიტანა: კინმა ჩვენს საჯარიმოში მიიღო ბურთი, მცველებმა უკან დაიხიეს, ბურთი კი დოილს მიუვიდა, რომელიც პასს აკეთებდა, მაგრამ ბურთი ლობჟანიძეს მხარზე გაეცაცუნა. ფინელ მსაჯს მხარი ხელად მოეჩვენა და პენალტი დანიშნა. პლუს გვერდით მსაჯს თამაშგარის მაუწყებელი ალამი ჰქონდა აწეული. ყველას გასაკვირად, მთავარმა მსაჯმა არავის მოუსმინა. რობი კინმაც პენალტი ზუსტად დაარტყა — 1:1.

77-ე წუთი: დოილმა ეფექტური თავური გაგზავნა ლომაიას კარისკენ, მაგრამ მეკარემ კუთხურზე გადააგდო ბურთი.

78-ე წუთი: კუთხურს კინის თავური და გოლი მოჰყვა: ირლანდიელთა კაპიტანმა კვირკველიას მოუგო დუელი. ლომაიამ რეაგირება ველარ მოახდინა, ძელთან მდგომი ხმალაძეც ამაოდ ეცადა ბურთის გამოტანას და 1:2.

83-ე წუთი: ჰანტის შორიდან დარტყმული ლომაიამ აიღო.

ქართული ბიბლიოთეკა

# ასეთი პენალტი არასოდეს მინახავს



**საქართველოს** ნაკრების მცველმა ზურამ ხიზანიშვილმა ირლანდიასთან მატჩის პერიპეტიები „ჰერალდთან“ საუბრისას გაარჩია და საინტერესო უნდა იყოს, რა უთხრა მან ბრიტანელ ჟურნალისტებს...

„თუ ირლანდიელებმა ისეთივე თამაში აჩვენეს იტალიასთან, რაც ჩვენთან, მეტოქე მათ იოლად დაამარცხებს. ირლანდიის ნაკრებში ბევრი კარგი ფეხბურთელია, მათ შორის, ჩემი თანაგუნდელები კეიტ ენდრიუსი და სტივენ რიდიც, თუმცა, იტალიასთან მათი გათანაბრება მაინც ძნელია...

...პენალტი? ეს ყველაზე დიდი შეცდომაა, რაც მსაჯის მხრიდან ჩემს კარიერაში მინახავს. ირლანდიელთა სუსტ თამაშს და ჩვენს ადრეულ გოლს ნამდვილად არ ველოდით, თუმცა ყველაფერი ჩვენთვის სასიკეთოდ აეწყო, მეორე ტაიმიც ნორმალურად დავიწყეთ, მაგრამ არბიტრმა ყველაფერს ხაზი გადაუსვა. იქ პენალტის მსგავსი არაფერი ყოფილა. ამაში ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული. ჩვენს მცველს ბურთი ხელზე არ მოხვედრია და რა პენალტზეა ლაპარაკი? ასე დაუმსახურებლად გაშვებულმა გოლმა საქართველოს ნაკრებზე ძალიან ცუდად იმოქმედა. ირლანდიელებს 20 წუთიღა ჰქონდათ დარჩენილი და ზეწოლის გაძლიერების ხარჯზე მიზანს მიაღწიეს...

–ცუდად არ გვითამაშია. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს ნაკრებში რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი თამაშობდა, რომლებიც ნაკრებში მეორე თუ მესამე მატჩსლა ატარებდნენ. 90 წუთის განმავლობაში მინდორზე ყველაფერი დავდეთ, თუმცა მაინც იმედგაცრუებულნი დავრჩით...“

# არჩილ არველაძეს დაცვა მოეწონა

**ირლანდია** — საქართველოს მატჩზე თავის ვებგვერდს მისცა კომენტარი ვეტერანმა ქართველმა ფეხბურთელმა, 35-ე სკოლის დირექტორმა *არჩილ არველაძემ*:

— ირლანდიასთან საქართველოს ნაკრებში ეროვნული ჩემპიონატიდან ხუთმა ფეხბურთელმა ითამაშა, ისინი ინგლისური პრემიერლიგის ფეხბურთელებს ხვდებოდნენ. მიუხედავად ამისა, ირლანდიას ძალიან დიდი წინააღმდეგობა გავუწიეთ, პირველ ტაიმში სულაც უმნიშვნელო უპირატესობა ჰქონდა მეტოქეს. ისიც უნდა ითქვას, რომ პირველი გოლის ფაქტორი მნიშვნელოვნად დაეხმარა ჩვენს ნაკრებს. ასეთ დასანან მარცხს ნამდვილად არ ვიმსახურებდით...

— გიორგი ლომაიამ დამაკმაყოფილებლად ითამაშა. რაც შეეხება ჩვენს დაცვას, ვფიქრობ, ეს რგოლი საუკეთესო იყო. რობი კინმა ორი გოლი კი გაიტანა, მაგრამ ამას დაცვის სისუსტეს ვერ დავაბრალებ.

— კარგად ვერ ითამაშა ჩვენმა ნახევარდაცვამ. შუახაზელებმა, ასე ვთქვათ, მუქთა ყვითელი ბარათებიც „აიკიდეს“. ბურთის დაჭერა და კონტროლი გაგვიჭირდა...

— მეტს ველოდი ბექა გოცირიძისგან, მას უკეთ შეუძლია თამაში...

— რაც შეეხება დავით სირაძეს, ფაქტობრივად, უბურთოდ იყო. კარგი იქნებოდა, საჰაერო ორთაბრძოლების გარდა, დაბალი ბურთის მისაღებადაც უფრო აქტიურად ემოქმედა. საგოლე პასი შეასრულა და ცხადია, ამას ვერ დავუკარგავთ...

— საქართველოს ნაკრებიდან ყველაზე კარგად ალექსანდრე იაშვილმა ითამაშა. გოლიც გაიტანა, კაცის მომტყუებელიც ის იყო და ბურთის დამჭერიც.



ექტორ რაულ კუპერის დუბლინში ჩასვლამ საკმაო ინტერესი გამოიწვია და ირლანდიური პრესა 11 თებერვლის მატჩამდე და მომდევნო დღეებშიც საქართველოს ნაკრებს უფრო ხშირად ასე იხსენიებდა — კუპერის გუნდი. კაცმა რომ თქვას, ამაში დასაკვირი არც არაფერია. ცნობილმა ბრიტანულმა გამოცემა „გარდიანმა“ კუპერზე ჩანახატი გააკეთა და საინტერესოა, რას წერენ ისინი ჩვენზე. ჟურნალისტი ჯონათან უილსონი კუპერს ოთხშაბათის მატჩამდე ესაუბრა...

# ომი და ტრავმები

ხუთი წლის წინ ის „ინტერს“ წვრთნიდა, ახლა კი საქართველოს ნაკრებში მუშაობს. ეს მწვრთნელის კარიერის აღმავლობაზე ვერ მიუთითებს, თუმც კუპერი მომავალს ოპტიმიზმით უყურებს. ეგებ, მას შეეძლო კიდეც საქართველოს ნაცვლად სუპერკლუბში წასვლა, მაგრამ პრინციპებს არ ულალატა.

„როცა ბავშვებს ვუთხარი, საქართველოში მივდივარ-მეთქი, მათ ეს ხუმრობად მიიღეს. რა თქმა უნდა, „ვალენსიას“, „ინტერის“ ან „პარმას“ თავკაცობა კარგია, მაგრამ მე თვითონ სამუშაო პროცესი მიყვარს. ყველაზე მთავარიც ეს არის“ — ამბობს დონ ექტორი.

ეს საქმისადმი ჩინებული დამოკიდებულებაა, მაგრამ იყო კი კუპერი ასეთივე შემართული და საკუთარ არჩევანში დარწმუნებული აგვისტოში?

მან 1 აგვისტოს ნაკრებთან კონტრაქტი გააფორმა, ხუთ დღეში კი ქართულმა ჯარებმა ცხინვალზე შტურმი მიიტანეს, რასაც რუსული მხრიდან მოჰყვა პასუხი, მათ სამხრეთ ოსეთში ჯარი შეიყვანეს და საქართველოს დაბომბვა დაიწყეს.

ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმება 16 აგვისტოს შედგა, თუმც რეგიონში სიტუაცია კვლავაც დაძაბული რჩებოდა. ამიტომაც ირლანდიასთან 6 სექტემბრის მატჩი საქართველოს თბილისში არ ჩაატარებინეს. მაშინ კუპერის გუნდმა 1:2 წააგო, თუმც მერე იყო ბულგარეთთან 0:0, სადაც ქართველებს თბილისში დიდი უპირატესობა ჰქონდათ.

და კიდევ, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე სტუმრებს რომ არ ულხინით, ეს მაშინაც დამტკიცდა, როცა შოტლანდია 0:2 დამარცხდა. აი, თუნდაც შოტლანდიის მაგალითი ცხადყოფს — ირლანდიას გაუმართლა, რომ კავკასიაში ჩასვლას ასცდა.

კუპერი განაწყენებული იყო ირლანდიასთან მატჩის გერმანიაში გადატანით, მაგრამ ამ თემით არ სპეკულირებს: „ეს უკვე ისტორიაა. მაინცში წავაგეთ, მაგრამ სულაც არ ვარ დარწმუნებული, რომ მატჩის თბილისში გამართვის შემთხვევაში აუცილებლად მოვიგებდით. წაგება ვერასოდეს მოგანიჭებს სიამოვნებას, თუმც მე კმაყოფილი დავრჩი ბულგარეთთან და იტალიასთან თამაშებით. კვიპროსთანაც კი, სადაც ვერ ვითამაშეთ კარგად, მაინც ვნახე პოზიტიური ძვრები. საერთოდაც, ბოლო პერიოდში ფეხბურთელთა ურთიერთობის მხრივ საკმაოდ პროგრესი გვაქვს“ — ამბობს კუპერი.

კუპერი წარმატებისთვის იღწვის, თუმცა ყველა იტყვის, „ინტერის“ მერე საქართველოში მუშაობა აშკარა დეგრადაციააო.

„საქართველოში ისე ვგრძნობ თავს, როგორც სახლში. მომწონს ქალაქი, ქვეყანა, ხალხი — ისინი ძალიან სტუმართმოყვარეები არიან. ევროპაში საქართველოზე სტერეოტიპების მასა არსებობს, მაგრამ დიდი ხანია, მივხვდი, რომ ეს არასწორია. და ასევე ვხედავ, რომ საქართველოში ფეხბურთის პოტენციალი უდიდესია...

–ქართველ ფეხბურთელებთან მუშაობისას განსაკუთრებული სიძნელეები არ მაქვს. ნაკრების ყველა წევრი გახსნილი და გულღია ადამიანია. ზოგიერთთან ბევრი მუშაობაა საჭირო, რათა თავიანთი ტალანტი წარმოაჩინონ. საქართველოში ბევრია ისეთი ფეხბურთელი, რომლებსაც უმაღლეს დონეზე თამაში შეუძლიათ. საქართველომ უნდა იამაყოს თავისი მოთამაშეებით. ისინი ნიჭიერები და გონიერები არიან. მთელ გუნდს შეუძლია ხარისხიანი ფეხბურთის ჩვენება...

...მეგონა, ენის ბარიერი მუშაობას გამიძნელებდა, მაგრამ მოვტყუვდი. ორი თარჯიმანი მეხმარება, თუმც ფეხბურთელთა უმეტესობას ინსტრუქცია და მოკლე ფრაზები ესმის, ამიტომაც ვცდილობ, მათთან პირისპირ ვისაუბრო. ასეც არ იყოს, მეც ვისწავლე ქართული სიტყვები — ისეთები, როგორიცაა „თავდასხმა“, „დაცვა“ და ასე შემდეგ“.

კუპერის ფორმაციაში დაცვა ყოველთვის თავდასხმაზე წინ იდგა და ამას კრიტიკოსები ხშირად ახსენებდნენ მწვრთნელს. თუმც არგენტინელი ამბობს, რომ ფეხბურთელები მის მკაცრ მიდგომას უნდა შეეგუონ.

„მოთამაშეებს უნდა ესმოდეთ, რომ მათი მტერი კი არა, ხელმძღვანელი ვარ. მათთან ვმუშაობ და ვეხმარები მოგებაში ან თუნდაც ღირსეული ფრის მიღწევაში“.

მაგრამ ყველა ფეხბურთელი არ ეთანხმება კუპერის ამგვარ მიდგომას. მაგალითად, მალხაზ ასათიანი არგენტინელთან კამათის შემდეგ ნაკრების სიიდან ამორიცხეს.

„ის ნაკრებიდან ძალიან გაღიზიანებული წავიდა, რადგან იტალიასთან მატჩში ძირითადში არ დავაყენე. ასათიანი იყო და რჩება ნაკრების კანდიდატად. მე გავუშვი ნაკრებიდან მხოლოდ იმიტომ, რომ მატჩის ჩვეული გეგმები მქონდა. პირადი არაფერია“.

როცა საქართველოს ნაკრებს წამყვანი ფეხბურთელები აკლია, სრულფასოვანი შემცვლელების დიდი რესურსი არ აქვს, თუმცა კუპერს ჰყავს პერსპექტიული ახალგაზრდები. ტრავმის გამო დუბლინში არ იყვნენ „პალერმოს“ ფორვარდი ლევან მჭედლიძე, „რუბინის“ მცველი ლაშა სალუქვაძე და „შალკეს“ ნახევარმცველი ლევან ყენია.

„საწყენია, რომ მათ სწორედ ახლა მიიღეს ტრავმები, მაგრამ ეს ფეხბურთია, ფეხბურთელთა ტრავმები კი მისი ნაწილია“.

ისე კი, არ ღირს საქართველოს ახალგაზრდული გუნდისგან ამდენის მოთხოვნა. ომმა და ფეხბურთელთა ტრავმებმა ნაკრების შედეგებზე მოახდინა გავლენა, თუმცა შანსი იმისა, რომ კუპერი და მისი ბიჭები სალაპარაკო თემა იყვნენ, კიდევ არის.

# უცხოური პრესა: კინს + მსაჯი = მოგებას

***იუნი კიიტიამ*** *ირლანდიას სამი ქულა არგუნა და ამაზე შელამაზებით, მაგრამ მაინც წერს უცხოური პრესა...*

გაზეთი ***„ინდეპენდენტი“***: „საქართველოს ნაკრები უქულოდ მიდის დუბლინიდან. აშკარაა, პენალტი არ იყო. ფინელმა მსაჯმა ქართველ მცველ უჩა ლობჟანიძეს ხელბურთის თამაში დააბრალა“.

***„დეილი“***: ირლანდია მთელი თამაშის მანძილზე ფლობდა უპირატესობას, მაგრამ იყო კი პენალტი?

...და მაინც, ჯოვანი ტრაპატონის გუნდმა მეტოქეზე უკეთ ითამაშა და მოგებაც დაიმსახურა.“

***„ინდეპენდენტი“***: „ექტორ რაულ კუპერის გუნდი ძლივს უძლებდა ირლანდიის შეტევებს. კუპერმა 70-ე წუთზე მეხუთე მცველი შეიყვანა მინდორზე, სამ წუთში კი ფინელმა მსაჯმა ირლანდიას სასიცოცხლო გზა მიასწავლა...“

*საინტერესოა, რომელ მეხუთე მცველს გულისხმობს ეს გამოცემა — ეტყობა, ირლანდიელი ჟურნალისტი გიორგი მერებაშვილის 2-ნომრიანმა მაისურმა დააბნია.*

***რობი კინი***: „მეტოქეზე უკეთ ვითამაშეთ და დამსახურებული სამი ქულა ავიღეთ, თუმც გაგვიმართლა კიდეც — თუნდაც პენალტის მომენტში“.

***ჯოვანი ტრაპატონი***: „ულაპარაკოა, პენალტისას გაგვიმართლა, მაგრამ ეს ფეხბ[illegible] ხდება. პირველი გოლის გაშვების შემდეგ მო[illegible]რაა, მაგრამ ჩემმა გუნდმა მაღალ სიჩქარეებზე ითამ[illegible] სამი ქულა დავიმსახურეთ. ის თამაში, რაც მეორ[illegible] ვაჩვენეთ, გამარჯვების მომტანი გამოდგა, თუმცა [illegible] ნახევარში უნდა წავგეგო“.

***ექტორ რაულ კუპერი***: „მსაჯისთვის საინტერესო იმ მომენტში ვერაფერი დავინახე. არ ვიცი, ამ პენალტის გამო დავკარგეთ სამი ქულა თუ არა, მაგრამ ფაქტია, დავკარგეთ. 1:1-მა გუნდი შოკში ჩააგდო და მეორე გოლიც ამის გამო მივიღეთ. ირლანდია ძლიერია, მაგრამ ჩვენ ვაიძულეთ, გაჭირვება ენახა“.

***ზურაბ ხიზანიშვილი***: „ეს იყო სიგიჟე. ნამდვილი სიგიჟე. არ მჯერა, რაც მოხდა. გაუგებარია, რატომ დაუნიშნა მსაჯმა. ეს იყო ყველაზე უსამართლო გადაწყვეტილება, რაც ფეხბურთში ოდესმე მინახავს. მსგავსი არ არსებობს“.

*„ევროსპორტმა“ კი ოთხშაბათის მატჩს ასეთი სათაური უძღვნა — „კინი და მსაჯი საქართველოს უგებენ“.*

**ილია ნანობაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

„NO, NO" — ტუჩების მოძრაობითაც ჩანდა, რომ ამ გამყინავ სიტყვას იმეორებდა ფინელი მსაჯი იუნი ჰიიტია, როცა საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები მოგონილი პენალტის გამო ეკამათებოდნენ და გვერდითი მსაჯისკენ იშვერდნენ ხელს, რომელსაც მანამდე წამებით ადრე თამაშგარის მაუწყებელი ალამი ჰქონდა აწეული. ან კი, რა იყო იქ გვერდითი მსაჯისკენ გასახედი, როცა თამაშგარე რომც არ ყოფილიყო, ჩვენებს წესი არ დაურღვევიათ. ამ ეპიზოდის მთავარი მონაწილე უჩა ლობჟანიძე გახლდათ, ვისაც ასხლეტილი ბურთი ოდნავ გაეცაცუნა მხარზე — პენალტიც ამიტომ დადო ჰიიტიამ. ლობჟანიძესთან საუბარი სწორედ 73-ე წუთზე დატრიალებული ამბით დავიწყეთ, მერე კი, ცხადია, უშუალოდ თამაშსაც შევეხეთ. ბოლოს და ბოლოს, იმას კი არ ვამბობთ, თითქოს ფინელმა მსაჯმა ამოკეტა საქართველო თავის საჯარიმოში — ნაკრების თამაშში კვლავაც ბლომად იყო უსუსურობა...

# ფეხბურთი იმისაა, რომ ირბინო

## გვერდითმა მსაჯმა პრინციპულობა ვერ გამოიჩინა

— რა გითხრათ, იმ მომენტს განსჯა სჭირდება? ეს იყო მოგონილი, რეალობას მოკლებული პენალტი.

**— საკმაო ხანს აპროტესტებდით მსაჯთან. რას უხსნიდით და ის რას გპასუხობდათ?**

— ვუხსნიდით, რომ გვერდით მსაჯს ალამი ჰქონდა აწეული. მსაჯმა, დამცადეთ, გავარკვევო და მიკროფონით რა ილაპარაკეს, არ ვიცი, მაგრამ გვერდითმა მსაჯმა პრინციპულობა ვერ გამოიჩინა. მან სასტვენამდე დააფიქსირა თამაშგარე, მერე კი ალამი ჩამოსწია. რატომ დაიდო ეს პენალტი, არ ვიცი. ალბათ, მსაჯს ეგონა, რომ ხელით ვითამაშე...

**— როგორ ფიქრობ, მსაჯის მიკერძოება რომ არა, ირლანდიის შეტევებს ბოლომდე გაუძლებდით და მოიგებდით?**

— ახლა ძნელია ამის თქმა. ირლანდიელებს პირველ ტაიმში ისეთი საგრძნობი უპირატესობა არ ჰქონიათ, დაახლოებით მეორე ტაიმის მე-10 წუთიდან დაიწყეს მძლავრი შეტევები, თუმცა საგანგაშო ნამდვილად არაფერი ხდებოდა. პანიკაში არ ჩავვარდნილვართ.

**— ყრუ დაცვაში იდექით. ეს ჰექტორ რაულ კუპერის დავალება იყო თუ მეტოქემ გაიძულათ?**

— მეტოქემ გვაიძულა.

**— შესვენებაზე რა დავალება მოგცათ კუპერმა?**

— თითოეულ ფეხბურთელს აგვიხსნა, რა შეცდომები გვქონდა და გამოსწორება უნდა გვეცადა. შეგვაგულიანა, გაგვამხნევა, ყრუ დაცვაში ჩაჯექითო, ეს არ უთქვამს.

**— იაშვილის გოლი შენს დაწყებულ შეტევას მოჰყვა. სირაძეს გამიზნულად ჩაუწოდე თუ, უბრალოდ, ბურთი გადააგდე?**

— ამას თქვენ უკეთ დაინახავდით. მთავარია, ამ შეტევას გოლი მოჰყვა.

**— საქართველოს ჩემპიონატში თამაშობ და უცებ გადიხარ ირლანდიის მსგავს სწრაფ გუნდთან — არ გიჭირს?**

— რა თქმა უნდა, განსხვავება ძალიან დიდია, მაგრამ უფრო მობილიზებულიც ხდები. ფეხბურთი იმისაა, რომ უნდა ირბინო.

**— საწყალი ქომგობა იყო „კროუკ პარკზე". ამანაც ხომ არ იმოქმედა?**

— თამაშზე რომ გადიხარ, უკვე აღარ ფიქრობ მაგაზე. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ასეა.

**— კუპერის ხელში ყველა მატჩი ითამაშე და შეიძლება ითქვას, მარჯვენა მცველის პოზიციაზე დამკვიდრდი...**

— მწვრთნელი რომ მენდობა, ეს ძალიან მიხარია, მაგრამ ჩამოყალიბებული ფეხბურთელი ვარო, ამას ჯერ ვერ ვიტყვი. ბევრი უნდა ვიშრომო.

**— ნაკრების თამაშში თუ ხედავ პროგრესს? და რა მხრივ?**

— შედეგი გადამწყვეტია. აი, ახლა ჩვენ სულ სხვა საუბარი გვექნებოდა, ირლანდიიდან სამი ქულა რომ ჩამოგვეტანა. მაგრამ შედეგი არ არის. უელსის მერე აღარ მოგვიგია.

**— თამაშის მერე რა გითხრათ კუპერმა?**

— საუბარი თითქმის არც ყოფილა.

**— იმედია, ეს წაგება ფსიქოლოგიურად არ იმოქმედებს. მართალია, ჯგუფიდან გასვლის შანსები დაილია, მაგრამ წინ კიდევ ხუთი ოფიციალური მატჩია...**

— იმედია, ფსიქოლოგიურად არც იმოქმედებს. მომდევნო თამაში მარტის ბოლოს გვაქვს, მანამდე კი დიდი დროა. გულშემატკივარს გამარჯვება უნდა ვანახოთ. ჩვენი ქომაგები ამას ნამდვილად იმსახურებენ — დუბლინშიც ვგრძნობდით მხარდაჭერას.

**ილია ნანობაშვილი**



უჩა ლობჟანიძემ (№3) და მისმა თანაგუნდელებმა მსაჯს ვერაფერი გააგებინეს



# ფინელ არბიტრს მწარედ შეეშალა

## მაგრამ ფიფას კანონს ვერსად გავექცევით...

საქართველოს ნაკრებმა რამდენიმე დღის წინ დუბლინში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ჩაატარა და 1:2 წააგო. ეს ჩვენი ნაკრების ის იშვიათი მარცხია, რომელიც მართლაც დასანანი იყო. ჰექტორ რაულ კუპერის გუნდმა გასამარჯვებლად თავი დადო, იგებდა კიდეც, მაგრამ ფინელი მსაჯის აბსურდულმა პენალტმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა და ირლანდიას, ფაქტობრივად, სამი ქულა აჩუქა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილების ხელმძღვანელ ამირან კაჭახიძეს პირველად სწორედ იმ პენალტის თაობაზე ვკითხეთ...

— ჩემი მხრიდან მსაჯის კრიტიკა ცოტა არაკორექტული გამოვა. უბრალოდ, იმას ვიტყვი, რომ ფინელ არბიტრს მწარედ შეეშალა. სპეციალისტების აზრით, იმ ეპიზოდში პენალტი არ უნდა დანიშნულიყო და ეს თავად ჯოვანი ტრაპატონიმაც კი აღიარა.

**— როგორ ფიქრობთ, იუნი ჰიიტიას გვერდითი მსაჯი რომ ეძახდა, რატომ არ მივიდა მასთან?**

— მათ ყურსასმენები აქვთ და გვერდითმა რაღაც კი უთხრა, მაგრამ ძნელი სათქმელია, რატომ არ დაუჯერა.

**— მსაჯის უხეშმა შეცდომამ საქართველოს ნაკრები უქულოდ დატოვა. როგორ ფიქრობთ, ის არ უნდა დაისაჯოს?**

— ფიფას მატჩზე მსაჯთა დამკვირვებელი ჰყავდა მივლინებული და მხოლოდ ის აფასებს მსაჯობის ხარისხს. რომც დასაჯონ, რა გამოვა, წესების თანახმად, თამაშის შედეგი არ შეიცვლება...

**— გამოდის, ამ შემთხვევაში თავის დაცვა შეუძლებელია?**

— ფიფას კანონს ვერსად გავექცევით.

**— საერთოდ, საქართველოს ნაკრების თამაშზე რას იტყვით?**

— ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს და ამაყი ვიყავი, როცა საქართველოს ნაკრების ასეთ თამაშს ვუყურებდი. მჯერა, რომ გამარჯვებები მალე გვექნება.

**— სხვა თემებსაც შევეხოთ. მსაჯი მალხაზ ბეუქლიშვილი ტყვეობიდან გათავისუფლებულია. მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა როგორია?**

— ცხადია, ჯერ სრულყოფილად ვერ გრძნობს თავს. ჩვენ ის „დინამო" — „სიონის" მატჩზე მეოთხე მსაჯად დავნიშნეთ. გვინდა, ნელ-ნელა ისევ შევაჩვიოთ საქმეს და იმედი მაქვს, მალე უფრო აქტიურად დაგვიბრუნდება.

**— დელეგატ თამაზ კოსტავას მანქანა კი კვლავ გამტაცებლებს ჰყავთ. ამ მხრივ ხომ არაფერია ახალი?**

— როგორც ვიცი, სამართალდამცავები აქტიურად მუშაობენ და ვფიქრობ, მალე ყველაფერი კარგად იქნება.

**ნუკრი ლოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მკვლელი



## იუნი ჰიიტია

დაიბადა 1964 წლის 24 ივნისს ფინეთის ქალაქ კაარინაში.
უმსაჯია 2004 და 2008 წლების ევროპის ჩემპიონატებზე, ასევე 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე.
არის ფიფას არბიტრი და ხშირად უწევს ევროთასებზე მსაჯობა.
ითვლება ფინეთის საუკეთესო არბიტრად.

### ჰიიტია და ქართველობა

2002 წელს ჩემპიონთა თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩრდილოირლანდიური „ლინფილდისა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ შეხვედრა (0:0) იმსაჯა.

2005 წლის 8 ოქტომბერს საქართველო — ყაზახეთის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის მსაჯი გახლდათ. დანიშნა პენალტი, რომელიც ვერ გამოიყენა გიორგი დემეტრაძემ, მოგვიანებით კი არ ჩათვალა ჯაბა კანკავას გატანილი გოლი.

### ჰიიტიას სტატისტიკა

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი: 3 მატჩი
ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი: 3 მატჩი
ამხანაგური: 4 მატჩი
უეფას თასი: 10 მატჩი



ირლანდიასთან მატჩში დანიშნული პენალტით აღშფოთებული ქართველები და მშვიდი ჰიიტია





ჯაბა კანკავას არჩათვლილი გოლი და გიორგი დემეტრაძის გაცუდებული პენალტი




# დინამომ ახლები გამოფინა

თბილისის „დინამო“ ყოველთვის საინტერესო თემა იყო ქართულ ფეხბურთში და სასწაული უნდა მოხდეს, რომ ამ მხრივ რამე შეიცვალოს.

ახალი ამბები „დინამოში“: კლუბმა სამშაბათს ოთხი ახალწვეულის პრეზენტაცია მოაწყო და პლუს, ახალი სპონსორის ვინაობაც გვამცნო.

JOU4ENERGY — ეს ავსტრიული ფირმა სპორტულ მედიცინაში საკმაოდ სახელიანია და მისით სარგებლობენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ძლიერი კლუბები. „დინამო“ ავსტრიელებისგან ფეხბურთელებისთვის საჭირო თანამედროვე აღდგენით პრეპარატებს, გამაყუჩებლებს, ანესთეზიურ და სახვევ მასალებს მიიღებს.

ახლა კი ახალწვეულები: გამთამაშებელი ალექსანდრე კოშკაძე 7-ნომრიანი მაისურით ითამაშებს (2,5 წლიანი კონტრაქტი); მარჯვენა ნახევარმცველი, ჩერნოგორიელი დანილო ტომიჩი 19 ნომერი იქნება (ნახევარწლიანს პლუს 3-წლიანი კონტრაქტი); მარცხენაფლანგელი შოთა ლომია 30 ნომერს ჩაიცვამს (3-წლიანი კონტრაქტი), ხოლო არგენტინელი მარცხენა მცველი მარკოს ჩარასი 13 ნომერი იქნება (2-წლიანი კონტრაქტი).

„დინამო“ მეორე ადგილზეა ეროვნულ ჩემპიონატში და საქართველოს თასის ნახევარფინალშიცაა გასული, ასე რომ, რაინერ ცობელი გუნდს ცხელი გაზაფხული ელის.

ერთი ცხადია, „დინამომ“ თურქულ შეკრებაზე საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენა — მართალია, ტესტმატჩი ტესტ-მატჩია, მაგრამ მოგებაც ხომ მოგებაა...

*რაინერ ცობელი, „დინამოს“ თავკაცი:* „თურქეთში ბოლო ერთ კვირაში ოთხი მატჩი გავმართეთ და ბიჭების თამაშით კმაყოფილი ვარ. ჩვენ ხშირად ვცვლიდით შემადგენლობას და დილემის წინაშე აღმოვჩნდი — ყველა ფეხბურთელმა კარგად ითამაშა. ასე რომ, სასიამოვნო პრობლემის წინაშე ვდგავარ, თუ ვინ ვითამაშო და ვინ დავსვა სკამზე. ახალწვეულ უცხოელ ფეხბურთელებს ვაფრთხილებ, რომ ეროვნულ ჩემპიონატში ძნელი მატჩები ექნებათ და თავიანთი შესაძლებლობები არ უნდა გადააფასონ. აქ თამაში რომ ადვილი არაა, რამდენიმე თვის წინ გამოჩნდა, როცა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე „პანათინაიკოსთან“ მშვენიერი თამაშის შემდეგ „გაგრასთან“ წავაგეთ“.

*შოთა ლომია:* „ძალიან კარგად მიმიღეს. ისეთი ყურადღება და დამოკიდებულება ვიგრძენი, რომ მხოლოდ ფეხბურთზე, ვარჯიშებზე და თამაშებზე ვფიქრობ. მეგობრული სიტუაციაა და აქ თავს ჩამოსულად ვერ ვგრძნობ“.

*ალექსანდრე კოშკაძე:* „დინამოში“ ადაპტაცია არ გამჭირვებია, რადგან თითქმის ყველა ფეხბურთელს ვიცნობდი. მწვრთნელსაც იოლად გავუგე. მთავარია, თავი არ დავზოგოთ და მაღალი შედეგებისთვის ვიბრძოლოთ“.

*მარკოს ჩარასი:* „აქ მხოლოდ კარგს ვხედავ. „დინამო“ ძლიერი გუნდია და მოხარული ვარ, რომ მეც შემიძლია მის წარმატებებში წვლილის შეტანა“.

*დანილო ტომიჩი:* „ჩემს მეგობარ და თანამემამულე ილია სპასოევიჩისგან „დინამოზე“ მხოლოდ კარგი მესმოდა, ნანახმა კი მოლოდინს გადააჭარბა. გუნდში კარგი ატმოსფეროა, ყველა გამარჯვებებზე ფიქრობს და მჯერა, მშვენიერი შედეგიც გვექნება“.

**ილია ნანობაშვილი**

# 17-წლამდელებმა ევროპა მოარეს

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ხორვატიის 17-წლამდელთა ნაკრებთან ორი ამხანაგური მატჩი ჩაატარა — 0:0 და 1:4.

გელა შეყილაძემ პირველ მატჩში ასეთი შემადგენლობა ათამაშა: *მეშველიანი, მ. კობახიძე, ბ. მირცხულავა, ხარაბაძე (ნ. კვეკვესკირი 65), აფაქიძე, გ. ჩელებაძე (ვ. ჭანტურია, 71), ლ. ელიზბარაშვილი, ძლამიძე, კუხიანიძე, ხოჭოლავა (ა. სირბილაძე 45), ჩაფიძე.*

მეორე თამაში კი საიუბილეო, მე-100 გამოდგა და, სამწუხაროდ, მარცხიანიც.

შეყილაძემ ამჯერად ეს შემადგენლობა დააყენა: *აზნიაშვილი, ხარაბაძე, ბ. მირცხულავა, (კუბლაშვილი 74), ნ. კვეკვესკირი, აფაქიძე (ვ. ჭანტურია 43), მ. კობახიძე, ა. სირბილაძე, გ. ჩელებაძე (ჩაფიძე 41), ძლამიძე, დეკანოიძე, კუხიანიძე.*

ქართველთაგან ერთადერთი გოლი დეკანოიძემ გაიტანა ჭანტურიას პასით.

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები შინ 12 თებერვალს დაბრუნდა.

**კახა შალამბერიძე**

# ზავაროვმა დემეტრაძე გაიხსენა



კიევის „არსენალის“ მთავარ მწვრთნელ ალექსანდრ ზავაროვის თქმით, ქართველ გიორგი დემეტრაძეს აზერბაიჯანში წარმატებით თამაში შეუძლია.

„დემეტრაძე გამოცდილი ფეხბურთელია. მას ყველა დონეზე უთამაშია — ჩემპიონთა ლიგიდან დაწყებული, ეროვნული ნაკრებით დამთავრებული. თუ ის კარგ ფორმაში იქნება, ვფიქრობ, წარმატება არ დააყოვნებს. ახალგაზრდა აზერბაიჯანელი ფეხბურთელები მისგან ბევრს ისწავლიან“ — განუცხადა ზავაროვმა „აზერისპორტს“.

შეგახსენებთ: დემეტრაძე აზერბაიჯანულ „ბაქოში“ სწორედ „არსენალიდან“ გადავიდა.

ზავაროვის თქმით, ფეხბურთელს „არსენალში“ პრობლემა არ შექმნია და ის, რომ დემეტრაძე ფინანსური კონფლიქტის გამო წავიდა გუნდიდან, გაბუქებულია: „ჩვენ დემეტრაძესთან პრობლემები არ გვქონია“.

შეგახსენებთ, რომ კიევის „არსენალმა“ გასინჯვაზე ქართველი თავდამსხმელი ლაშა ჯაკობია მიიწვია, ვინც ზავაროვის ერთ-ერთ საყვარელ შეგირდად ითვლება...

**კახა შალამბერიძე**

# ბიზნესის ჩემპიონთა ლიგა

**1/8 ფინალი**

15 თებერვალი

ნიკორა 1:3 პეპსი

ვისოლი 2:1 პატრული

პალიტრა 1:3 ალგორითმი-1

შერატონი 2:4 ოლიმპიური ვარსკვლავი

**1/4 ფინალი**

22 თებერვალი, 10 საათიდან

სპორტის დეპარტამენტი — პეპსი (A)

სეუ — ვისოლი (B)

იბერია ბ/ჯ — ალგორითმი-1 (C)

სარბიელი — ოლიმპიური ვარსკვლავი (D)

**1/2 ფინალი**

1 მარტი, 10 საათიდან

A — B

C — D

**ფინალი**

8 მარტი, 12:00

# ორი გოლი ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონისგან

ბიზნესის თასის გათამაშებაში შვიდი მატჩიდა დარჩა ჩასატარებელი, ამ კვირას კი მერვედფინალები გაიმართა.

მოულოდნელ შედეგებზე თუ ვილაპარაკებთ, ასეთად „ალგორითმისგან“ „პალიტრას“ დამარცხება უნდა მივიჩნიოთ.

ჩემპიონატის პირველ ეტაპზე „პალიტრამ“ ძლიერად ითამაშა და თასის მეოთხედფინალში თუ ვერ გავიდოდა, ალბათ, არავინ ელოდა.

მაგრამ სათასო მატჩებში ეს გუნდი სუსტად გამოიყურებოდა...

მერვედფინალის საუკეთესო მოთამაშედ კი „ოლიმპიური ვარსკვლავის“ ფეხბურთელ გიორგი გოგშელიძეს დავასახელებთ, ვინაც „შერატონს“ ორი გოლი გაუტანა. საერთოდაც, ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონი ფეხბურთს ძალიან კარგად თამაშობს.

„ნიკორასა“ და „პეპსის“ მატჩში კი ერთი გოლი მეკარემ გაიტანა — „პეპსის“ გოლკიპერმა ზაალ ჩიტალაძემ ჯარიმის დარტყმა ითავა და შედეგიანადაც.

მეოთხედფინალები მომავალ კვირას ჩატარდება. საქართველოს უნივერსიტეტის დარბაზში პირველები „სარბიელი“ და „ოლიმპიური ვარსკვლავი“ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

# პაჭელომ გოლები გაიხსენა



საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მცველი ლაშა ჭელიძე ყიზილორდას „ქაისარიდან“ ტალგიკურგანის „ჟეტისუში“ გადავიდა.

23 წლის ჭელიძე შარშან წავიდა ყაზახეთში და „ქაისარის“ შემადგენლობაში 23 მატჩი ჩაატარა და 1 გოლიც გაიტანა.

შეგახსენებთ, რომ ყაზახეთში გააგრძელებს კარიერას ლაშას ძმა, გიორგიც. „პაჭელო“ ანთალიაშიც ახლდა ჩიმკენტის „ორდაბასს“ და ორ ამხანაგურ მატჩში ორი გოლი შეაგდო.

**კახა შალამბერიძე**

## კვირის ქრონიკა

### გურულის გოლი+პასი

ლვოვის „კარპატიმ“ პოლონურ „იაგელონიას“ ამხანაგურ მატჩში 3:2 მოუგო.

სანდრო გურულმა 90 წუთი ითამაშა და პირველი გოლი უკრაინელებმა მისი პასით გაიტანეს.

მომდევნო მატჩში კი „კარპატიმ“ გროზნოს „ტერეკთან“ 2:0 იმარჯვა.

ამჯერად სანდრომ პირველ ტაიმში ითამაშა და 29-ე წუთზე გოლით გამოირჩა.

### ჯაკობია არსენალს გაჰყვა

თავდამსხმელი ლაშა ჯაკობია თურქულ შეკრებაზე გაჰყვა კიევის „არსენალს“.

ჯაკობია „არსენალში“ 2006-2007 წლების სეზონშიც თამაშობდა, ბოლოს კი ხარკოვის „მეტალისტში“ იყო, თუმც ძირითადში მოხვედრა უჭირდა.

# ქართველებმა ცოლ-შვილი ამომიწყვიტეს, მაგრამ...

## რა შესჩივლეს ყაჩაღებმა „იღბლიან“ თამაზ კოსტავას



**7 თებერვალს ყველამ შეიტყო მსაჯ მალხაზ ბეუქლიშვილის გატაცების ამბავი. სოფელ ორჭოსანის გადასახვევთან, რუსების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიასთან ახლოს ხუთი შეირაღებული პირი ვეტერანი ქართველი ფეხბურთელის, თამაზ კოსტავას მანქანას გადაუდგნენ, კოსტავა და კიდევ ორი მსაჯი ჩამოსვეს და სოფელ ორჭოსანისკენ აიღეს გეზი. საბედნიეროდ, გამტაცებლებისგან ბეუქლიშვილის უვნებლად დახსნა მოხერხდა და ის საკუთარ ოჯახს დაუბრუნდა, კოსტავას კუთვნილი „მერსედესი“ კი ჯერაც ყაჩაღებს ჰყავთ. თამაზ კოსტავას შინ ვესტუმრეთ და იმ დღის პერიპეტიების მოყოლა ვთხოვეთ. თქმა რად უნდა, ბატონი თამაზი ფსიქოლოგიურად ჯერაც ცუდ მდგომარეობაშია, თუმცა ჩვენთან საუბარი მაინც მოახერხა...**

— დაახლოებით დილის შვიდი საათი იყო, თბილისიდან სამთო ქიმიის მიმდებარე ტერიტორიიდან გავედით, ჯერ კიდევ მიბინდებული იყო... ის იყო, ქარელის რაიონი გავიარეთ და, კბილებამდე შეიარაღებული ხუთი ჯარისკაცი გადაგვიდგა და გააჩერეთო, შემოგვყვირა. თავიდან მეგონა, ქართველები იყვნენ. იმას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, თუ ისინი ყაჩაღები იქნებოდნენ.

**— მანქანა გააჩერეთ...**

— გავაჩერეთ და მათაც გვიბრძანეს, რომ მალე გადავსულიყავით მანქანიდან. ერთმა ნაძირალამ ჩემს ფანჯარას ავტომატი მოადო და მეძახდა, თუ არ გადმოხვალ, გესვრიო. გავაღე კარი, ცალი ფეხი გადმოვდგი და უმალ თვითონ გადმომათრიეს...

**— მალხაზ ბეუქლიშვილი რატომ არ გადმოვიდა მანქანიდან?**

— მალხაზი უკან იჯდა, მას ორი ყაჩაღი მიადგა და გადმოსვლის საშუალება არ მისცა.

**— ამის მერე რა მოხდა?**

— ერთი ყაჩაღი, რომელიც ძალიან აგრესიული იყო, მანქანაში ჩემი ჩატენვა უნდოდა. გავუძალიანდი და ფერდებში ჩამარტყა ავტომატის კონდახი, მერე კი ყურთან მომადო ლულა და მითხრა, გესვრიო. ამ დროს ღმერთმა გადმოგვხედა, მანქანა ოდნავ დაიძრა, საქმე ისაა, რომ ჩემი „მერსედესი“ ავტომატიკა იყო და როცა სიჩქარეში რჩება, ნელ-ნელა ადგილიდან იძვრება. ერთი ნაძირალა უმალ ჩახტა მანქანაში, იქვე ციცაბო ჩასავლელი იყო და იქ ჩაახრიგინა მანქანა. არ ვიცი, რამე თუ აქვს კიდევ იმ მანქანას მთელი. ამის მერე იმ ყაჩაღმა თავი დამანება, ყველანი ჩასხდნენ და მალხაზიც წაიყვანეს. ამ ადგილიდან დაახლოებით 300 მეტრში რუსების საგუშაგოა და იქიდან ყველაფერი კარგად ჩანს. ამ საგუშაგოსთან 5-7 წუთი ჰყავდათ მანქანა გაჩერებული, მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ, შემდეგ კი დაიძრნენ.

**— ამის მერე პირველი რა მოიმოქმედეთ?**

— ეს ყველაფერი წამებში მოხდა და გაოგნებულები ვიყავით. რაღაც ხნის შემდეგ ზურაბ ჯვარიძემ, მოდი, ბეუქლიშვილის ნომერზე დავრეკოთო. დავრეკეთ, მაგრამ გამორთული იყო. მალევე თვითონ ბეუქლიშვილის ზარი გაისმა ჯვარიძის ტელეფონზე, რა თქმა უნდა, ყაჩაღები იყვნენ — ჯვარიძეს უთხრეს, პოლიციაში არ დარეკოთ, თორემ ბეუქლიშვილს მოვკლავთო.

**— ყაჩაღები გამართული ქართულით ლაპარაკობდნენ?**

— ქართულად კარგად საუბრობდნენ, მაგრამ აშკარად ოსური აქცენტით.

**— ამ ზარის მერე რა მოიმოქმედეთ?**

— რა თქმა უნდა, ყაჩაღებს ყური არ დავუგდეთ და პოლიციაში დავრეკეთ. მალე მოვიდნენ ქართველი სამართალდამცავები. ადგილი დაათვალიერეს, ზეპირი ახსნა-განმარტებები მივეცით და მერე გორის შინაგან საქმეთა სამმართველოში გადაგვიყვანეს, სადაც რამდენჯერმე დაგვკითხეს. იქ გაეროს წარმომადგენლებმაც ჩაინიშნეს მომხდარი ამბები. საქმე გადაეცა გორის სოდ-ის განყოფილებას და ამ ხალხზე მინდა ვთქვა: თან გადაგვყვნენ. მშიერ-მწყურვალები და განადგურებულები ვიყავით, თუმცა ისეთი დიდი სითბო და ყურადღება მოგვაქციეს, მეტი რომ არ შეიძლება. ამისთვის მათ ულრმესი მადლობა მინდა ვუთხრა.

**— ყაჩაღებმა მორიგი სატელეფონო ზარი როდის განახორციელეს?**

— დაახლოებით 12 საათი იქნებოდა; ისევ ჯვარიძეს დაურეკეს და უყვიროდნენ, თამაზ კოსტავა დაგველაპარაკეო. მეც ავიღე ყურმილი და ყაჩაღმა დედის გინება დამიწყო. რა იღბალი გაქვს, რომ ვერ გიცანი, თორემ შენში ძალიან დიდ ფულს მოვითხოვდითო. მაგინებდა, მაგრამ რა მექნა, მშვიდად ვუსმენდი. რაღაც ცუდი რომ მეთქვა, მეშინოდა, მალხაზს არაფერი დაუშავონ-თქო. ბოლობოლო, რას ითხოვთ-თქო, ვკითხე. მიპასუხა, რომ დიდი სიამოვნებით მოკლავდა ბეუქლიშვილს. ქართველებმა ცოლ-შვილი ამომიწყვიტეს, მაგრამ ახლა ფული უფრო მჭირდება და 50 ათასი დოლარი ორ დღეში გამოგვიგზავნეთ, თორემ ბეუქლიშვილს მოვკლავთო. ვუთხარი, რომ ორ-სამ საათში თბილისში ჩავიდოდი, შევხვდებოდი ოჯახის წევრებს და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას და ყველაფერს მოვაგვარებდით.

**— ამ ზარის მერე რა გააკეთეთ?**

— მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტის ხელმძღვანელ ამირან კაჭახიძეს დავურეკე და საქმის ვითარება ვაცნობე. მოგვიანებით, იგივე შინაარსის ზარი ყაჩაღებმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაშიც განახორციელეს.

**— საბედნიეროდ, ბეუქლიშვილის დახსნა მოხერხდა და უბედურებას გადაურჩით...**

— მანქანა კი წაიყვანეს, მაგრამ ამაზე ერთი წამითაც არ ვფიქრობდი. მთავარი იყო, მალხაზი გადარჩენილიყო — ჩემი ოცნება ეს იყო და მადლობა უფალს, რომ გადმოგვხედა და ბეუქლიშვილი უვნებელი დაგვიბრუნდა.

**— სამართალდამცავები რას ამბობენ, არის მანქანის დაბრუნების შანსი?**

— მთელი მთავრობაა ჩარეული საქმეში და მიდის მუშაობა. ვნახოთ...

**ნუკრი ლოლაძე**

## დავით მუჯირი: ესპანეთი მორჩა. იტალია იწყება




**მოსკოვის** „ლოკომოტივმა“ ესპანური შეკრება უკრაინულ ზაპოროჟიეს „მეტალურგთან“ ტესტ-მატჩით დაასრულა.

გუნდები უგოლოდ გაეყარნენ ერთმანეთს.

დავით მუჯირი ძირითად შემადგენლობაში იყო და 74-ე წუთზე შეცვალეს.

„ლოკომოტივი“ ესპანეთიდან მოსკოვში დაბრუნდა და რამდენიმე დღეში მესამე შეკრებაზე იტალიაში გაემგზავრება.

**ოთარ მხეიძე**

## ვიტ ჯორჯია ორით შეივსო

**თბილისის** „ვიტ ჯორჯიამ“ სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე „გაგრას“ ორი ფეხბურთელი — ზამორა დათუნაშვილი და მიხეილ ხოკრაშვილი დაიმატა.

„ვეტერინარებმა“ ორივესთან 3-3-წლიანი კონტრაქტები გააფორმა.

დათუნაშვილი „გაგრას“ ერთ-ერთი ლიდერი იყო, ხოკრაშვილი კი 19-წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელია.

**ოთარ მხეიძე**

## გაგრამ ბრაიტონი გააფორმა

**„გაგრას“** და ბრაიტონის საფეხბურთო აკადემიას შორის ხელშეკრულება გაფორმდა, რომელსაც ხელი მოაწერეს აკადემიის პრეზიდენტმა ალეგბულეკბე კოლაბოლე ჩარლზმა და „გაგრას“ პრეზიდენტმა ბესიკ ჩიხრაძემ.

ამ შეთანხმებით, ქართულ კლუბს შეუძლია აკადემიიდან სასურველი მოთამაშის ტრანსფერზე პრიორიტეტული უფლებით ისარგებლოს.

16 წლის ნიგერიელი ფორვარდი ოვონიკოკო აბაიომი სეუნი სწორედ ბრაიტონის აკადემიის აღზრდილია და ის დღე-დღეზე გააფორმებს „გაგრასთან“ კონტრაქტს. ახლა მხოლოდ იურიდიული ფორმალობაა მოსაგვარებელი — არასრულწლოვანობის გამო მშობლების თანხმობაა საჭირო.

ერთიც: „გაგრამ“ კიდევ ერთი ლეგიონერი აიყვანა — 14 წლის ბრაზილიელი.

## კვირის ქრონიკა

### ციმაკურიძე სრულია

**თურქულ** შეკრებაზე მყოფმა ლუგანსკის „ზარიამ“ ამხანაგური მატჩი გამართა დანიურ „ოლბორგთან“ — 1:1.

ლუგანსკელთა ქართველმა მცველმა გიორგი ციმაკურიძემ შეუცვლელად ითამაშა.

### მოდებაძე ზღვამ არ მიიღო

**ოდესის** „ჩერნომორეცმა“ ირაკლი მოდებაძე არ დაიტოვა. ჩვენიანი დაახლოებით ერთი კვირა იყო შავიზღვისპირა ქალაქის კლუბში გასინჯვაზე და თურქული შეკრება რომ მოახლოვდა, წამსვლელთა სიაში აღარ ჩაწერეს.

ცნობისთვის, 2007 წლის ნოემბრიდან მოდებაძე უკლუბოდაა, რაც მისი გამუდმებული ტრავმების ბრალია.

### მჟავანაძეს ისრაელში იტყვიან

**რუსულმა** „როსტოვმა“ ისრაელურ შეკრებაზე მორიგი ამხანაგური მატჩი ჩაატარა — 2:2 თელ-ავივის „მაკაბისთან“.

კახა მჟავანაძე ძირითად შემადგენლობაში იყო და პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს.

30 წლის ქართველი ფეხბურთელის „როსტოვში“ დარჩენა-არდარჩენა ამ შეკრებაზე უნდა გაირკვეს.

### გრიგალავა ტაიმს გამორჩა

**რუსულმა** „მოსკვამ“ უნგრულ „დებრეცენთან“ საკონტროლო მატჩში 5:0 იმარჯვა.

მოსკოველთა ახალწვეულმა გია გრიგალავამ პირველი ტაიმი ითამაშა.

რუსული კლუბი კიდევ რამდენიმე დღით დარჩება თურქეთში...

# დევდარიანის ტესტები



**დავით დევდარიანმა** „ორჰუსში“ მორიგი ტესტ-მატჩები ჩაატარა — მისიანებმა ჯერ ხორვატიულ „ზაგრებს“ 1:0 სძლიეს და ქართველმა ტაიმ-ნახევარი ითამაშა.

დევდარიანი წინა მატჩის მსგავსად, მარცხენა ნახევარმცველად გამწესეს.

ზოგადად, ფლანგი დევდარიანის მოწოდება არაა, რაკილა მის პლუსად უფრო ბურთთან მოპყრობა და მოკლე დრიბლინგი ითვლება, თუმც ამას „ორჰუსის“ მწვრთნელი წყვეტს...

ამის შემდეგ „ორჰუსმა“ „ლიუბლიანას“ 2:0 მოუგო.

დევდარიანმა პირველი ტაიმი ითამაშა.

**ილია ნანობაშვილი**

# ტავრიამ ქართული გოლებით მოიგო

**ვასილ გიგიაძის** და ლადო ბურდულის „ტავრიამ“ მოლდოვურ „ტირასპოლთან“ ამხანაგური მატჩი გამართა და ქართველების გოლებით 3:2 მოუგო.

სიმფეროპოლელებმა ორივე ტაიმში განსხვავებული შემადგენლობით ჩაატარეს — ვასილ გიგიაძემ პირველი ტაიმი გაატარა მოედანზე და 44-ე წუთზე პენალტი გაიტანა.

ლადო ბურდული კი მეორე ტაიმში გამოჩნდა და 82-ე წუთზე იხეირა, როცა ანგარიში 2:2 იყო.

მომდევნო მატჩში კი უკრაინელებმა მაკედონიურ „მეტალურგთან“ 2:3 წააგეს.

გიგიაძემ სრულად ითამაშა და 57-ე წუთზე ისევ პენალტით იხეირა. სხვათა შორის, ეს პენალტი ვასომ სამჯერ დაარტყა, რადგან იქამდე მეკარე ადრე ტოვებდა ხოლმე კარს.

სიმფეროპოლელთა შორის ლადო ბურდულმა 90 წუთი ითამაშა.

**კახა შალამბერიძე**

# თაყაძე განძასარშია

**ქართველი** ნახევარმცველი მიხეილ თაყაძე სომხურ „განძასარში“ გადავიდა.

თაყაძე ბოლოს ახალციხის „მესხეთში“ თამაშობდა.

ცნობისთვის: შარშან „განძასარში“ სამი ქართველი ირიცხებოდა — მამუკა მენთესაშვილი, კობა ხანიშვილი და გაგა თიბილაშვილი.

სეზონის დასრულების შემდეგ კი მენთესაშვილ-ხანიშვილი გუნდიდან გაუშვეს.

## კვირის ქრონიკა

### დოლიძე ისევ მკურნალობს

**ზაქათალის** „სიმურგის“ ქართველი ნახევარმცველი გრიგოლ დოლიძე ისევ დაშავებულია და გუნდს ვერ ეხმარება.

დოლიძემ ტრავმა ზამთრის მოსამზადებელ პერიოდში მიიღო და „სიმურგის“ ვერცერთ ამხანაგურ მატჩში ვერ ითამაშა.

### დეკანოსიძემ ვოლგა ნახა

**თურქულ** შეკრებაზე მყოფმა ბორისოვის ბატე-მ პირველი საკონტროლო მატჩი გამართა რუსეთის მეორელიგელ „ვოლგასთან“ და 0:2 წააგო.

ბატელი ლაშა დეკანოსიძე მოედანზე 65-ე წუთზე შევიდა.

### კვარაცხელია პლუს ფარტენაძე

**ბელარუსულმა** „მტზ-რიპომ“ თურქულ შეკრებაზე ორი ამხანაგური მატჩი გამართა.

პირველ შეხვედრაში მინსკელები რუმინულ „ვასლუის“ 2:2-ზე დაშორდნენ, მერე კი პოლონურ „ლეგიასთან“ 0:2 დამარცხდნენ.

რუმინელებთან გივი კვარაცხელიამ სრულად ითამაშა, გასინჯვაზე მყოფი არჩილ ფარტენაძე კი 65-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე.

კვარაცხელია პოლონელებთანაც ძირითადში იყო და 55-ე წუთზე შეცვალეს, ხოლო ფარტენაძე ამჯერად 69-ე წუთზე გამოჩნდა მოედანზე.

### დაჩიას ქართველობა უქმობს

**თურქულ** შეკრებაზე მყოფი კიშინიოვის „დაჩია“ რუსულ ბელგოროდის „სალიუტ-ენერგიასთან“ 0:3 დამარცხდა.

ამ მატჩში კიშინიოველთა ქართველ ლეგიონერებს, ლევან კორღალიძეს და ჯაბა დვალს ტრავმების გამო არ უთამაშიათ.

## ქართული სიტყვა უცხო პრესაში



საერთო აზრია და ჩვენ არაფერს ვიგონებთ: საქართველოს ნაკრებში რამდენიმე ისეთ ფეხბურთელს არ იძახებენ, რომლებიც ამას იმსახურებენ. მათ შორისაა გროზნოს „ტერეკის“ ახალწვეული ლევან გვაზავა — 28 წლის ნახევარმცველი რუსეთის პრემიერლიგაში რჩეულთაგანი გამთამაშებელია. რუსულპასპორტიანი გვაზავა „სპორტ-ექსპრესთან“ ინტერვიუში საქართველოს ნაკრებზეც საუბრობს და ამ ინტერვიუს შემოკლებით გთავაზობთ...

# ლევან გვაზავა: საქართველოს ნაკრებში მხოლოდ ალენ ჟირესმა გამომიძახა

**— როდის გადაწყვიტეთ „ლუჩ-ენერგიადან“ წასვლა?**

— მაშინ, როცა აგენტმა სეზონის ბოლოს მითხრა, რომ ჩემით ოთხი რუსული კლუბი იყო დაინტერესებული.

**— სავარაუდოდ, ამგვარი დაინტერესება იმანაც გაზარდა, რომ რუსეთის მოქალაქე ხართ. როდის და როგორ აიღეთ რუსული პასპორტი?**

— ჩემი მეუღლე მადინა ვლადიკავკაზშია დაბადებული და ქორწილის შემდეგ რუსეთის მოქალაქე გავხდი. ჩვენი შვილი მალე ორი წლის ხდება, მაისში კი კიდევ ერთ ბავშვს ველოდებით. ჩემი მშობლები კვლავაც საქართველოში ცხოვრობენ, თუმცა მათ ხშირად ენახულობ.

**— რუსეთ-საქართველოს შორის ასეთი ურთიერთობის პირობებშიც ხშირად ნახულობთ?**

— არანაირი პრობლემა არ მაქვს.

**— ოთხი გუნდის ვარიანტი გქონდათ და „ტერეკი“ რატომ აირჩიეთ?**

— როდესაც მთავარი მწვრთნელი გირეკავს და თან აეროპორტში დაგხვდება, სხვა ვარიანტები თავისით ვარდება. კი, კლუბს ჰყავს პრეზიდენტი და სხვა ხელმძღვანელები, მაგრამ ფეხბურთელი ყოველდღე მწვრთნელს ნახულობს, მწვრთნელია ის პიროვნება, რომელსაც შენი შესაძლებლობა უნდა დაანახო, რომელზეც შენი ძირითადში დაყენება-არდაყენებაა დამოკიდებული. ასე რომ, „ტერეკის“ მწვრთნელ ვიაჩესლავ გროზნის ჩემდამი ყურადღება გადამწყვეტი აღმოჩნდა. თურქეთში „ლუჩ-ენერგიას“ გავყევი შეკრებაზე, მაგრამ გროზნი შემხვდა და მითხრა: „შენ ჩემთან ითამაშებ“. მსგავსი ამბავი მანამდე მხოლოდ ერთხელ გადამხდა, როცა „ალანიაში“ მივედი — მაშინ ამ გუნდს ფრანგი როლან კურბისი წვრთნიდა.

**— ესე იგი, „ტერეკის“ ძირითადში თამაში გარანტირებული გაქვთ?**

— არა. ფეხბურთელს ასეთ გარანტიას ვერავინ მისცემს.

**— 28 წლის ხართ და დიდად საინტერესო ვერაფერი მოიგეთ. გული არ გწყდებათ?**

— როცა საქართველოს ჭაბუკთა და ახალგაზრდულ ნაკრებში ვთამაშობდი, დიდ გამარჯვებებზე ვოცნებობდი. ჯერჯერობით არ გამოდის და იმედია, „ტერეკში“ დავიბრუნებ ხელიდან გაშვებულს. მთელი ცხოვრება თან დამაქვს ხატი და მჯერა, რომ ადრე თუ გვიან, ეს ფეხბურთშიც მომიტანს ბედნიერებას.

**— საქართველოს ნაკრების მწვრთნელები თქვენდამი ინტერესს არ იჩენდნენ?**

— მხოლოდ ერთხელ და ისიც, კურბისისა არ იყოს, ფრანგი დაინტერესდა — ალენ ჟირესი. მაშინ „ალანიაში“ ვიყავი და გამომიძახა, თუმც უახლოეს ტურში „როტორთან“ მე-4 წუთზე უკნიდან ფეხში ისე მომარტყეს, ნახევარი წელიწადი გამიცდა. როცა „ლუჩში“ ავითამაშდი, მშობლები მატყობინებდნენ, რომ ქართულმა პრესამ ატეხა ხმაური, გვაზავას რატომ არ ეძახიან ნაკრებშიო. ნაკრებიდან მოწვევა გამიხარდებოდა, მაგრამ როგორც არ ყოფილა, ისე არ არის ახლაც.

P.S. ესეც პასუხი მათ, ვინც ამბობს, გვაზავას საქართველოს ნაკრებში თამაშის პერსპექტივა დიდად არ ხიბლავსო.

# ამირან მუჯირი: ადგილს ვერავის დავუთმობ!



აზერბაიჯანული „ბაკის“ ქართველი კაპიტანი ამირან მუჯირი ორმხრივი თამაშისას დაშავდა და რამდენიმედღიანი მკურნალობა მოუწევს. „აზერისპორტი“ მუჯირს მაშინ შეეხმიანა, როდესაც ის ინგლისის პრემიერლიგის მატჩს, „მანჩესტერ სიტი“ — „მიდლსბროს“ უყურებდა...

**— ამირან, ვის ქომაგობთ?**

— „მანჩესტერ სიტის“. ეს გუნდი მომწონს. ადრე ხომ „სიტიში“ ქართველი გიორგი ქინქლაძე თამაშობდა...

**— ცოტა ხნის წინ თურქული შეკრებიდან დაბრუნდით. როგორ შეაფასებთ იქ გატარებულ დროს?**

— ყველაფერმა კარგად ჩაიარა. მშვენიერი სავარჯიშო პირობები გვქონდა და საკონტროლო მატჩებიც ჩავატარეთ. სამწუხარო ისაა, რომ პრობლემები დაბრუნების შემდეგ შეგვექმნა.

**— რაზე ამბობთ?**

— თითქმის ნახევარი გუნდი ტრავმირებულია.

**— ეს ბაქოში მოხდა?**

— დიახ. სტადიონზე სავარჯიშოდ რომ გავედით, დისკომფორტი ყველამ იგრძნო. ანთალიაში გაცილებით რბილი მინდვრებია. ასე რომ, აქაურ პირობებთან შესაგუებლად დრო დაგვჭირდება.

**— „ბაკიმ“ რამდენიმე ტრანსფერი განახორციელა. კონკურენცია კიდევ უფრო გაიზრდება?**

— უკვე აღარ ვიცი, ვინ ითამაშებს. გუნდში ძალიან ბევრი ფეხბურთელი მოგროვდა.

**— ახალბედები როგორ გამოიყურებიან?**

— კარგის თქმის მეტი არაფერი შემიძლია.

**— ძირითად შემადგენლობაში ადგილის დაკარგვის ხომ არ გეშინიათ?**

— ადგილის სხვისთვის დათმობას ნამდვილად არ ვაპირებ. ისე კი, ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია. სეზონი ძალიან დატვირთულია, „ბაკის“ ფეხბურთელებს სანაკრებო მატჩებიც უწევთ. ასე რომ, სათამაშო დრო ყველას ეყოფა.

**— შემადგენლობის გადახალისების შემდეგ „ბაკის“ საჩემპიონო შანსები გაიზარდა?**

— ალბათ, კი.

**— მეორე ადგილს წარუმატებლობად ჩათვლით?**

— მიზანი, რა თქმა უნდა, ჩემპიონობაა, თუმცა, მეორე ადგილიც არ იქნება ცუდი. ეს უეფას თასზე თამაშის უფლებას მოგვცემს.



# ძაღლების ბულვარი, თუ სტადიონი?!

**არ** გეგონოთ, ძაღლების წინააღმდეგნი ვიყოთ და რამეს ვერჩოდეთ, ყეფა-ღრენასაც ავიტანთ... გაგვიგია ძაღლი სახლში, ქუჩაში, მანქანაშიც... მაგრამ არ გაგვიგია ძაღლი ფეხბურთის მოედანზე ბურთს ეპორწიალებოდეს, პატარა ბავშვები კი გარეთ იდგნენ და ერთი სული ჰქონდეთ, როდის გაიყვანს პატრონი თავის ერთგულს, რათა ბურთი შეაგორონ.

ეს ერთი პატარა დეტალია (თუმცა პატარაა, კი?!), თუ რატომ ველარ არის ჩვენში ფეხბურთი მასობრივი, დაიკარგა ის ცახცახი, ბავშვებს ბურთის დანახვისას რომ უჩნდებოდათ. ფეხბურთი რჩება საქართველოში ნომერ პირველ სპორტის სახეობად, მაგრამ აღარაა ნომერ პირველი გასართობი... რა თქმა უნდა, ეს ყველას არ ეხება, ვგულისხმობთ უმრავლესობას.

საქართველოში ბავშვს ფეხბურთი თუ აინტერესებს, მშვენივრად ეცოდინება „ასტონ ვილას" ან „მიდლსბროს" რამდენიმე ფეხბურთელი, ამ დროს კი არ იცის ქართველები.

ჩვენი აზრით, ამაში ბრალი მშობლებს ან უფროს ძმებს მიუძღვით. ბევრი მაგალითი ვიცი, კაცი ადრე ფეხბურთის თავგადაკლული ქომაგი ყოფილა, დღეს კი იძახის, სტადიონზე ჩემი ფეხი აღარ იქნება — რომელ საქართველოს ნაკრებს უნდა ვუგულშემატკივრო, სულ რომ აგებსო?

და შესაბამისად, მამა (ან უფროსი ძმა) ამ სიტყვებით ფეხბურთის წყურვილს უკლავს ბავშვს.

შთაგონება ყველაზე მნიშვნელოვანია. კარგად გაგვიგეთ, იმას კი არ ვამბობთ, რომ მამას თუ ფეხბურთი არ უყვარს, შვილი მოთამაშე ვერ დადგება — მურთაზ ხურცილავას მამამისი ღლედალამ უკრძალავდა თამაშს, მაგრამ ის მაინც მსოფლიოს აზანზარებდა — უბრალოდ, „ხურცილავები" ერთეულებია, ერთეულები კი ქართულ ფეხბურთს ვერ ააშენებენ.

ეზო საფეხბურთო სკოლის განუყრელი მეგობარი უნდა იყოს — დღევანდელ ფეხბურთშიც კი, როცა ძველებურად ოდენ ნიჭით ველარ გახვალ ფონს და ეზოს დამახასიათებელი ფინტაობა-ყონგლიორობა სწორი ფიზიკური განვითარების გარეშე ვერ გიშველის.

სამაგიეროდ, ეზოში სხვა რამეს სწავლობ.

...მაგრამ, წეღანაც ვთქვით, მთავრობის მიერ გაკეთებულ მინი-მოედნებზე და სხვა ადგილებშიც, სადაც ორი კარი დგას, დღეს „აჩარკებს", „ბუტერიერებს" თუ „ბოქსიორებს" უფრო ხშირად ნახავთ, ვიდრე ფეხბურთს.

რამხელა განსხვავებაა, შედარებაც კი მიჭირს. ჩემი ბავშვობის დროს, სკოლაში ფიზკულტურის გაკვეთილზე ბურთის სათამაშოდ თუ არ გაგვიყვანდნენ, სიმწრისგან ვცმუკავდით. ეზოში კი, სულ პატარა კუთხე-კუნჭული რომ ყოფილიყო, ოღრო-ჩოღრო მინდორზე ან ასფალტზე მუხლებს ვიყვლეფდით.

დავაკვირდეთ ერთ რამეს. ჩვენს დროს ბავშვი ფეხბურთზე რომ დადიოდა, ეტყობოდა, გამოირჩეოდა. დღეს კი ასე აღარაა — თითქმის ყველა ერთნაირია. აკი, ამასწინათ „ამერის" ბავშვთა მწვრთნელმა როსტომ თორღაშვილმაც გვითხრა, ნიჭიერების რიცხვი კლებულობსო.

რატომ კლებულობს? ადრე თუ ბევრი იყო, ახლა რა მოხდა?

ამის ახსნა ასეც შეიძლება: ბავშვს თავში სხვა რამეც უტრიალებს — პირველ რიგში, კომპიუტერი, „ქაუნთერი" ან ვირტუალური ფეხბურთი. სამწუხაროდ, ურჩევნია, კომპიუტერში გაიტანოს გოლები, ვიდრე მოედანზე...

არამც და არამც არ ვართ კომპიუტერის წინააღმდეგნი, მაგრამ... ტიერი ანრის სიტყვებით, 5 წლიდან ჩამომიყალიბდა აზრი, რომ რაშიც მაგარი ვიყავი, ის კიდევ უნდა დამეხვეწა, ჩემს პლუს-მხარეებს გავყევიო.

შენც, ნებისმიერო ნიჭიერო ბიჭო, რა გათამაშებს საათობით კომპიუტერს ინტერნეტ-კაფეში, როცა გვერდით მოედანი გაქვს?! რაშიც ძლიერი ხარ, რა საქმეც ყველაზე კარგად გეხერხება, მიდი და ბოლომდე მიაწექი. ზოგჯერ ძაღლები მინდორს გარეთაც არიან, დრო იხელთე და... წაითამაშე!

**ილია ნანობაშვილი**

# ლაპარაკს საქმეც უნდა მიჰყვეს

## იქნებ ფულით მაინც დაგვეხმარონ

ბევრი არ არის თბილისში საფეხბურთო სკოლა, რომელზეც იტყვი, სწორი გზით მიდისო. თუმცა ასეთად თამამად შეიძლება დასახელდეს კარლო მჭედლიძის სახელობის სკოლა „ოლიმპიკი" — ნორმალური ინფრასტრუქტურა, პროფესიონალი მწვრთნელები და კიდევ ბევრი რამ, რაც ფეხბურთისთვის აუცილებელია. ჩვენ 1993 წელს დაბადებულ მოზარდთა მწვრთნელ გიორგი ციკოლიას ვესაუბრეთ, რომელიც არაერთ საინტერესო საკითხს შეეხო...



ნუგზარ სუპატაშვილის ფოტო

— საკმაოდ დიდი ხანია, რაც მწვრთნელი ვარ. უკვე 11 წელია, „ოლიმპიკში" ვმუშაობ.

— **რა ლიცენზიას ფლობთ?**

— B ლიცენზიას.

— **სკოლაში რამდენი ბავშვი ირიცხება და რამდენია გადასახადი?**

— 200-მდე მოზარდია ჩვენთან და ბავშვზე 30 ლარია გადასახდელი, თუმცა უმრავლესობა შეჭირვებული ოჯახებიდანაა და, ფაქტობრივად, ვერ იხდიან. ჩვენს ქვეყანაში ძალიან რთული სოციალური მდგომარეობაა და ეს არც არის გასაკვირი. გადასახადის გადაუხდელობის გამო ჩვენი სკოლიდან არავის უშვებენ. ასევე მინდა ვთქვა, რომ ბურთებს და ფორმებს სკოლა ყიდულობს.

— **თბილისში ბევრს სანატრელი აქვს ბალახისაფარიანი მოედანი, „ოლიმპიკს" ამის პრობლემა არ აქვს. რამდენად ძვირი ჯდება მოედნის შენახვა?**

— მოგეხსენებათ, მოედანი თუ არ მოირწყა, მალე უვარგისი გახდება, წყლის გადასახადი კი ძალიან ბევრი მოდის, მაგრამ ხელმძღვანელობა მაინც ახერხებს ამისთვის თანხის მოძიებას. იქნებ თბილისის მერიამ შეიმუშაოს რაღაც გეგმა და გარკვეული შეღავათი გაუწიოს ასეთ სკოლებს, თორემ შესაძლოა, მალე თბილისში ბალახიანი მოედანი აღარც იყოს.

— **საერთო სოციალური პრობლემა, რა თქმა უნდა, ბავშვების კვების პრობლემას ქმნის. მშობლებთან თუ გაქვთ ხოლმე ამ თემაზე საუბარი?**

— ყველა მშობელი ამბობს, რომ კვების პრობლემა არ აქვთ, თუმცა მე ხომ ვატყობ ბავშვს, როცა გადის მოედანზე. ასეთ რამეს რომ ვამჩნევ, იმ ბავშვს ინდივიდუალურად ვავარჯიშებ.

— **მეკარეების მწვრთნელი თუ გყავთ?**

— ყველასთვის კარგად ნაცნობი აკაკი დევაძე ავარჯიშებს ჩვენთან მეკარეებს. სკოლას ჰყავს ფიზმომზადების მწვრთნელიც, გიგლა ხუფაცარია. სკოლის დაარსების დღიდან მედიცინასაც დიდი ყურადღება ექცევა — ამჟამად ჩვენი სკოლის ექიმი ირაკლი ხუციშვილია.

— **ალბათ სამედიცინო შემოწმებაც ხდება თქვენს სკოლაში...**

— სხვაგვარად არც შეიძლება მუშაობა.

— **სკოლის ძირითადი მიზანი რა არის?**

— რაც შეიძლება, მეტი ვარსკვლავი გაუზარდოს ქართულ ფეხბურთს. სკოლის დაარსების შემდეგ არაერთი კარგი ფეხბურთელი აღუზრდია „ოლიმპიკს" და კიდევ არაერთს გაზრდის. რამდენიმე 17-წლამდელთა ნაკრებში გამოდის... ეროვნულ ნაკრებშიც თამაშობენ „ოლიმპიკის" აღზრდილები — ლევან მჭედლიძე, გიორგი მერებაშვილი, დიმიტრი ტატანაშვილი და ასე შემდეგ.

— **ელიტ-ლიგაში გამოგყავთ გუნდი. რამდენად ორგანიზებულად ჩატარდა პირველი წრე?**

— უკეთესია, წინა წლებს ვერც შევადარებ. მსაჯობა ნორმალურია, გაცილებით დაძაბული მატჩებიცაა, თუმცა კიდევ ბევრი რამეა დასახვეწი.

— **უკვე ბევრი ლაპარაკობს იმაზე, რომ ნიჭიერი ბავშვების რაოდენობამ იკლო. თქვენ ეთანხმებით ამ აზრს?**

— ქართული ფეხბურთი ოდითგანვე მდიდარი იყო ნიჭიერი ბავშვებით და ეს დღესაც გრძელდება. ასე რომ, ამ აზრს ვერ გავიზიარებ. პატარა ასაკში ქართველზე გამართულ ფეხბურთს ბევრი ვერ თამაშობს. 15 წლის შემდეგ ექმნებათ პრობლემა ქართველ ახალგაზრდებს.

— **და ეს რისი ბრალია?**

— პირობების არქონის გამო. შეუქმენით კარგი პირობები და ყველა ნახავს, როგორ მალე მივიღებთ შედეგს. დღეს ყველა გაიძახის, რომ ბავშვთა ფეხბურთს უნდა მივხედოთ, თუმცა ეს მხოლოდ ლაპარაკად რჩება. ლაპარაკს საქმეც უნდა მიჰყვეს და მაშინ წავიწევთ წინ.

— **უცხოეთში მწვრთნელთა სემინარებზე თუ ყოფილხართ?**

— ჩვენს სკოლას იტალიელებთან მჭიდრო კონტაქტი აქვს. ორი წლის წინ „ემპოლიში" ვიყავით ათი დღით, იქაურ მწვრთნელთა რჩევებიც მოვისმინეთ, ვარჯიშებსაც მივადევნეთ თვალი. აქაც, როცა უცხოური ნაკრები ან კლუბი ჩამოდის, ყოველთვის ვცდილობ, ვუყურო და რაღაც ვისწავლო. რომ იტყვიან, სწავლა სიკვდილამდე შეიძლება და ამაში სათაკილო არაფერია.

**ნუკრი ლოლაძე**



ნუგზარ სუპატაშვილის ფოტო

2009-2010 ერთა თასი — 2011 მსოფლიოს თასის შესარჩევი

# საქართველო 20:20 პორტუგალია

14 თებერვალი. ეროვნული. 20 ათასი მაყურებელი



ნუგზარ სუპრიანის ფოტო

**საქართველო:** კვირიკაშვილი, მაჩხანელი, კაჭარავა, ზიბზიბაძე, შკინინი; მალაღურაძე, აბუსერიძე; გორგოძე, ლაბაძე, ჩხაიძე, ურჩაძე, ზედგინიძე, შველიძე, გიორგაძე, ხინჩაგაშვილი

შეცვლაზე შევიდნენ: ი. გიორგაძე, ქუბრიაშვილი, ნატრიაშვილი, ურუშაძე

არ შესულან: ბასილაია, სამხარაძე, ბარკალაია

მწვრთნელი: ტიმ ლეინი

*2 ლელო: კაჭარავა, ზედგინიძე*
*2 გარდასახვა: კვირიკაშვილი*
*2 საჯარიმო: კვირიკაშვილი*

**პორტუგალია:** ლეალი, დ. მატეუში, სილვა, დიოგო მატეუში, ფერრო, კაბრალი, პინტუ, ა. კოსტა, მალია, ვუზ, გ. ვუა, პენალვა, სპაშკი, კორეია, ფიგურადო

შეცვლაზე შევიდნენ: გამა, მური, დუარტე

არ შესულან: პინტო, ჟორჟე, სევერინო

მწვრთნელი: ტომაშ მორაეში

*2 ლელო: მატეუში, სილვა*
*2 საჯარიმო: ლეალი*
*2 გარდასახვა: ლეალი*

*მსაჯები: ხელრიკ ბერლოსი, ერიკ გოზენი, პატრიკ ბელე (საფრანგეთი)*

# კიდევ ერთი გაკვეთილი

## პორტუგალია მასწავლებლად გვექცა

**ცუდი** თამაში იყო, მაგრამ კარგი იქნება, თუ დიდხანს ემახსოვრება ჩვენს ნაკრებს და ეცდება, არ ითამაშოს ისე, როგორც შაბათს „ეროვნულზე" ითამაშა.

პირველად ხომ არ გსჯის პორტუგალია მძიმე და უჭკუო ბურთაობისთვის? „ლობუში" წლების წინ ჩამოყალიბდა „ბორჯღალოსანთა" უხერხულ მეტოქედ. მერე ჩვენებმა თითქოს გასალები მოარგეს მათ კლიტეს, მაგრამ აი ისევ წაუცდათ ფეხი, თანაც რა დროს, როცა 2011 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ციკლი ჰა-და-ჰა დაიწყო და ყველაზე მეტად ახლაა საჭირო შემართება.

გუნდი ხომ უხეიროდ თამაშობდა და „ბორჯღალოსნებს" ინდივიდუალურადაც არაფერი გამოსდიოდათ. შერკინება ბოლო მიძალებისას ცდებოდა, ხაზი ბურთს ნელა და უმარილოდ ათამაშებდა და ეშმაკი პორტუგალიელები ამაზე ჩასაფრდნენ. ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩებოდათ, რომ გუნდი ცუდად იყო მომზადებული, მაგრამ როგორც შემდეგ ტიმ ლეინმა განმარტა, ზედმეტად მომზადებულიც ყოფილა და ბიჭები ცოტა მოღლილები ჩანდნენ.

ქართველებმა თამაშის დროსაც უამრავი ტაქტიკური შეცდომა დაუშვეს. დაიწყო თამაში და „ბორჯღალოსნების" უპირატესობაც გამოიკვეთა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, სად იმათი შერკინება და სად ჩვენი ზორბა ბიჭები? მაგრამ ამ უპირატესობასაც ხომ გამოყენება უნდა? პირველად ხომ არ მოხდა ასე, რომ ჩვენები თამაშით ჯობდნენ, ანგარიშზე კი მათი უპირატესობა არც კი აისახებოდა. 25 წუთი უტიეს ქართველებმა და აზრადაც არ მოსვლიათ საჯარიმოს დარტყმა. არადა, არაერთი ხელსაყრელი შანსი მიეცათ. ჯიუტად ეძალებოდნენ და როგორც გაირკვა, სულ ამაოდ.

ნურც მეტოქეს დავუკარგავთ, დაცვაში კედელივით იდგნენ პორტუგალიელები და ჭკვიანურად ბოჭავდნენ მეტოქეს. წელსზევით ხელი არ დაუკარებიათ, მაშინვე ფეხებში უვარდებოდნენ მოიერიშე ქართველებს და იქვე აქცევდნენ. ასეთი დაცვა გორგოძემაც კი ვერ გაგლიჯა. ორივე ფეხზე თითო პორტუგალიელი ეკიდა და რას გაგლეჯდა? სხვებიც მის დღეში იყვნენ.

ამასობაში კი ქართველებმა პირველ ოც წუთში არაერთი სალელოვე შანსი ვერ გამოიყენეს — ჯერ ხუთ მეტრში მიჩიხეს პორტუგალიელის დაცვა; მაგრამ ბოლო ბჭე რომ ვერ შელეწეს, ხაზში გამოიტანეს ბურთი. მალაღურაძის გადაკიდებული შკინინმა მოიხელთა და ლელოშიც შეაღწია, მაგრამ მბოჭველმა მიწაზე არ დაადებინა ბურთი.

მერე ჩვენები ისევ შერკინებით მიეძალნენ და ისევ შევიდნენ მეტოქის ჩათვლის მოედანში, მაგრამ ისევ ვერ დაამიწეს ბურთი. ასეთი რამ მანამდეც არაერთხელ მოგვსვლია ზუსტად ამ მეტოქესთან. პორტუგალია ვთქვათ რუსეთისგან განსხვავებით როგორღაც ახერხებს ხოლმე ქართველთა შეკავებას.

გადარჩენილი პორტუგალია პირველად 27-ე წუთზე გადმოვიდა ჩვენს ნახევარზე, იქვე ჯარიმა გამოიმუშავა და პედრო ლეალმა ანგარიში გახსნა. კვირიკაშვილმა რამდენიმე წუთში საჯარიმოთივე გაქვითა და მალე ქართველები რიცხვმრავლობაში აღმოჩნდნენ, მაგრამ 14-კაციანმა პორტუგალიამ ტაიმის მიწურულს აქეთ დაგვალელოვა. გარემარბმა დიეგო მატეუშმა მარტოკამ გაჭრა მთელი ჩვენი დაცვის ხაზი, მერე გიორგი შკინინს და ნაკრებში დაბრუნებულ თედო ზიბზიბაძესაც დაუსხლტა. ლეალმა კი გარდასახვა შეაგდო — 3:10.

მეორე ტაიმი ოპტიმისტურად დაიწყო. ქართველები კიდევ ერთხელ მიეძალნენ და ხაზში გამოტანის შემდეგ მარცხენა კიდეზე მაჩხანელის გადაკიდებული კაჭარავამ მოიხელთა — დაალელოვა, კვირიკაშვილის გარდასახვამ კი წონასწორობა აღადგინა, მაგრამ ამის მერე ქართველებმა სათამაშო უპირატესობაც დათმეს და პორტუგალია ჩვენს ნახევარზე დასახლდა. ბევრს ვერაფერს ახერხებდნენ 40-45 მეტრში მოპოვებული ჯარიმებს მაშინვე კარისკენ ურტყამდნენ. პირველი გაიტანეს, შემდეგ კი ზედიზედ სამი ააცილეს. კვირიკაშვილმა საჯარიმოთივე გაათანაბრა, მაგრამ მატჩის ბოლოს „ბორჯღალოსნები" მეოთხედ ჩამორჩნენ მეტოქეს. თითქოს ისინი უტევდნენ, ბურთი და მოედანი მათი ჩანდა და ბოლოს და ბოლოს უნდა დაწინაურებულიყვნენ, მაგრამ ხაზში ძალიან ნელა და უნიათოდ გათამაშებული ბურთი პედრო სილვამ ჩაჭრა და 77-ე წუთზე ძელებს შუა დაგვიდო. საქართველომ მარცხს ჩახედა თვალებში, ამჯერი უპირატესობის გაფლანგვის შემდეგ ალარავის გაკვირვებდა, ეს თამაში რომ წაგვეგო, მაგრამ ქართველებმა ბოლოს და ბოლოს შეგლიჯეს პორტუგალიელები და ბედად კვირიკაშვილმა ისევ ზუსტად დაარტყა.

ამგვარად ფრედა შეგვრჩა თამაშში, რომელიც აუცილებლად უნდა მოგვეგო. ერთა თასს ჯანიც გავარდეს და, ეს ტურნირი ხომ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევიცაა. ვინ იცის, სად დაგვხვდება ეს ფრე, რომელიც ასეთი მოსაპოვებელი გაგვიხდა და მარცხის ტოლფასი კი შეიძლება გამოდგეს.

**ირაკლი ფირაშვილი**

14 თებერვალი

**გერმანია 0:22 რუმინეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 2 | 2 | 0 | 0 | +31 | 6 |
| რუსეთი | 2 | 2 | 0 | 0 | +31 | 6 |
| საქართველო | 2 | 1 | 1 | 0 | +33 | 5 |
| ესპანეთი | 3 | 1 | 0 | 2 | -25 | 5 |
| პორტუგალია | 2 | 0 | 1 | 1 | -4 | 3 |
| გერმანია | 3 | 0 | 0 | 3 | -66 | 3 |



ნუგზარ სუპრიანის ფოტო

ირაკლი ნატრიაშვილი პორტუგალიელებში მიიბრძვის

# ნამატჩევს



**ტომაშ მორაეში,** პორტუგალიის ნაკრების თავკაცი: საქართველოს ძალიან ძლიერი ნაკრები ჰყავს და ჩვენ ყოველთვის განსაკუთრებით ვემზადებით თქვენთან სათამაშოდ. ვღელავდით, გარდა ამისა, ჩვენმა შერკინებამ ვერ ითამაშა სათანადოდ და პრობლემები შეგვექმნა ამის გამო. რუსეთთან მარცხის შემდეგ ასეთი კარგი თამაში აუცილებელი იყო. ბიჭები უფრო თავდაჯერებულები გახდნენ და საკუთარი ძალების ირწმუნეს. რუსეთთან შედარებით თქვენ ბევრად ძლიერი ნაკრები გყავთ. შერკინებაც და გამოცდილებაც საქართველოს მხარეს არის. რუსები ჩვენთან გაშლილ თამაშს ცდილობდნენ და ეს ნაწილობრივ გამოუვიდათ, თუმცა შერკინება ვერ უბამდა მხარს გუნდს.

რაც შეეხება ერთა თასის ფავორიტობას, ვფიქრობ მსოფლიოს თასზე გასასვლელად რუმინეთი, საქართველო, რუსეთი და პორტუგალია იბრძოლებენ. აუცილებლად უნდა მოვუგოთ შინ გერმანიას და ესპანეთს, მერე კი რუმინეთთან და საქართველოსთან გვაქვს მნიშვნელოვანი თამაშები.

**ტიმ ლეინი,** საქართველოს ნაკრების თავკაცი: ჩვენი ვერმოგების მიზეზი პორტუგალიის კარგი თამაშია. თავიდან 20 წუთი ჩვენი თამაში ვითამაშეთ. კარგი იყო შერკინება და დერეფანი. მაგრამ მეტოქის დაცვა კედელივით იდგა. ეპიზოდებში კონცენტრაციაც გვაკლდა. თუმცა ბიჭებს თავდაჯერება ეტყობოდათ და ბოლომდე იბრძოლეს. ისე კი პორტუგალიას ორი ლელო ვაჩუქეთ.

რაც შეეხება პრაგმატულ ტაქტიკას, შევეძლო ჯარიმები დაგვერტყა, მაგრამ ვფიქრობ, სწორად მოვიქეცით, რომ არ დავარტყით. დერეფანი უნდა მოგვეგო და შეგვეტია. არჩეული გზიდან გადახვევას არ ვაპირებ თუ რაგბის კავშირს ჩემი მუშაობა არ მოსწონს, შეუძლია გამიშვას.



ზოგიერთ ეპიზოდში ირაკლი აბუსერიძე და ლაშა მალაღურაძე ერთმანეთს ვერ აგებინებდნენ და ამაზე უნდა ვიმუშაოთ.

გარკვეულწილად 14-დღიანმა შეკრებამ დაგვღალა. გერმანიიდან რთულად ჩამოვედით და ბიჭები მაგრადაც დავტვირთე. ცოტა გადაღლილები იყვნენ".

# ზერაგბი ლამაზად დაიწყო

**ზე-14-ის** პირველი ტურის ყველაზე დაძაბული და დრამატული თამაში — ცოტა გასაკვირია და — ერთ-ერთ ფავორიტსა და აუტსაიდერს შორის გაიმართა. ავსტრალიური „ბრამბიზი“ ახალზელანდიის უსუსტეს გუნდ „ჰაილენდერს“ იოლი გამარჯვებაში დარწმუნებული ეწვია. „ბრამბიზი“ ავსტრალიის ნაკრების საბაზისო გუნდია, ორჯერ მოუგია ზე-14 და საერთოდ ერთადერთი ჩემპიონია ავსტრალიიდან. „ჰაილენდერზი“ კი ლიგის აუტსაიდერია და ახალი ზელანდიის ნაკრებში პრაქტიკულად არ ყავს თავისი კაცი. მოკლედ რომ ვთქვათ, შემადგენლობა „არ უცვირის“.

მაგრამ, დახეთ, რა შესძლებია შინაურ გარემოს! „მთიელებმა“ თავიდანვე მძლავრად შეუტიეს, ზედიზედ სამი ლელო გაიტანეს და 19:0 ჩამოიტოვეს სტუმრები. ოზები მერე კი გამოცოცხლდნენ და „ვოლაბების“ და „ბრამბიზის“ სახელოვანმა კაპიტანმა სტირლინგ მორტლოკმა ზედიზედ ორი ლელო დაუდო ახალზელანდიელებს. ბებერ სკიპერს მიჰყვნენ ავსტრალიის ნაკრების ახალგაზრდა წევრები — ადამ ეშლი-კუპერი და მარკ ჯერარდი. ზედიზედ ოთხ ლელოს თითქოს საბოლოოდ უნდა გაეტეხა მეორე ტაიმში 19:30 ჩამორჩენილი „ჰაილენდერზი“. მაგრამ მასპინძლები თავისას ცდილობდნენ, კიდევ ორჯერ დაალელოვეს მეტოქე და მატჩის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე მეორედ დაწინაურდნენ — 31:30.

მაჩანჩალა „ჰაილენდერზი“ ამ უტეხობისთვის ალალ გამარჯვებას იმსახურებდა, თუმც მათდა სამწუხაროდ ლიდერი კიდევ ერთხელ შეიცვალა. ავსტრალიელთა დამრტყმელმა კრისტიან ლილიფანომ ბოლო წუთზე მომაკვდინებელი არეკნი გაიტანა და საბოლოო ანგარიშად 33:31 დააფიქსირა, ოზთა სასარგებლოდ.

სულ ამ თრილერივით შეხვედრაში 9 ლელო გავიდა და ამ საქმეში დამარცხებულებმა გამარჯვებულებს კიდეც აჯობეს. ოთხი და მეტი ლელოსთვის ორივე გუნდმა მიიღო ერთი ბონუს-ქულა. „ჰაილენდერზმა“ კიდევ ერთიც დაიმატა მცირე სხვაობით წაგებისთვის, თუმცა ეს რა ბედენაა, როდესაც

## ზე-14

### პირველი ტური

13-14 თებერვალი

**ჰაილენდერსი 31:33 ბრამბიზი**
**ფორსი 19:25 ბლუზი**
**ლაიონზი 34:28 ჩიტასი**
**კრუზეიდერსი 19:13 ჩიფსი**
**ჰარიკეინზი 22:26 ვარათაზი**
**ბულზი 33:29 რედზი**

გამარჯვებულის წილი 4 ქულა ასე დასანანად წაუვიდა ხელიდან.

შინ ძნელი გამარჯვებით დაიწყო ჩემპიონმა „კრუზეიდერსმაც“.

## ექვსი ერი

14 თებერვალი. პარიზი
**საფრანგეთი 22:13 შოტლანდია**

14 თებერვალი. კარდიფი
**უელსი 23:15 ინგლისი**

15 თებერვალი. რომი
**იტალია — ირლანდია**

*ანგარიში იხილეთ მე-15 გვერდზე*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უელსი | 2 | 2 | 0 | 0 | +21 | 4 |
| ინგლისი | 2 | 1 | 0 | 1 | +17 | 2 |
| ირლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | +9 | 2 |
| საფრანგეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 2 |
| შოტლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | -22 | 0 |
| იტალია | 1 | 0 | 0 | 1 | -25 | 0 |





„ბრამბიზის“ კაპიტანმა სტირლინგ მორტლოკმა ორი ლელო გაიტანა

# ნატახტარი ჩვენი რაგბისთვის

**საქართველოს** რაგბის კავშირმა კომპანია „ნატახტართან“ 3-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა.

„ნატახტარი“ რაგბის კავშირის და ეროვნული ნაკრების სპონსორი იქნება და „ლელოებისთვის“ სპონსორობის ფარგლებში 270 ათას დოლარს გამოყოფს.

თუ ჩვენი ნაკრები ერთა თასზე გაიმარჯვებს და მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე ითამაშებს, „ნატახტარი“ დამატებით 50 ათასი დოლარითაც დაასაჩუქრებს ეროვნულ გუნდს.

აქვე ვთქვათ, რომ „ნატახტარი“ უკვე არის ფეხბურთის ფედერაციის სპონსორი და ხელშეკრულებთ ფარგლებში 600 ათასი დოლარი აქვს გამოყოფილი.

რაგბის კავშირსა და კომპანია „ნატახტარს“ შორის ხელშეკრულება ეროვნული სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში გაფორმდა. ჟურნალისტების წინაშე რაგბის კავშირის პრეზიდენტი გია ნიჟარაძე და „ნატახტარის“ გენერალური დირექტორი მეჰმედ კოჩაკი წარდგნენ.

თავიდან სიტყვა *მეჰმედ კოჩაკმა* აიღო, ჩვენ ამ ლამაზ ქვეყანაში არა მხოლოდ ინვესტიციების ჩადებას და ხალხის დასაქმებას ვცდილობთ, სპორტსაც ვეხმარებითო:

— შარშან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან გავაფორმეთ ხელშეკრულება და მაშინ პირობა დავდეთ, რომ ამ პროცესს გავაგრძელებდით. გვჯერა, მორაგბეთა ნაკრები წარმატებას მიაღწევს, რაც ხალხსაც და ჩვენს კომპანიასაც დიდ სიხარულს მიანიჭებს.

*გია ნიჟარაძე* „ეს უმნიშვნელოვანესი დღეა ქართული რაგბისთვის. დიდი მადლობა „ნატახტარს“ თანამშრომლობისთვის. ჩვენ სპონსორებთან, „ლიბოსთან“ და „კვარციტთან“ თანამშრომლობა დროებით შეჩერებულია. იმედია, ისინი მალე ამუშავდებიან. მინდა, მადლობა მათაც გადავუხადო.

ჩვენ სახელმწიფო გვეხმარება, მაგრამ მარტო ეს საკმარისი არ არის. „ნატახტარი“ საჭირო დროს დაგვიდგა გვერდით.

ყველას დავანახებთ, თუ როგორ ვითარდება ერთად ორი ბრენდი“.



გია ნიჟარაძე და მეჰმედ კოჩაკი

# ევროპული გზა ინგლისზე გადის

**საქართველოს** 18-წლამდელ მორაგბეთა ნაკრები 3-12 აპრილს ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს. პატარა „ლელოები“ საფრანგეთის ქალაქ ტულონში 5 აპრილს ინგლისის ნაკრებს მეოთხედფინალში დაუპირისპირდებიან.

ჩვენები სხვა წამყვან ნაკრებებთან ერთად A ჯგუფში არიან. ინგლისის დამარცხების შემთხვევაში ქართველების მეტოქე ნახევარფინალში ირლანდია — რუსეთის წყვილში გამარჯვებული იქნება. თუ „ლელოები“ ინგლისთან დაიჩაგრნენ, მაშინ მეხუთე ადგილისთვის იბრძოლებენ და ნახსენებ წყვილში წაგებულს ეთამაშებიან.

**A ჯგუფი**

*საფრანგეთი, ირლანდია, ინგლისი, იტალია, რუმინეთი, საქართველო, რუსეთი, ბელგია*

**მეოთხედფინალი**

5 აპრილი

**საფრანგეთი — ბელგა (1)**
**ირლანდია — რუსეთი (2)**
**ინგლისი — საქართველო (3)**
**იტალია — რუმინეთი (4)**

**ნახევარფინალი**

8 აპრილი

**(1) გამარჯვებული — (4) გამარჯვებული (A)**
**(2) გამარჯვებული — (3) გამარჯვებული (B)**

**მეხუთე-მერვე ადგილებისთვის**

**(1) დამარცხებული — (4) დამარცხებული (C)**
**(2) დამარცხებული — (3) დამარცხებული (D)**

**პლეი ოფი**

11 აპრილი

**მე-7 ადგილისთვის**

**(C) დამარცხებული — (D) დამარცხებული**

**მე-5 ადგილისთვის**

**(C) გამარჯვებული — (D) გამარჯვებული**

**მე-3 ადგილისთვის**

**(A) დამარცხებული — (B) დამარცხებული**

**ჯგუფის ფინალი**

**(A) გამარჯვებული — (B) გამარჯვებული**

**B ჯგუფი**

*ესპანეთი, პოლონეთი, გერმანია, პორტუგალია, უკრაინა, ჰოლანდია, ლიტვა, შვეიცარია*

**C ჯგუფი**

*ჩეხეთი, უნგრეთი, შვედეთი, ბულგარეთი, ლატვია, ავსტრია, დანია, სერბეთი*

**D ჯგუფი**

*ისრაელი, ლუქსემბურგი, ბოსნია-ჰერცოგოვინა, მოლდოვა, ხორვატია, სომხეთი, პროვინცია კოტ დაჟურის ნაკრები, მონაკო*

ზოლის თხილამურობა

# ქართველები ფესტივალზე

**პოლონური** სლასკბესკიდი ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს უმასპინძლებს. ქართველები პოლონეთში 8 სპორტსმენით გამოვლენ ორ დისციპლინაში. ნინო წიკლაური, დიმიტრი გედევანიშვილი, ირაკლი კიკნაძე, ნატაშა გავა, ჯაბა გელაშვილი და გიორგი გელაშვილი სამთო სათხილამურობაში, ანჟელა ბადური და მიხეილ ავაქიანი კი ბიატლონში ცდიან ძალებს.

ფესტივალი ოფიციალურად 15 თებერვალს გაიხსნა. ჩვენი სპორტსმენები გუშინვე ჩაერთვნენ შეჯიბრში.



რამაზ ფალიანი



თენგიზ მესხაძე

# ფალიანი მოკრივეებს ამერიკულად აჩხუბებს

**საქართველოს** მოკრივეთა ნაკრებს ახალი მთავარი მწვრთნელი ეყოლება. გადაწყვეტილი ამბავია, თენგიზ მესხაძე პოსტს დატოვებს.

მესხაძე მოკრივეებს 2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონატიდან მოყოლებული წვრთნიდა. მან ნაკრები მსოფლიოს პირველობამდე ცოტა ხნით ადრე ჩაიბარა და პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო ტურნირებზეც მას გაჰყავდა ბიჭები. სიზუსტისთვის ისიც ვთქვათ, რომ მესხაძე ნაკრებს ადრეც ავარჯიშებდა და მწვრთნელად მეორედ დაინიშნა.

მის ხელში ნაკრებმა ორი ლიცენზიის მოპოვება შეძლო. ნიკოლოზ იზორიამ (57კგ) და კახაბერ ჟვანიამ (69კგ) საპეკინო ლიცენზიები ბოლო სალიცენზიო ტურნირზე, ათენში, აიღეს. თუმცა უკვე ოლიმპიადაზე ბევრი ვერაფერი მოახერხეს. ჟვანიამ პირველივე ორთაბრძოლა წააგო, იზორიამ კი ერთი ჩხუბის მოგება მოახერხა.

მესხაძე მთავარი მწვრთნელი აღარ იქნება, თუმცა ისეც არ არის, რომ კრივს მთლიანად ჩამოშორდეს. ის ქუთაისში კრივის სკოლის დირექტორია და ფედერაციასთანაც ითანამშრომლებს.

მთავარ სათქმელსაც მივადექით. ნაკრების თავკაცის პოსტზე რამაზ ფალიანის კანდიდატურა განიხილება. ფალიანი ახლა ამერიკაშია და იქ საქმიანობს. მასთან მოლაპარაკება მიმდინარეობს და თითქმის გადაწყვეტილიც არის, რომ ქართველ მოჩხუბრებს ის გაწვრთნის.

საბოლოო პასუხი უახლოეს პერიოდში უნდა გაირკვეს. ერთი, რისი თქმაც შეიძლება — ფალიანი საკმაოდ გამოცდილია და წესით, მისი მუშაობა ნაკრებსაც უნდა წაადგეს. ოლიმპიური კომიტეტის ახალმა პრეზიდენტმა გია ნაცვლიშვილმა ლონდონის ოლიმპიადაზე მოკრივეების მოხვედრა ხომ დაისახა მიზნად და, თან ისიც თქვა, რომ ერთ-ერთმა მოკრივემ რეალურად უნდა იბრძოლოს მედლისთვის. როგორც ჩანს, ფალიანს ამ საქმეში მთავარი როლი დაეკისრება და ვნახოთ.

სექტემბრის დასაწყისში მსოფლიოს ჩემპიონატი გველის, რომელსაც იტალია უმასპინძლებს. მანამდე დრო კი არის, თუმცა არც იმის ფუფუნებაა, ნაკრები მწვრთნელის გარეშე დიდ ხანს იყოს. მსოფლიოს ჩემპიონატამდე ხომ მოსამზადებელი ეტაპია გასავლელი...

**ნიკა ძოწაძე**

მშვილდოსნობა

# ქართველებს მშვილდი მოგვიმრავლდა



ასმათ დიასამიძე

**მშვილდოსანთა** ზამთრის მეექვსე ჩემპიონატს საქართველოს უნივერსიტეტის დარბაზმა უმასპინძლა. პირველობაზე ნაკრების ერთ-ერთი ლიდერის ქრისტინე ესებუას გარდა ყველა წამყვანი მშვილდოსანი შეიკრიბა. საინტერესოა, რომ ჩემპიონატში 60-მდე სპორტსმენი გამოდიოდა, რაც სარეკორდო მაჩვენებელია დამოუკიდებლობის შემდეგ.

ქალთა მეოთხედფინალში დამარცხდა ხათუნა ნარიმანიძე, ვისაც, გეხსომებათ, პეკინის ოლიმპიადაზე სულ ცოტა დააკლდა ოთხეულში მოხვედრამდე.

ნარიმანიძემ 18 წლის ნანა მახარაძესთან წააგო. ამ გოგონამ კი საბოლოოდ ვერცხლის მედალი აილო. 12-12 სროლის შემდეგ ორივეს 105 ქულა ჰქონდა, თუმცა დამატებით გასროლაში მახარაძემ მეტი ნებისყოფა გამოიჩინა. მან ნახევარფინალშიც საკმაოდ ძლიერი ოლგა ლადიგინა დაამარცხა.

ფინალში ასმათ დიასამიძემ 109:93 აჯობა მახარაძეს და ჩემპიონი გახდა. მესამე ადგილი ოლგა ლადიგინამ ნათია ცინცაძეს მოუგო — 111:105.

კაცებში ჩემპიონი თბილისელი შალვა წიბლიაშვილი გახდა. მან ფინალში აჭარელ ლადო ბოლქვაძეს 112:104 აჯობა. ბრინჯაოს ფინალი აჭარლებმა გაათამაშეს — კახა ტრეტიაკოვმა ტარიელ ქადაგიძეს 101:97 მოუგო.

**ნიკა ძოწაძე**

**კაცები**

1. შალვა წიბლიაშვილი (თბილისი)
2. ლადო ბოლქვაძე (აჭარა)
3. კახა ტრეტიაკოვი (აჭარა)

**ქალები**

1. ასმათ დიასამიძე (აჭარა)
2. ნანა მახარაძე (აჭარა)
3. ოლგა ლადიგინა (აჭარა)



შალვა წიბლიაშვილი

ჭიდაობა

# თავისუფლები გაიყვნენ: თურქული ვერცხლი, სომხური შეკრება



ზაზა თურმანიძე

**საქართველოს** თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ჩემპიონატის შემდეგ ნაკრები სომხეთში, წახკაძორში წავიდა მოსამზადებლად.

ნაკრების თავკაცი ზაზა თურმანიძე 14 მოჭიდავეს ავარჯიშებს და სწორედ აქედან უნდა შეირჩეს საევროპო შვიდეული.

აპრილის დასაწყისში ვილნიუსში გასამართ ბებერი კონტინენტის პირველობაზე ქართული შვიდეული ამათგან შეირჩევა — ბესიკ გუჩაშვილი (55კგ), მალხაზ ქურდიანი (60კგ), ოთარ თუშიშვილი, მალხაზ მუზიაშვილი (66კგ), გელა სალირაშვილი (74კგ), რევაზ მინდორაშვილი, თორნიკე სვანიძე (84კგ), ლუკა კურტანიძე, გიორგი გოგშელიძე, გიორგი ჩიქოვანი, ბედლუხ გავაშელიშვილი (96კგ), დავით ოთიაშვილი, ალექსი მოდებაძე და დავით მოძმანაშვილი (120კგ).

ნაკრების რეზერვი კი ანთალიაში იყო და ანკარის ტურნირზე იჭიდავა. თურქეთში 12 ქართველი გავიდა ხალიჩაზე და ერთი მედალი მოიპოვა. მალხაზ ზარქუამ (60კგ), ვინც საქართველოს ჩემპიონატში ვერცხლის მედალს გამორჩა, თურქეთში იგივე სინჯის მედალი აიღო.

ანთალიაში ზარქუას გარდა აიათ იჭიდავეს — ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (55 კგ), გიორგი ბალიაშვილი (60კგ), კობა კაკალაძე (66კგ), გოჩა ლომთათიძე (74კგ), ბექა ჭელიძე, ნიკო გაგნიძე, ირაკლი მარსაგიშვილი (84კგ), ლევან სეთურიძე (96კგ), გიორგი ნიკურაძე და ლაზარე მარსაგიშვილი (120კგ).

ამ ბიჭების უმრავლესობა ნაკრების მესამე და მეოთხე ნომრებად ითვლება და ამ ეტაპზე მათთვის საერთაშორისო გამოცდილების მიღებაა მთავარი. შედეგი ნაკლებად მოეთხოვებოდათ.

**ნიკა ძოწაძე**

# ანტიკოსებს უნგრეთი სურთ და ლიტვაზე ფიქრობენ



**ბერძნულ-რომაული** სტილით მოჭიდავეებმა საქართველოს ჩემპიონატი მოილიეს და მოსამზადებელ შეკრებაზე გადავიდნენ. ბეგი დარჩიას შეგირდები სასტუმრო „ბატესტაში" არიან დაბინავებულნი და ფალავანთა კლუბში ვარჯიშობენ.

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვარჯიშებზე სამ შემადგენლობას უხმო — საქართველოს ჩემპიონები, ვერცხლის მედალოსნები და მესამე ადგილოსნებს შორის გამარჯვებულები. შეგახსენებთ, რომ დარჩიამ ჩემპიონატის დროს ბრინჯაოს მფლობელები დააჭიდა ერთმანეთს და გამარჯვებულები შეკრებაზე გამოიძახა.

მოსამზადებელ ეტაპს უნგრეთში გასამართი ოქროს გრან პრი მოსდევს. მერე ბათუმში გაგრძელდება ვარჯიში და ამას თბილისის ანაც ლიტვის შეკრება მოჰყვება. ბალტიისპირელები გვეპატიჟებიან და ჯერ უცნობია, წავლენ თუ არა ჩვენები.

სავარაუდოდ, მარტიდან დაიწყებენ მზადებას ნაკრების ლიდერები.

ისიც ცნობილია, რომ დავით ბედინაძე (60კგ), მანუჩარ კვირკველია (74კგ), ბადრი ხასაია (84კგ) და რამაზ ნოზაძე აპრილის დასაწყისში გასამართ ევროპის ჩემპიონატს გამოტოვებენ.

**ნიკა ძოწაძე**

ჭადრაკი

# 600 დოლარი ირანიდან

**ირანში** კუნძულ კიშზე 191-მა მოჭადრაკემ მოიყარა თავი და 25 ათას დოლარიან ტურნირზე ითამაშა.

ქართველებმა, ვალერიან გაფრინდაშვილმა და აკაკი შალამბერიძემ 12 საუკეთესოში შესვლა შეძლეს.

გაფრინდაშვილმა 7 ქულით მე-9 ადგილი ირგუნა. შალამბერიძემ 6,5 ქულას მოუყარა თავი და მე-12 ადგილს დასჯერდა.

ვალერიანს 500, ხოლო აკაკის 100 დოლარი გადასცეს.

ჩემპიონი ბელგიელი ვადიმ მალახატკო გახდა 7,5 ქულით. მან 5 ათასი დოლარი ირგუნა. ბელგიელმა დამატებითი მაჩვენებლების წყალობით აჯობა ირანელებს ხუფიგის და მოოსავიანს.

ხელბურთი



ირაკლი კეკელიძე და ბექა ორჯონიკიძე

# საოცრება: ხელბურთელები შეკრებაზე

**საქართველოს** ხელბურთელთა ახალგაზრდული ნაკრები ერთი კვირაა, რაც დიღმის მანეჟში ვარჯიშობს. ჩვენები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის ემზადებიან. ეს ამბავი რომ გავიგეთ, სიმართლე გითხრათ, გაგვიკვირდა კიდეც. მავანი გვეტყვის, ამაში საოცარი რა არისო, მაგრამ ვინც ცოტათი მაინც არის ჩახედული ქართული ხელბურთის სამზარეულოში, ყველაფერს მიხვდება. ეროვნული ნაკრების ექსთავკაცის იმედო ფხაკაძის გადადგომის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ დიდი ხეწნის მიუხედავად ნაკრების შეკრება ვერაფრით მოხერხდა. სამწუხაროდ, ქართული ხელბურთის რეალობა დღეს ასეთია და ახალგაზრდული ნაკრების შეკრებაც კი გაგაკვირვებს კაცს...

ახალგაზრდულს ჯემალ ბარამიძე თავკაცობს. მას ირაკლი კეკელიძე და ბექა ორჯონიკიძე ეხმარებიან. ქართველებს მეტოქედ პორტუგალიელი, თურქი და ბელგიელი თანატოლები ჰყავთ. მომდევნო ეტაპზე ერთი საუკეთესო გადის. ჩვენი ჯგუფის თამაშებს 10-12 აპრილს პორტუგალია უმასპინძლებს.

ნაკრები საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ხელბურთელებით არის დაკომპლექტებული. გაფართოებულ შემადგენლობაში ლეგიონერებიც არიან, მაგრამ ისინი ჯერჯერობით ბიჭებთან ერთად ვარჯიშს ვერ აზერხებენ. ირაკლი ჩიქოვანი (მეტალოპლასტიკა, სერბეთი) და გაგა სამყურაშვილი (ორმანი, თურქეთი) ნაკრებს, ალბათ, მოგვიანებით შეუერთდებიან.

ბექა ორჯონიკიძემ კი ეს გვითხრა: „ერთი კვირაა, ვვარჯიშობთ. გვინდა, რომ ბაქოში მოხერხდეს რამდენიმე დღით წასვლა და ამხანაგური თამაში, მაგრამ რამდენად შევძლებთ ამას, ვერ გეტყვით. აუცილებლად ვითამაშებთ ქართულ გუნდებთან. მალე ასაკობრივი გუნდების ჩემპიონატი დაიწყება და ხელბურთელებს კიდევ დავაკვირდებით. რაც შეეხება მეტოქეებს, ინფორმაციას ჯერ არ ვფლობთ. ისე კი, იოლი თამაშები რომ არ გვექნება, ვიცით. ევროპაში სუსტად აღარავინ თამაშობს".

**ლევან მაისურაძე**

### საქართველოს ნაკრები

*გიორგი ტორონჯაძე (სტუ), დავით სიგუა (სტუ), ზურაბ მელქოშვილი (სტუ), გიორგი ჩიქოვანი (სტუ), ნიკა ჯორბენაძე (სტუ), ლუკა ჩიხლაძე (თბილისი), ვანო ქარდავა (თბილისი), იური იობაშვილი (თბილისი), გოგა ფერაძე (სტუ), გიორგი ნიკოლაიშვილი (სამტრედია), გოგიტა ნიკურაძე (სამტრედია), გიორგი ჯოხარიძე (სტუ), დავით მძელური (რუსთავი), თორნიკე დვალიშვილი (რუსთავი), ირაკლი სოხაძე (ქარიშხალა), გიორგი ადამია (ქუთაისი), ჯუმბერ ხუნჯუა (ფოთი), უჩა გამზარდია (ფოთი)*

წყალში ხტომა

# ჰოლანდიურ წყალს მედლები ამოჰყვა



ალექსანდრე გუჯაბიძე და თამარ სიჭინავა

**ჰოლანდიის** ქალაქ ეინდჰოვენში წყალში მხტომელთა საერთაშორისო ტურნირზე ქართველი სპორტსმენები კარგად გამოვიდნენ.

14-წლამდელ გოგონათა შორის 2 სახეობაში, 3-მეტრიანი ტრამპლინიდან და 5-მეტრიანი კოშკურიდან ხტომაში საუკეთესო 10 წლის თამარ სიჭინავა იყო.

16-წლამდელ ვაჟებს შორის აკაკი ივანიშვილმა ორი ვერცხლის მედალი დაისაკუთრა, ის 1 და 3 მეტრიანი ტრამპლინიდან გადმოხტა.

ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ალექსანდრე გუჯაბიძემ, რომელიც 10-მეტრიანი კოშკურიდან გადმოხტა.

მედლების გარეშე დარჩნენ 15 წლის თეონა ყაჭეიშვილი და 18 წლის სალომე ჯულელი.

ქართველი წყალში მხტომელები მზადებას ვაკის საცურაო აუზში განაგრძობენ. მათ 1-5 ივლისს ბუდაპეშტში იუნიორთა ევროპის ჩემპიონატი ელით. ევროპირველობაზე სავარაუდოდ 5 სპორტსმენი წავა.

**ნიკა ძოწაძე**

წყალბურთი

# წყალბურთელებმა წაგება დაივიწყეს

**უკრაინის** წყალბურთელთა ღია პირველობაზე პირველი წრის მეორე ტურის მატჩები ჩატარდა. ტურნირზე ტრადიციულად ითამაშა საქართველოს ნაკრებმა, რომელმაც სამი თამაშიდან ორი მოიგო და ერთი ფრედ დაასრულა. ჩვენები ხარკოვის ბმკ-ს 5:5 ეთამაშნენ. მომდევნო თამაში ასევე ხარკოვის გუნდთან, ხპისთან იყო. თამაში ქართველების უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით 14:5 დამთავრდა. მესამე თამაშში კი ჩვენებმა ბელარუსის ნაკრებს 17:9 მოუგეს.

ნაკრები უკრაინაში მომდევნო ტურს დაახლოებით ერთ თვეში ითამაშებს. მანამდე ვარჯიშები გაგრძელდება და ჩერნოგორიაში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირამდე მოსამზადებელი შეკრებაც იგეგმება. ეს ტურნირი აპრილის თვეში ჩატარდება.

ჩოგბურთი

# ნაჩუქარი ნახევარფინალი

**ქართველი** ჩოგბურთელი სოფო შაფათავა [illegible] სტოკჰოლმში 25 ათას დოლარიან ტურნირზე თამაშობდა და წყვილებში ნახევარფინალში გავიდა.

სოფო რუს გავეროვასთან იყო შეამხანაგებული და მერვედფინალში მასპინძლებს ალგურინისა და ანდლოვიჩის ხვდებოდნენ, მაგრამ შვედები სათამაშოდ არ გამოცხადნენ და ჩვენთვის საინტერესო წყვილი მომდევნო ეტაპზე უბრძოლველად გავიდა.

მომდევნო მეტოქე პირველ ნომრად განთესილი ჩეხების პლავაჩკოვასა და მილევსკაიას დუეტი იყო, მაგრამ იღბალი გვაქვსო, სოფომ და გავეროვამ უნდა თქვან. მეტოქეები კორტზე არც ამჯერად გამოცხადნენ. ნახევარფინალში ავსტრიელ კლაფნერისა და ბელარუს მილევსკაიას წყვილთან შაფათავამ და გავეროვამ 6:3 2:6 6:10 წააგო.

რაც შეეხება ერთეულთა შეჯიბრს, იქ სოფომ მეორე ნომრად განთესილ ავსტრიელ ივონ მეუსბერგერთან 3:6 0:6 დათმო.

# მაკა იწყებს და მარცხდება

**ბოლო** დროს მაკა ჩახნაშვილი წაგებებს ძალიან დაეჩვია, ავსტრალიის ღია პირველობაზე პირველივე მატჩში წაგების შემდეგ ხეირიანად ვერც სხვა საერთაშორისო ტურნირებზე თამაშობს.

საფრანგეთში საკმაოდ პრესტიჟულ ტურნირზე 17 OPEN GDF SVEZ-ზე ქართველმა მეჩოგნემ ერთეულთა და წყვილთა შორის ითამაშა და ორივეგან პირველივე ეტაპზე წააგო.

შეჯიბრში, რომლის საპრიზო ფონდიც 750 ათასი დოლარია, მაკა საკვალიფიკაციო ბადიდან ჩაება და მე-3 რეიტინგის მქონე გერმანელ ჯულია გეორგესთან 4:6 2:6 წააგო.

წყვილებში ჩვენებურის მეწყვილე ასევე გერმანელი ჯულია შრუფი იყო. ამათ ჩეხ პეშკესთან და ამერიკელ რეიმონდთან 5:7 3:6 დათმეს და ტურნირს ხელი დაუქნიეს.

# ზამთარი დამთავრდა

**საქართველოს** 16-წლამდელ ჩოგბურთელ გოგონათა და ვაჟთა ნაკრებებმა 2009 წლის ევროპის ზამთრის თასის გათამაშების ჯგუფური ეტაპი ვერ დაძლიეს.

ჯგუფებში 8-8 ნაკრები იყო. ფინალურ ეტაპზე 2 საუკეთესო გადიოდა. თითოეული ნაკრები ორ-ორ მატჩს ატარებდა. ჩვენი გოგონები — ნინო სუჯაშვილი, თაკო კობახიძე და სალომე კვიტაშვილი — რუმინეთის, ბულგარეთის, სლოვაკეთის, ესპანეთის, პოლონეთის და იტალიის ნაკრებების წინააღმდეგ თამაშობდნენ. მერვე გუნდი მოლდოვა იყო, მაგრამ მათ იტალიურ მანიაგოში ჩასვლა არ ინებეს. ქართველებმა 0:3 ჯერ პოლონეთთან წააგეს, მერე მეექვსე ადგილისთვის იტალიასთან. ჯგუფიდან სლოვაკეთი და რუმინეთი გავიდნენ. დასკვნით ეტაპს 20-22 თებერვალს საფრანგეთი უმასპინძლებს.

ბიჭებს თამაში სწორედ საფრანგეთში, ქალაქ შოლეში მოუწიათ. მეტოქეებად კი — ესპანეთი, თურქეთი, პორტუგალია, ჩეხეთი, უნგრეთი, სლოვაკეთი და მასპინძელი საფრანგეთის ნაკრებები ჰყავდათ.

ალექსანდრე მეტრეველმა, გიორგი ცივაძემ და დათო ხუციშვილმა მეოთხედფინალში 1:2 წააგეს თურქეთთან, მერე კი ასევე 1:2 მეექვსე ადგილისთვის მატჩი პორტუგალიასთან დათმეს. ფინალური ეტაპი, რომელზეც საფრანგეთი და ესპანეთი ითამაშებენ, 20-22 თებერვალს ჩეხეთში ჩატარდება.

ხელბურთი

# დათუკაშვილს თებერვალი ერგო



**სერგო დათუკაშვილის** გუნდი ამხანაგურ მატჩებს ატარებს და ევროთასებისთვის ემზადება. სლოვენიური „გორენიე" ჩემპიონობისთვისაც იბრძვის, თუმცა აქ სხვა თემაზე მოგითხრობთ.

სლოვენიურმა კლუბმა 2009 წლის კალენდარი დაბეჭდა. თითოეულ თვეს დათუკაშვილის გუნდის ხელბურთელთა ფოტოები ამშვენებს.

კალენდარში მოხვედრის პატივი ჩვენებურ მოთამაშესაც შეხვდა. სერგო სწორედ თებერვლის თვის ფოტოზეა გამოსახული.

„გორენიეს" ბლომად ერთგული გულშემატკივარი ჰყავს. გუნდის თამაშზე ყოველთვის ბევრი ადამიანი მიდის და არც ეს კალენდარი დარჩენილა გაუყიდავი.

# HAPPY BIRTHDAY

www.wikipedia.org

**16 თებერვალი**

1906 ვერა მეჩნიკი (ჩეხეთი, ჭადრაკი)
1929 გერჰარდ ჰანაპი (ავსტრია, ფეხბურთი)
1953 ლარი მაკდონალდი (კანადა, ჰოკეი)
1958 ოსკარ შმიდტი (ბრაზილია, კალათბურთი)
1959 ჯონ მაკინროი (აშშ, ჩოგბურთი)
1964 ბებეტო (ბრაზილია, ფეხბურთი)
1970 ანჯელო პერუცი (იტალია, ფეხბურთი)
1973 კეტი ფრიმენი (ავსტრალია, მძლეოსნობა)
1978 ტია ელებო (ბელგია, მძლეოსნობა)
1979 ვალენტინო როსი (იტალია, მოტორბოლა)

**17 თებერვალი**

1936 ჯიმ ბრაუნი (აშშ, ამერიკული ფეხბურთი)
1963 მაიკლ ჯორდანი (აშშ, კალათბურთი)
1966 ლუკ რობიტალი (კანადა, ჰოკეი)
1982 ადრიანო (ბრაზილია, ფეხბურთი)

**18 თებერვალი**

1933 ბობი რობსონი (ინგლისი, ფეხბურთი)
1947 კარლოს ლოპესი (პორტუგალია, მძლეოსნობა)
1957 მარია კოხი (აღმოსავლეთ გერმანია, მძლეოსნობა)
1963 რობ ენდრიუ (ინგლისი, რაგბი)
1967 რობერტო ბაჯო (იტალია, ფეხბურთი)
1969 ალექსანდრ მოგილნი (რუსეთი, ჰოკეი)
1979 კლოდ მაკელელე (საფრანგეთი, ფეხბურთი)
1974 ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი, ფეხბურთი)
1975 გარი ნევილი (ინგლისი, ფეხბურთი)
1978 იოსიპ შიმუნიჩი (ხორვატია, ფეხბურთი)
1981 ანდრეი კირილენკო (რუსეთი, კალათბურთი)
1983 ჯერმენ ჯენასი (ინგლისი, ფეხბურთი)

**19 თებერვალი**

1954 სოკრატესი (ბრაზილია, ფეხბურთი)
1962 ჰანა მანდილკოვა (ჩეხოსლოვაკია, ჩოგბურთი)
1966 ენცო შიფო (ბელგია, ფეხბურთი)
1977 ჯანლუკა ძამბროტა (იტალია, ფეხბურთი)
1978 მიხალის კონსტანტინუ (კვიპროსი, ფეხბურთი)

**20 თებერვალი**

1940 ჯიმი გრივსი (ინგლისი, ფეხბურთი)
1942 ფილ ესპოზიტო (კანადა, ჰოკეი)
1971 იარი ლიტმანენი (ფინეთი, ფეხბურთი)
1977 სტივენ მარბერი (აშშ, კალათბურთი)
1980 იმანოლ არინორდოკი (საფრანგეთი, რაგბი)

**21 თებერვალი**

1949 რონი ჰელსტრიომი (შვედეთი, ფეხბურთი)
1967 ლეროი ბარელი (აშშ, მძლეოსნობა)
1974 ივან კამპო (ესპანეთი, ფეხბურთი)
1974 რობერტო ერასი (ესპანეთი, ველორბოლა)
1977 სტივ ფრენსისი (აშშ, კალათბურთი)
1984 დევიდ ოდონკორი (გერმანია, ფეხბურთი)
1985 გეორგიოს სამარასი (საბერძნეთი, ფეხბურთი)

**22 თებერვალი**

1944 ტომო კერი (ჰოლანდია, ჩოგბურთი)
1949 ნიკი ლაუდა (ავსტრია, ავტორბოლა)
1950 ჯულიუს ირვინგი (აშშ, კალათბურთი)
1965 პატ ლაფონტენი (აშშ, ჰოკეი)
1969 ბრაიან ლაუდრუპი (დანია, ფეხბურთი)
1972 კლაუდია პეშტეინი (გერმანია, ციგურაობა)
1973 ჟუნინიო პაულისტა (ბრაზილია, ფეხბურთი)
1977 ჰაკან იაკინი (შვეიცარია, ფეხბურთი)
1979 ბრეტ ემერტონი (ავსტრალია, ფეხბურთი)
1986 რაჯონ რონდო (აშშ, კალათბურთი)

„მისი უპაეროვნესობა"
მაიკლ ჯორდანი
17 თებერვალს
46 წლის ხდება



# ჰონდა გადარჩა?

**ახალი** ცნობები მოვიდა „ჰონდასგან". 2008 წეზონის ჩამთავრების შემდეგ იაპონური საჯინიბო პრაქტიკულად დაიშალა. 2009 წლის ჩემპიონატში სამონაწილეო განაცხადი კი შეიტანა, მაგრამ სასწაულის იმედადღა იყო. ახლა კი გაჩნდა არაოფიციალური ინფორმაცია, თითქოს გუნდის შეფმა როს ბრაუნმა ახალი ბოლიდების მომზადების ბრძანება გასცა. მან ინტერნეტ-წერილით აცნობა გუნდის წევრებს, რომ ხელი მოაწერა ხუთ მსხვილ სპონსორთან ხელშეკრულებას და ასე გადაარჩინა „ჰონდა". ძნელი სათქმელია, რამდენად შეეფერება ეს ცნობა რეალობას, მაგრამ საჯინიბო კი ახმაურდა.

რუბრიკას წარმოგიდგენთ
Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი







# წითელი ხარი გადმობრუნებულ თხილამურზე

**9 თებერვალს** ახალი ბოლიდის პრეზენტაცია მოაწყო „რედ ბულმა", რომელსაც სპონსორის სახელი და ლოგო მრისხანებას კი ჰმატებს, თუმცა ხარი და ბულა ნაღდად არასდროს ყოფილა, მუდამ საშუალოებში ტრიალებდა — 2007 წელს მეხუთე იყო, მანამდე და მას მერე კი ერთთავად მეშვიდე ადგილი ეკავა.

რა ადგილს დაიჭერს „რედ ბული" წლევანდელ ჩემპიონატში, ამის კონკრეტულ პროგნოზირებას კაციშვილი ვერ გაბედავს. ახალმა აეროდინამიკულმა რეგლამენტმა გადაბრუნებული დომინოს ქვებივით აურია ყველაფერი. გუნდებს ბოლიდების ახალ პარამეტრებში ჩასმა უწევთ, მრავალ სიახლეს ცდიან და არავინ იცის, ვინ როგორ შეეწყობა ნოვაციებს. თუმცა „რედ ბულს" ალბათ არც წლეულს გაიკარებენ ლიდერები. მიზანი იქნება ასევე საშუალო გაქანების „ტოიოტასა" და „უილიამსის" გადასწრება, მესამეობისთვის მებრძოლ „რენოსა" და „ბმვ ზაუბერამდე" კი ალბათ ვერ ახტებიან „წითელი ხარები".

მაგრამ ავსტრიულ საჯინიბოს კონკრეტული მიზანიც ჰქონია:

„2009 წლის ჩემპიონატში ერთი რბოლა მაინც უნდა მოვიგოთ" — აცხადებს გუნდის შეფი კრისტიან ჰორნერი.

„ხარებს" მანამდე არასდროს მოუგიათ რომელიმე დიდი პრიზი, სამჯერ მესამე ადგილზე დაამთავრეს რბოლა და ეს ორჯერ მოახერხა დევიდ კულტჰარდმა, ვინაც წლეულს გუნდში აღარაა. ვეტერანმა ვარსკვლავმა საერთოდ დაასრულა კარიერა.

მაგრამ ჰერ ჰორნერის და კომპანიის იმედს ახალი პილოტი კვებავს — 21 წლის გერმანელი სებასტიან ფეტელი, რომელმაც შარშან კანადის დიდი პრიზი მოიგო და ამით ფორმულა ერთის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებული შეიქნა. და საერთოდ, ამ უნიჭიერეს გერმანელზე და მის საჩემპიონო კოჭებზე ბევრს საუბრობენ და „რედ ბულს" დიდად გაუმართლა, მისი ხელში ჩაგდება რომ ჩეძლო. 2008 წელი ფეტელმა „სკუდერია ტორო როსოში" გაატარა და საერთო ჩავლაში მერვე ადგილი დაიკავა. ჩვენ კი გავიხსენოთ, რომ ფეტელის ძველ და ახალ გუნდს საერთო სპონსორი ჰყავს. მეტიც — „ტორო როსო" იტალიურად იგივეა, რაც „რედ ბული"; ასე რომ, გერმანელმა არსებითად ერთი კომპანიის ორ სხვადასხვა ფერის ბოლიდი გამოიცვალა.

„რედ ბულის" ის ახალ ბოლიდი — რომელიც ფეტელმა და ავსტრალიელმა მარკ ვებერმა რამდენიმე დღის წინ ესპანური ხერესის ავტოდრომზე წარმოადგინეს — ააწყო სწორედ შარშანდელი „ტორო როსოს" კონსტრუქტორმა ადრიან ნიუიმ, რომელიც ამიერიდან „რედ ბულში" იმუშავებს. ამიტომაც გაუჩნდა კრისტიან ჰორნერს გამარჯვების ამბიცია.

რაც შეეხება ახალ მანქანას, მას RB5 ეწოდება და 2009 წლის სხვა ბოლიდების მსგავსად ძალიან ბევრით განსხვავდება წინამორბედებისგან. უხდება მუქი ლურჯი შეფერილობა, თუმც გადმობრუნებული თხილამურის მსგავსი წვრილი, ჩამოკაუჭებული ცხვირი ბევრმა დაუწუნა.

კრისტიან ჰორნერი — „ჩვენი გუნდი წლების განმავლობაში სტაბილურად გამოდიოდა სხვადასხვა ტრასებზე და სწორედ ამ სტაბილურობაზე გავლით მივიწევთ მწვერვალისკენ. აუცილებლად უნდა მოვიგოთ თუნდაც ერთი რბოლა, უკვე მომწიფდა საამისო სიტუაცია."

**ვანო ჭობიაშვილი**

# მოტო შუმის საქმე არ არის

**მსოფლიოს** შვიდგზის ჩემპიონი ფორმულა ერთში მიხაელ შუმახერი ავარიაში მოჰყვა და სერიოზულ ტრავმას ძლივს გადაურჩა. ამბავი ესპანეთში მოხდა, შუმახერი მოტოციკლს აჯირითებდა.

„მადლობა ღმერთს, გადავრჩი და ეს იმ ადამიანების დამსახურებაცაა, ჩემმა ავარიამ რომ შეაწუხა და გამოჯანმრთელება მისურვა — თქვა გერმანელმა პილოტმა — მართალია, მცირე ტრავმები და დაჟეჟილობები მაქვს, მაგრამ სერიოზული არაფერია."

40 წლის შუმახერი მოტოციკლიდან კარტახენას სარბოლო ტრასაზე გადმოვარდა. იქ ის სპორტული მოტოციკლის ახალი მოდელის შესამოწმებლად იყო მიწვეული. დიდი გერმანელის პრესმდივანმა საბინა კემმა დაადასტურა, ავარიის მერე მიხაელმა მცირე ხნით გონებაც დაკარგა, თუმცა საგანგაშო არაფერი შემთხვევიაო. თავდაპირველად კი ესპანურ გაზეთებში დაიწერა, ძალიან მძიმედ დაშავდაო.

**ირაკლი ნინიძე**

მსოფლიოს ჩემპიონატი. ვალ დიზერი (საფრანგეთი). 2-15 თებერვალი

# ჩემპიონი ვერ ხსნის შამპანურს

## სარკედ ქცეული თოვლის რჩეულნი

SKI ALPIN F/I/S
CHAMPIONNATS DU MONDE
Val d'Isère 2009
SAVOIE-FRANCE

**არც ერთ** სახეობაში არ არიან სპორტსმენები ამინდზე ისე დამოკიდებულები, როგორც თხილამურობაში. ჯერ კბილების კაწკაწით ელიან, როდის მოვა თოვლი. თუ არ მოვა, შეჯიბრი ჩაუვარდებათ, ზედმეტად ბევრი მოვა და, სრიალი შეუძლებელი ხდება. თუ ყინვები დაიჭირა, ზედაპირი ისარკება და ამას მოცურება-დაცემა-დამტვრევა მოჰყვება. თუ მზე დააჭერს, თოვლი ლღვება და სრიალს ანელებს. ნისლი, ქარი, სიცივე, სისველე– კარგი გამლება მისცა ამ ხალხს. ამ ყველაფრის გამოა სამთო თხილამურობაში შედეგები ამინდივით ცვალებადი.

და ყოველივე ამის მერე გამოხტება მავანი თავხედი და ტაროსის ხასიათზე და ტვინის ქეიფზე მოსიარულე სპორტში პროგნოზების გაკეთებას გაბედავს? ზოგი მაინც ბედავს, მაგალითად, ამერიკელმა ბოდე მილერმა მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ჩვეულად დაიკვეხნა, ამას და ამას ვიზამ და ამ დისციპლინას მოვიგებო. ოდესღაც მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლა მოუგია და ახლაც არაუშავს ფორმაშია, მაგრამ ვალ დიზერში ვერაფერიც ვერ მოიგო.

კაცებში მედლების ოთხი კომპლექტი გათამაშდა და ტარაბახა იანკის ერთი უფეროული ბრინჯაოც არ შეხვდა. მეტიც, ზოგიერთ დისციპლინაში ფინიშს საერთოდ ვერ უწია, იმდენად არასტაბილურ გარემოში უწევდა გამოსვლა და ბევრჯერაც მოსრიალდა, ისევე როგორც სხვა მრავალი.

### სვინდალის წილი

ორშაბათს მედლების ორი კომპლექტი გათამაშდა. კაცთა კომბინაციაში საუკეთესო იყო 26 წლის ნორვეგიელი აქსლ ლუნდ სვინდალი, რომელიც წინა ჩემპიონატზე, 2007 წელს, შვედურ არეშიც რიგიანად გამოვიდა, ორი ოქრო იქ მოიგო, თუმც სულ სხვადასხვა სახეობებში — სწრაფდაშვებასა და გიგანტურ სლალომში. კომბინაცია კი, მოგეხსენებათ, სწრაფდაშვებასთან ერთად შეიცავს ყველაზე „ზოზინა" სახეობას, ჩვეულებრივ სლალომს.

ვალ დიზერში სწორედ სლალომში გაუჭირდა სვინდალს. სწრაფდაშვებაში საუცხოო შედეგი აჩვენა, უახლოეს მდევარს წამნახევარზე მეტი მოუგო და ზორბა უპირატესობა შეიქმნა. თუმცა, ჩანს, ეტყობა ამ ლიდერობამ დათვური სამსახური გაუწია, მოყინული ზედაპირისაც შეეშინდა და უკიდურესი თავშეკავებით ისლალომა. გაუბედავი კანკალით მიდიოდა და ერთხელ გზიდანაც გადავიდა, მაგრამ გადარჩა და ფინიშამდე ჩააღწია.

მისი დამსჯელი კი მაინც ვერავინ აღმოჩნდა. ბარე სამ-ოთხი პრეტენდენტი მოლიპულმა ტრასამ შეიწირა. სვინდალს ყველაზე დიდი კონკურენცია გაუწია ვინმე ჟულიენ ლიზერუმ, რომელიც დილის სწრაფდაშვების შემდეგ ათეულშიც არ იყო, მაგრამ საღამოს ისე ჩაუქად ისლალომა, რომ ნორვეგიელს ლამის კისრიდან ჩამოხსნა გარანტირებული მედალი.

სვინდალს მაინც შერჩა თავისი ოქრო. ლიზერუმ კი სლალომში ორ წამზე მეტი რომ მოიგო, ლიდერს 0,90 წამით მიეახლა და ვერცხლიც დაიკიდა, რომლითაც ჩემპიონზე მეტადაც გაიხარა, რაკიღა მისთვის ეს პირველი მსოფლიო მედალი გახლდათ. ფრანგებისთვის კი მეორე ვერცხლი ამ ტურნირზე.

მესამე ადგილით ხორვატული დელეგაცია ანუგეშა ნატკო ზრნჩიჩ-დიმმა და პირველი მედალი მოუპოვა სამშობლოს, რომელმაც ზედ ჩემპიონატის წინ ტრავმის გამო დაკარგა უძლიერესი იანიცა კოსტელიჩი, მიმდინარე სეზონის საუკეთესო მოთხილამურე და მსოფლიო თასის საერთო ჩათვლის ლიდერი.

### დედოფალს შამპანური არ შეერგო

ორშაბათსვე ქალთა სწრაფდაშვებაში იჩემპიონა კუდრაჭა ამერიკელმა ლინდსი ვონმა, ვინაც 24 წლის ასაკში საუკეთესო ფორმაშია და წლეულს გამარჯვებებით და მილიონდოლარიანი ღიმილით ანებივრებს გულშემატკივართა არმიას. ვონმა რამდენიმე დღის წინ სუპერგიგანტში მოიპოვა თავისი პირველი მსოფლიო ოქრო, თუმც ამით როდი ჩაუცხრა საჩემპიონო წყურვილი. პირიქით, სწრაფდაშვებაზე უფრო დამაჯერებლად გამოვიდა.

ვონის ზურგსუკან მეორე ადგილი დაიკავა 17 წლის უნიჭიერესმა შვეიცარიელმა ლარა გუტმა, რომელიც ამ ტურნირზე ამერიკელს ყველაზე მეტად აწერვიულებს — სუპერგიგანტში 0,59 წამით ჩამორჩა, სწრაფდაშვებაში კი 0,56 წამით და დაამტკიცა, რომ პირველი ვერცხლი შემთხვევით არ მოუგია, როგორც ზოგიერთებმა წამოაძახეს.

მაგრამ ვონი მაინც ვალ დიზერის მშვენება და თოვლის დედოფალია — მიუხედავად იმისა, რომ ორ ჩემპიონობას შორის კომბინაციაში ხელი მოეცარა და სლალომი ვერ ჩაამთავრა. მას კიდევ მიეცემა შანსი — დარჩენილია სუფთა სლალომი, რომელშიც ის ასევე ყოჩაღია, თუმცა...

ლინდსის ერთი კურიოზული ხიფათი შეემთხვა — მეორე ოქროს დასველება მოინდომა და შამპანურის ბოთლს სასრიალო ჯოხით (!) დაეჯაჯგურა. ბოთლი შემოატყდა და ხელიც მაგრად გადაისერა. საოპერაციოც კი შეიქნა. რამდენიმე ასეული კილომეტრიც იფრინა და ავსტრიულ ინსბრუკში გაიკეთა მიკრო-ოპერაცია. არადა, ავსტრია საფრანგეთს არც კი ესაზღვრება...

ვონს ხელზე ოთხი ნაკერი დაადეს და თან დაამშვიდეს, 14 თებერვალს სლალომში ხელს არ შეგიშლისო.



ლინდსი ვონი

### ბუნების კაპრიზები და შემთხვევითი ჩემპიონები

12-13 თებერვალს გიგანტური სლალომის ჯერი დადგა. ტრასაზე პირველები ქალები გავიდნენ, რომელთაც ხუთშაბათს ფერდობზე მინუს 20-გრადუსი ყინვა დახვდათ. სასრიალო ზედაპირზე თოვლი კი არა, კარგა გვარიანად მოსარკული ყინული იდო და არაერთი მოთხილამურე ტრასიდანაც გადააგდო. მრავალი ფავორიტის გამოთიშვის შემდეგ უცნაურად დაკომპლექტდა საპრიზო სამეული. გამარჯვება შეხვდა კატრინ ჰოელცლს, რომელმაც გერმანულ დელეგაციას პირველი ოქრო მოუტანა. მისი თანამემამულეებისთვის ეს აგრეთვე პირველი მედალი იყო.

მეორე ადგილზე ტინა მაზეს გასვლით ასევე პირველი მედალი მოიპოვა სლოვენიამ. ტანია პოუტიაინენის მესამეობით მედლების ანგარიში გახსნა ფინურმა დელეგაციამაც.

კაცებს რაღა შეემთხვათ? რა და, იმ ღამეს დაუნანებლად მოთოვა და 13 თებერვალს ნახევარი მეტრი დაახვავა ტრასაზე. ორგანიზატორები საგონებელში ჩავარდნენ. ჯერ თავში ხელი წაიშინეს და გიგანტური სლალომის გადადება დააპირეს, მაგრამ მერე აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ და როგორც იქნა, ზედმეტი თოვლისგან გაწმინდეს ტრასა.

ჩემპიონობა მოიპოვა შვეიცარიელმა კარლო იანკამ; რომელიც კარგი ბიჭი კია და რამდენიმე დღით ადრე სწრაფდაშვებაში მესამე იყო, მაგრამ საჩემპიონოდ მაინც დაგეგნანებოდათ ასეთ მძლავრ კომპანიაში. მაგრამ მან როგორღაც აჯობა ავსტრიელ ბენიამინ რაიხსაც, ნორვეგიელ აქსელ ლუნდ სვინდალსაც და თანამემამულე დიდიე კუშსაც და ვალ დიზერიდან მეორე, უფრო ბრჭყვიალა მედალიც წაიყოლა.

**ვანო კობიაშვილი**

| | | |
|---|---|---|
| **9 თებერვალი. კომბინაცია. კაცები** | | |
| 1 | აქსლ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) | 2.23,00 |
| 2 | ჟულიენ ლიზერუ (საფრანგეთი) | 2.23,90 |
| 3 | ნატკო ზრნჩიჩ-დიმი (ხორვატია) | 2.24,58 |
| **9 თებერვალი. სწრაფდაშვება. ქალები** | | |
| 1 | ლინდსი ვონი (აშშ) | 1.30.31 |
| 2 | ლარა გუტი (შვეიცარია) | 1.30,83 |
| 3 | ნადია ფანჩინი (იტალია) | 1.30,88 |
| **12 თებერვალი. გიგანტური სლალომი. ქალები** | | |
| 1 | კატრინ ჰოელცლი (გერმანია) | 2.03,49 |
| 2 | ტინა მაზე (სლოვენია) | 2.03,58 |
| 3 | ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) | 2.04,03 |
| **13 თებერვალი. გიგანტური სლალომი. კაცები** | | |
| 1 | კარლო იანკა (შვეიცარია) | 2.18,82 |
| 2 | ბენიამინ რაიხი (ავსტრია) | 2.19,59 |
| 3 | ტედ ლიგეტი (აშშ) | 2.19,81 |



აქსლ ლუნდ სვინდალი

## სიკვდილს გადარჩენილი

**ინსბრუკის** კლინიკაში კომადან გამოვიდა შვეიცარიელი მოთხილამურე, 25 წლის დანიელ ალბრეხტი, რომელიც სამი კვირის წინ საშინლად დაიმტვრა და ბეწვზე გადაურჩა სიკვდილს. 2007 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე კომბინაციის მომგები ალბრეხტი იანვარში ავსტრიულ კიცბიუელში მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპისთვის ემზადებოდა, როცა დილის ვარჯიშზე დიდი სისწრაფით მქროლი ტრასიდან გადავიდა და რამდენიმე ათეული მეტრი მოყინულ თოვლში იხოხა. დაშავებული სასწრაფოდ გააქანეს ინსბრუკში, სადაც აპარატზე მიერთებული სამი კვირა ებრძოდა სიკვდილს. ძლიერმა ორგანიზმმა იძალა, სპორტსმენი გადარჩა.

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

## კვირიდან კვირამდე

**8 თებერვალი**

ბოსტონი 99:105 სან ანტონიო
კლივლენდი 91:101 ლეიკერსი
ორლანდო 101:84 ნიუ ჯერსი
მაიამი 96:92 შარლოტი
ვაშინგტონი 119:117 ინდიანა
პორტლენდი 109:108 ნიუ იორკი
ნიუ ორლეანი 101:97 მინესოტა
ოკლაჰომა 116:113 საკრამენტო
დეტროიტი 97:107 ფინიქსი
გოლდენ სტეიტი 116:96 იუტა

**9 თებერვალი**

შარლოტი 94:73 კლიპერსი
ფილადელფია 108:91 ფინიქსი
მემფისი 85:80 ნიუ ორლეანი
მილუოკი 124:112 ჰიუსტონი

**10 თებერვალი**

ინდიანა 96:95 კლივლენდი
ატლანტა 111:90 ვაშინგტონი
ნიუ ჯერსი 93:108 სან ანტონიო
მაიამი 82:99 დენვერი
მინესოტა 102:110 ტორონტო
ჩიკაგო 107:102 დეტროიტი
დალასი 118:100 საკრამენტო
გოლდენ სტეიტი 144:127 ნიუ იორკი
ლეიკერსი 105:98 ოკლაჰომა

**11 თებერვალი**

ფილადელფია 91:87 მემფისი
ტორონტო 91:89 სან ანტონიო
კლივლენდი 109:92 ფინიქსი
ორლანდო 73:82 დენვერი
შარლოტი 101:89 ვაშინგტონი
დეტროიტი 95:99 ატლანტა
ნიუ ორლეანი 77:89 ბოსტონი
მილუოკი 122:110 ინდიანა
ჰიუსტონი 94:82 საკარმენტო
იუტა 113:109 ლეიკერსი
პორტლენდი 106:92 ოკლაჰომა
კლიპერსი 128:124 ნიუ იორკი

**12 თებერვალი**

ჩიკაგო 93:95 მაიამი
დალასი 92:99 ბოსტონი
გ. სტეიტი 105:98 პორტლენდი

### აღმოსავლეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ბოსტონი | 44 | 11 | 80,0 |
| ფილადელფია | 27 | 24 | 52,9 |
| ნიუ ჯერსი | 24 | 29 | 45,3 |
| ნიუ იორკი | 21 | 31 | 40,4 |
| ტორონტო | 21 | 34 | 38,2 |
| **ცენტრალური** | | | |
| კლივლენდი | 40 | 11 | 78,4 |
| დეტროიტი | 27 | 24 | 52,9 |
| მილუოკი | 26 | 29 | 47,3 |
| ჩიკაგო | 23 | 30 | 43,4 |
| ინდიანა | 21 | 33 | 38,9 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| ორლანდო | 38 | 13 | 74,5 |
| ატლანტა | 31 | 21 | 59,6 |
| მაიამი | 28 | 24 | 53,8 |
| შარლოტი | 21 | 31 | 40,4 |
| ვაშინგტონი | 11 | 42 | 20,9 |

### დასავლეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| სან ანტონიო | 35 | 16 | 68,6 |
| ჰიუსტონი | 32 | 21 | 60,4 |
| ნიუ ორლეანი | 30 | 20 | 60,0 |
| დალასი | 31 | 21 | 59,6 |
| მემფისი | 15 | 37 | 28,8 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| დენვერი | 36 | 17 | 67,9 |
| პორტლენდი | 32 | 20 | 61,5 |
| იუტა | 30 | 23 | 56,6 |
| მინესოტა | 17 | 34 | 33,3 |
| ოკლაჰომა | 13 | 40 | 24,5 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ლეიკერსი | 42 | 10 | 80,8 |
| ფინიქსი | 28 | 23 | 54,9 |
| გოლდენ სტეიტი | 19 | 35 | 35,2 |
| კლიპერსი | 13 | 40 | 24,5 |
| საკრამენტო | 11 | 43 | 20,4 |

# ვარსკვლავების საქმე სათადარიგომ გაარჩია

**კვირის მატჩი**

8 თებერვალი. კლივლენდი

**კლივლენდი 91:101 ლეიკერსი**

32:30 29:21 16:29 14:21

კლივლენდი: უილიამსი (19), პავლოვიჩი (5), ჯეიმსი (16 ქულა, 12 პასი, 8 მოხსნა), ვოლესი (2), ილგაუსკასი (22); შჩერბიაკი (16), ვარეჟაო (6), გიბსონი (5), ჰიკსონი

ლეიკერსი: ფიშერი (13), ბრაიანტი (19), უოლტონი (7), ოდომი (28 ქულა, 17 მოხსნა), გასოლი (18 ქულა, 12 მოხსნა); არიზა (6), ვუიაჩიჩი (4), ფარმარი (2), მიმი

**ბევრს** საუბრობენ კობი ბრაიანტისა და ლებრონ ჯეიმსს შორის მეტოქეობაზე, რომელიც ჯერ კიდევ პეკინის ოლიმპიადაზე დაიწყო. ამ დაუსწრებელ დუელს ვერ შევადარებთ მეჯიქ ჯონსონის და ლარი ბერდის დაპირისპირებას. მაშინ სხვა დრო იყო, სხვა სული ტრიალებდა. ჩვენს დროში ფულმა ბევრი რამ წაახდინა, სპორტულ დაპირისპირებაზე ფასეული გახდა მომხვეჭელობა. ამიტომაც დაკრავს კობის და ლებრონის სპორტულ „შუღლს“ კომერციის მძაღე სუნი. და მაინც ეს ბრძოლა სულ მეტად და მეტად იგრძნობოდა.

თანამედროვეობის ორმა ყველაზე პოპულარულმა ვარსკვლავმა ერთმანეთისთვის უპირატესობის დამტკიცება ნეიტრალურ მოედანზე ნიუ იორკში მოინდომა და შუაში მოიყოლა საწყალი „ნიუ იორკი“. ჯერ იყო და, ბრაიანტმა 61 ქულა ჩაუგდო და დარბაზ „მედისონ სკვერ გარდენის“ ყველა დროის რეკორდი დაამყარა. შემდეგ ნიუ იორკში ლებრონის „კლივლენდი“ ჩავიდა და ამანაც კობის მეტოქეობაში 52 ქულა გააკეთა თავისი 11 პასით და 10 მოხსნით (მერე ერთი მოხსნა გაუუქმეს და სამმაგი დუბლი გაუხუნდა).

არ გასულა ერთი სრული კვირა და კობი და ლებრონი პირისპირ დაეჯახნენ ერთმანეთს: ეს ამბავი 8 თებერვალს კლივლენდში მოხდა. მთელი ამერიკა უდაძაბულესი დუელის მოლოდინში გარინდულიყო, სეზონის უძვირფასესი მოთამაშის ტიტულის ორ მაძიებელს წესით ერთმანეთი უნდა დაეჭამა, მაგრამ „სისხლიანი კვეთების“ მოდარაჯე ხალხს იმედი გაუცრუვდა.

დუელი არ ჩაშლილა, მაგრამ ძალზე უფერული გამოდგა. ლებრონ ჯეიმსი ბევრს ცდილობდა და ცოტა გამოსდიოდა. „ლეიკერსის“ დაცვაში თითქოს იოლად პოულობდა ნაპრალებს, მაგრამ მღელვარების, თუ ვინ იცის, რის გამო ძალიან ბევრი სროლა გააცუდა — თამაშში 20-დან მხოლოდ 5 ჩააგდო. ვერც კობი დაფრინავდა, მაგრამ მისი შემთხვევა სულ სხვაა — „ლეიკერსის“ სუპერვარსკვლავს რაღაც ვირუსი შეჰყროდა და სუსტად გამოიყურებოდა. დიდ შესვენებაზე პირდაპირ ვენაში შეუშხაპუნეს წამალი. ლებრონის არ იყოს, ვერც ის ასცდა 20 ქულას.

რაც შეეხებათ გუნდებს, პირველი ტაიმი აშკარად „კლივლენდისა“ იყო. ლებრონი კი ჯახირობდა და პირველ ნახევარში მხოლოდ 8 ქულა შეაკოწიწა, მაგრამ სხვებმა გამოიღეს ხელი. 221-სანტიმეტრიანმა ლიტველმა ჟიდრუნას ილგაუსკასმა აშკარად დაჩაგრა 10 სანტიმეტრით დაბალი ესპანელი პაუ გასოლი. რიგიანად ირჯებოდა მო უილიამსი, ხოლო შეცვლაზე შესულმა ვალი შჩერბიაკმა ძველი დრო გაიხსენა და სამიანებით დაბომბა მეტოქე. მასპინძლებმა ტაიმი 10 ქულით მოიგეს, მესამეს დასაწყისში კი მეყსეული ორიანის წყ.ლობით 12 ქულითაც გაიჭრნენ.



ლამარ ოდომი

და აი სწორედ აქ დასრულდა „კავალერისტთა“ ნავარდი. კობიმ მცირე ხნით გამოიღვიძა და სხვებიც აიყოლია. „ლეიკერსმა“ 11:9 გაქცევა მოაწყო და მეტოქეს წამოეწია, ხოლო მეოთხედის დამთავრებამდე სამნახევარი წუთით ადრე ლამარ ოდომმა ორქულიანით 70:69 რომ დააწინაურა თავისი გუნდი, „ლეიკერსს“ უკან აღარც მოუხედია.

ოდომი საერთოდ დასაკავებელი შეიქნა, მაგრამ ვინ დააკავებდა? ყოველ შემთხვევაში ლებრონ ჯეიმსმა ეს ვერ შეძლო. ლოსანჯელესელთა 29 წლის ფორვარდმა 15 ქულა მესამე პერიოდში გაშანსა და კობი-ლებრონის დუელში თავა/ თქვა გადამწყვეტი სიტყვა.

„ლამარის ბევრი კარგი თამაში მახსოვს, მაგრამ დღეს არანორმალურად მძლავრად ირჯებოდა. შეუძლებელი იყო მისი შეკავება“ — შეგირდს აქებდა „ლეიკერსის“ თავკაცი ფილ ჯეკსონი.

საბოლოოდ ოდომმა შეხვედრა 28 ქულით ჩაამთავრა, რაც მისთვის სეზონის რეკორდია და ასევე სეზონში სარეკორდო 16 მოხსნაც მიაყოლა. სხვათა შორის შემდეგ ორ თამაშში მან ჯერ 17 შემდეგ კი 18 მოხსნა გააკეთა. და ასეთი კაცი სათადარიგოთა სკამზე ეჯდა „ლეიკერსს“? ფაქტია: ოდომი ხუთეულში ვერ ხვდებოდა, სანამ ძირითადი ცენტრი ენდრიუ ბაინამი არ დაიმტვრა. ბაინამის მაგივრად ცენტრის პოზიციაზე ნომინალურმა თავდამსხმელმა პაუ გასოლმა გადაინაცვლა, თავდამსხმელობა კი ოდომმა იტვირთა და აი შედეგიც: რაც ხუთეულშია, ექვს თამაშში საშუალოდ 18 ქულას და 13 მოხსნას იხვეჭს.

„ლეიკერსმა“ სწორედ ოდომის და არა ბრაიანტის ლიდერობით დაამარცხა ლებრონის „კლივლენდი“, რომელსაც მანამდე შინ ზედიზედ 23 თამაში მოეგო და „ქუიქენ ლოუნ არენაში“ მთელი ეს სეზონი მჯობნი ვერ გამოენახა. ცხადია ოდომის დიდი დამსახურებაა, რომ ლოსანჯელესელებმა ექვსმატჩიანი გასვლითი ტურნე უძლეველებმა მოიარეს. „კლივლენდი“ მათი ბოლო მსხვერპლი გახლდათ. ისიც გავიხსენოთ, რომ მანამდე თვით ჩემპიონი „ბოსტონი“ იმსხვერპლეს 110:109.

**ირაკლი ფირაშვილი**

### კვირის ლიდერები

| | | |
|---|---|---|
| **ქულა** | | |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი) | 10.02 | 47 |
| მო უილიამსი (კლივლენდი) | 11.02 | 44 |
| კევინ დურანტი (ოკლაჰომა) | 8.02 | 39 |
| კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) | 11.02 | 37 |
| დირკ ნოვიცკი (დალასი) | 12.02 | 37 |
| ბრენდონ როი (პორტლენდი) | 12.02 | 37 |
| კერონ ბატლერი (ვაშინგტონი) | 8.02 | 35 |
| სტივ ჯექსონი (გ. სტეიტი) | 10.02 | 35 |
| ანთაუნ ჯემისონი (ვაშინგტონი) | 8.02 | 34 |
| კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) | 10.02 | 34 |
| კევინ დურანტი (ოკლაჰომა) | 8.02 | 34 |
| ბენ გორდონი (ჩიკაგო) | 12.02 | 34 |
| დუეინ ვეიდი (მაიამი) | 10.02 | 33 |
| რენდი ფოი (მინესოტა) | 10.02 | 33 |
| ნეიტ რობინსონი (ნიუ იორკი) | 11.02 | 33 |
| რიჩარდ ჯეფერსონი (მილუოკი) | 11.02 | 32 |
| დერონ უილიამსი (იუტა) | 8.02 | 31 |
| კევინ დურანტი (ოკლაჰომა) | 10.02 | 31 |
| ჰაკიმ უორიკი (მემფისი) | 10.02 | 31 |
| დერონ უილიამსი (იუტა) | 11.02 | 31 |
| პოლ პირსი (ბოსტონი) | 11.02 | 31 |
| **მოხსნა** | | |
| ლამარ ოდომი (ლეიკერსი) | 11.02 | 19 |
| ლამარ ოდომი (ლეიკერსი) | 10.02 | 18 |
| იაო მინი (ჰიუსტონი) | 11.02 | 18 |
| ლამარ ოდომი (ლეიკერსი) | 8.02 | 17 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) | 8.02 | 16 |
| ემეკა ოკაფორი (შარლოტი) | 9.02 | 16 |
| ოჯეი მაიო (მემფისი) | 9.02 | 16 |
| ერიკ დამპიე (დალასი) | 10.02 | 16 |
| იოახიმ ნოა (ჩიკაგო) | 10.02 | 16 |
| **პასი** | | |
| სტივ ნეში (ფინიქსი) | 8.02 | 21 |
| ბაირონ დევისი (კლიპერსი) | 11.02 | 20 |
| რამონ სეშენსი (მილუოკი) | 11.02 | 17 |
| რაჯონ რონდო (ბოსტონი) | 8.02 | 16 |
| ნეიტ რობინსონი (ნიუ იორკი) | 11.02 | 15 |
| რაჯონ რონდო (ბოსტონი) | 11.02 | 14 |
| **ჩაჭრა** | | |
| რაიმონდ ფელტონი (შარლოტი) | 11.02 | 5 |
| შეინ ბეტიე (ჰიუსტონი) | 11.02 | 5 |
| ნეიტ რობინსონი (ნიუ იორკი) | 11.02 | 5 |
| **დაფარება** | | |
| გრეგ ოდენი (პორტლენდი) | 8.02 | 6 |
| ჯერმენ ონილი (ტორონტო) | 11.02 | 6 |

### სეზონის ლიდერები

| | |
|---|---|
| **ქულა** | |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი) | 28.5 |
| დუეინ ვეიდი (მაიამი) | 28.3 |
| კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) | 27.7 |
| დირკ ნოვიცკი (დალასი) | 25.9 |
| კევინ დურანტი (ოკლაჰომა) | 25.5 |
| დენი გრეინჯერი (ინდიანა) | 25.4 |
| ალ ჯეფერსონი (მინესოტა | 23.1 |
| კრის ბოში (ტორონტო) | 22.8 |
| ბრენდონ როი (პორტლენდი) | 22.7 |
| დევინ ჰარისი (ნიუ ჯერსი) | 21.8 |
| ჯო ჯონსონი (ატლანტა) | 21.6 |
| ანთაუნ ჯემისონი (ვაშინგტონი) | 21.4 |
| კრის პოლი (ნიუ ორლეანი) | 21.3 |
| ამარე სტუდემაიერი (ფინიქსი) | 21.2 |
| ვინს კარტერი (ნიუ ჯერსი) | 20.9 |
| ტიმ დანკანი (სან ანტონიო) | 20.8 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) | 20.5 |
| კერონ ბატლერი (ვაშინგტონი) | 20.5 |
| ბენ გორდონი (ჩიკაგო) | 20.4 |
| ალ ჰარინგტონი (ნიუ იორკი) | 20.2 |
| **მოხსნა** | |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) | 14.1 |
| მარკუს კემბი (კლიპერსი) | 12.7 |
| ანდრის ბიენდრინში (გ. სტეიტი) | 11.8 |
| დევიდ ლი (ნიუ იორკი) | 11.8 |
| ტროი მერფი (ინდიანა) | 11.4 |
| ალ ჯეფერსონი (მინესოტა) | 11.0 |
| ემეკა ოკაფორი (შარლოტი) | 10.8 |
| ტიმ დანკანი (სან ანტონიო) | 10.5 |
| იაო მინი (ჰიუსტონი) | 9.6 |
| კრის ბოში (ტორონტო) | 9.5 |
| **პასი** | |
| კრის პოლი (ნიუ ორლეანი) | 10.8 |
| დერონ უილიამსი (იუტა) | 10.0 |
| სტივ ნეში (ფინიქსი) | 9.8 |
| რაჯონ რონდო (ბოსტონი) | 8.5 |
| ჯეისონ კიდი (დალასი) | 8.4 |
| ხოსე კალდერონი (ტორონტო) | 8.4 |
| ბაირონ დევისი (კლიპერსი) | 8.1 |
| კრის დუჰონი (ნიუ იორკი) | 8.0 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი) | 7.0 |
| დუეინ ვეიდი (მაიამი) | 7.0 |
| **ჩაჭრა** | |
| კრის პოლი (ნიუ ორლეანი) | 2.7 |
| ჯეისონ კიდი (დალასი) | 2.2 |
| დუეინ ვეიდი (მაიამი) | 2.1 |
| რაჯონ რონდო (ბოსტონი) | 2.0 |
| მარიო ჩალმერსი (მაიამი) | 1.9 |
| **დაფარება** | |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო) | 2.9 |
| მარკუს კემბი (კლიპერსი) | 2.4 |
| რონი ტურიაფი (გ. სტეიტი) | 2.2 |
| ჯერმენ ონილი (მაიამი) | 2.2 |
| კრის ანდერსენი (დენვერი | 2.2 |

**ALL STAR 2009** **ფინიქსი.** 13-15 თებერვალი





# დიდ კაცთან პატარა კაცსა...

## ჯუჯა ნეიტ რობინსონი გოლიათ დუაიტ ჰოვარდს გადაახტა

**ნბა-ში** ეს უქმეები ოლ სტარისაა. აღმოსავლეთის და დასავლეთის რჩეული ვარსკვლავები დღეს დილით შეეთამაშნენ ერთმანეთს, მანამდე კი ფინიქსში შეკრებილმა საზოგადოებამ სხვადასხვა კონკურსებით შეიქცია თავი.

ოლ სტარ-უიქენდი პარასკევს მცირე ოლ სტარმა გახსნა. ერთმანეთს შეხვდნენ ახალბედები და მეორეწლიანი მოთამაშეები, რომლებსაც ამერიკაში „სოფმორებს" ეძახიან. ისევ მეორეწლიანებმა მოიგეს, რომლებიც ბოლო წლებში გამუდმებით ამარცხებენ პირველწლიანებს.

სოფმორების 122:116 გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო „ოკლაჰომას" მსუბუქმა ფორვარდმა კევინ დურანტმა, ვინაც წლეულს საშუალოდ 25,5 ქულას იხვეჭს, ბომბარდირთა დავაში მეხუთეა და ბომბარდირული თვისებები მით უმეტეს იოლად გამოავლინა ახალბედებთან, რომლებსაც 46 ქულა ჩაუგდო და მცირე ოლ სტარების რეკორდი ერთბაშად 10 ქულით გააუმჯობესა. ასე ალბათ იმიტომ გახელდა, რომ სელექტორებისთვის უთქმელად ეთქვა — დიდი ოლ სტარის ღირსი ვიყავი და თქვენ პატარებში გამომიშვითო. ახალბედებში 29 ქულით საუკეთესო იყო „მაიამი ჰითის" ფორვარდი მაიკლ ბისლი.

სამქულიანების ძალზე პოპულარულ კონკურსში ტორონტოელ ჯეისონ კაპონას ლარი ბერდის რეკორდის გამეორება და ზედიზედ მესამედ მოგება ეწადა და ექვს მონაწილეს შორის ფინალურ სამეულშიც გავიდა ორლანდოელ რაშარდ ლუისთან და მაიამელ დექუონ კუკთან ერთად, მაგრამ ორივესთან დამარცხდა. კუკმა და ლუისმა ფინალში 60 წამში 30 შესაძლებლობიდან 15-15 სამქულიანი ჩააგდეს და ოვერტაიმის გამართვა მოუხდათ. დამატებით შეჯიბრში კი კუკმა იმარჯვა.

პირველ რაუნდში დამარცხდნენ ინდიანელი დენი გრეინჯერი, სანანტონიელი როჯერ მეისონი და ზაზა ფაჩულიას თანაგუნდელი, „ატლანტას" გამთამაშებელი მაიკ ბიბი.

სანახაობრივი გამოდგა ჩატენვების კონკურსი. „დენვერის" მსროლელი ჯეიარ სმიტი და „პორტლენდის" მფრინავი ესპანელი რუდი ფერნანდესი პირველ რაუნდში დამარცხდნენ. ფინალში ერთმანეთს შერჩნენ „ორლანდოს" 211-სანტიმეტრიანი ცენტრი დუაიტ ჰოვარდი და „ნიუ იორკის" 165-სანტიმეტრიანი გამთამაშებელი ნეიტ რობინსონი. ორივეს თითოჯერ მოეგო ეს კონკურსი. ციცქნა რობინსონმა 2006 წელს გადაატენა ყველას თავზე ბურთი, ჰოვარდმა კი წინა, 2008 წლის შეჯიბრი მოიგო სასწაულებრივი ჩატენვებით.

ერთმანეთისგან კანის ფერის გარდა ყველაფრით განსხვავებული ამ ორი მფრინავის ფინალური დაპირისპირებაც საამოდ სანახვი გამოვიდა. ჰოვარდს მაინც აკლდა ფანტაზია, რობინსონმა კი ბოლოს თავად ჰოვარდი დააყენა, ამოდენა დევკაცს გადააფრინდა(!) და მაღლა შემართული ბურთიანი ხელით დაახრა კალათს. გამარჯვება და 25 ათასი დოლარიც მას შეხვდა.

**ირაკლი ფირაშვილი**

## NBAმბები



ალ ჯეფერსონი

### მგლებს დიდი ცხენი დაემტვრათ

„მინესოტა ტიმბერვულვზმა" მთელი სეზონით დაკარგა ლიდერი ალ ჯეფერსონი. „მგლებს" ისედაც არ ულხინდათ, 17 მოგებით და 33 წაგებით არასაპლეიოფო ზონაში იყვნენ, საუკეთესო მექულის და მომხსნელის გამოკლებამ კი საერთოდ საგონებელში ჩააგდო მწვრთნელი კევინ მაკჰეილი, რომელსაც ჯეფერსონის მსგავსი კი არა, ნახევარიც კი არავინ მოეძევება.

„დიდ ცხენად" წოდებული 208-სანტიმეტრიანი ჯეფერსონი მიმდინარე სეზონში საშუალოდ 23 ქულას და 11 მოხსნას აკეთებდა, რითაც ორივე კომპონენტში ლიგის საუკეთესო ათეულებში შედიოდა. ტიმ დანკანისა და დუაიტ ჰოვარდის გარდა მხოლოდ ის იხვეჭდა ერთდროულად 20 ქულაზე და 10 მოხსნაზე მეტს. საოცარია, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი დასავლეთის 12 რჩეულ მოთამაშეს შორის მოსახვედრად და ოლ სტარის სათამაშოდ. მაგრამ ოლ სტარს ვინღა ჩივის, ასეთი ბურჯი მთელი სეზონით რომ გამოეცლება მთლიანად მასზე ჩამოკიდებულ გუნდს.

ალ ჯეფერსონის არყოფნაში დატვირთვა გაუორმაგდება 20 წლის ახალბედა კევინ ლავს, რომელიც მანამდე საშუალოდ 10 ქულას და 8 მოხსნას თუ აგროვებდა და სასტარტო ხუთეულის მკვიდრიც არ იყო. „მწვრთნელმა გამაფრთხილა, საშუალოდ 30-35 წუთით სათამაშოდ მოემზადე, აწი შენზეა მთელი იმედიო" — შიშნარევი სიხარულით ამბობდა 2008 წლის დრაფტზე მეხუთე ნომრად არჩეული ლავი.

### ოლ სტარში მოც მოხვდა

„კლივლენდ კავალიერზის" გამთამაშებელ მო უილიამსს ბოლოს და ბოლოს მაინც ეღირსა ოლ სტარში თამაში. აღმოსავლეთის გუნდს უკვე მეორე ვარსკვლავი დაემტვრა. რამდენიმე დღით ადრე გამოკლებული ორლანდოელი ჯამერ ნელსონის ადგილი ბოსტონელმა რეი ალენმა დაიკავა. მო უილიამსს კი ადგილი „გამოუთავისუფლა" ტორონტოელმა კრის ბოშმა, ვინც ფეხის ტრავმის გამო გამოაკლდა ამ უქმეებზე ფინიქსში გამართულ სთარ-ფართის.

აი, დასავლეთში კი არავინ იმტვრევა. არადა რეზერვები იქით უფრო შთამბეჭდავია. იმხელა კონკურენციაა, რომ 12 რჩეულს შორის ადგილი ვერ გამოიძებნა სეზონის ორგზის უძვირფასეს მოთამაშე სტივ ნეშისთვის, რომ აღარაფერი ვთქვათ რამდენიმე თვის წინ პეკინის ოლიმპიადაზე გაჩემპიონებულ, იუტელ დერონ უილიამსზე. ეს უკანასკნელი ბოლო თამაშებია 30 ქულაზე ნაკლებს არ იხვეჭს, მაგრამ არც ეს და არც ოლიმპიური გუნდის წევრობა აღარ უშველის.

ნეშზე მართლა ძლიერ დაგწყდება გული. „ფინიქსის" კანადელი გამთამაშებელი ახლახან 35 წლისა კი მოიყარა, მაგრამ ძველებურად ბრწყინვალე ფორმაშია. ამ ოთხშაბათს დეტროიტში იქაურ „პისტონზთან" შეხვედრაში 21 პასი გააკეთა და პირად დუელში დაჩაგრა მეორე ვეტერანი ვარსკვლავი ალენ აივერსონი, რომელიც აღმოსავლეთში მძლავრი უკანახაზელების ნაკლებობის გამო ოლ სტარის სასტარტო ხუთეულშიც კი მოხვდა.

ოთხშაბათს „ფინიქსთან" 97:107 მარცხის შემდეგ აივერსონიც „გამოექომაგა" ნეშს — დღესაც მვპ-ს დონეზე თამაშობს და 12 საუკეთესოში ეგეთ კაცს თუ ვერ მოახვედრებ, მაშინ რა სამართალზეა საუბარიო...

### მერიონი ტორონტოში, ჯერმენი მაიამიში

ზედ ოლ სტარის წინ „მაიამიმ" და „ტორონტომ" ერთმანეთში ივაჭრეს და ორი ვეტერანი ვარსკვლავი გაცვალეს. „მაიამიდან" „ტორონტოში" გადაბარგდა სამგზის ოლსტარელი მსუბუქი ფორვარდი შონ მერიონი, საპირისპირო მიმართულებით კი იმოგზაურა ჯერმენ ონილმა, ვისაც ცოვი კანადიდან მზიურ ფლორიდაში ჯამარიო მუნიც გააყოლეს.

## ევროლიგა

მეორე ჯგუფური ეტაპი
მესამე ტური. 11-12 თებერვალი

**E ჯგუფი**

ტაუ კერამიკა 108:90 მილანო
პროკომი 68:93 ოლიმპიაკოსი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტაუ კერამიკა | 3 | 2 | 1 | +37 | 5 |
| ოლიმპიაკოსი | 3 | 2 | 1 | +26 | 5 |
| მილანო | 3 | 2 | 1 | -14 | 5 |
| პროკომი | 3 | 0 | 3 | -49 | 3 |

**G ჯგუფი**

პანათინაიკოსი 92:67 რომა
პარტიზანი 60:59 უნიკახა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 3 | 3 | 0 | +55 | 6 |
| პარტიზანი | 3 | 2 | 1 | -9 | 5 |
| უნიკახა | 3 | 1 | 2 | 0 | 4 |
| რომა | 3 | 0 | 3 | -46 | 3 |

**F ჯგუფი**

რეალი 98:79 მაკაბი
ბარსელონა 85:69 ალბა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 3 | 3 | 0 | +24 | 6 |
| ბარსელონა | 3 | 2 | 1 | +34 | 5 |
| მაკაბი | 3 | 1 | 2 | -8 | 4 |
| ალბა | 3 | 0 | 3 | -50 | 3 |

**H ჯგუფი**

მონტეპასკი 74:56 ცსკა
ციბონა 55:65 ულქერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 3 | 2 | 1 | +26 | 5 |
| მონტეპასკი | 3 | 2 | 1 | +19 | 5 |
| ციბონა | 3 | 1 | 2 | -29 | 4 |
| ულქერი | 3 | 1 | 2 | -16 | 4 |

## ქართული ლეგიონი გასულ კვირაში

# მანუჩარი უკრაინულ თასს შეუტევს

**ზაზა ფაჩულიას** „ატლანტა“ ლიდერებს გვარიანად აჯანჯღარებს. „ჰოქსმა“ მძლავრი „დეტროიტი“ საკუთარ მოედანზე ამოაყირავა და აღმოსავლეთში მეოთხე ადგილს იფერებს. თუმცა მანამდე „ვაშინგტონი“ იყო, რომელსაც „ქორებმა“ 111:90 მოუგეს. ქართველი თამაშში ორმაგი დუბლით გამოირჩა — 22 წუთში 11 ქულა, 12 მოხსნა და 1 პასი გააკეთა. აქედან 9 მოხსნა შეტევაში. აქვე ვთქვათ, რომ ზაზა თამაშში სათადარიგო სკამიდან ჩაერთო.

„დეტროიტთან“ კი ჩვენებურს 18 წუთი დაუთმეს. ამ დროში მან 4 ქულა, 6 მოხსნა და 1 პასი გაჩარხა. „ქორებმა“ კი 99:95 იმარჯვეს.

ესპანეთში გამოჩნდა თორნიკე შენგელია. მისმა „ვალენსიამ“ ვლადიმერ ბოისას „მენორკას“ 87:56 აჯობა. შენგელიას 9 წუთი დაუთმეს. 17 წლის ქართველმა 7 ქულა, 2 მოხსნა და 1 პასი მოაგროვა. ითამაშა ბოისამაც, რომლის ანგარიშზე 17 წუთში 4 ქულა, 5 მოხსნა და 1 პასია.

კვლავ ცხრილის ფსკერზეა ტაირონ ელისის „კახასოლი“. არადა, ლონიერ „რეალს“ დიდი ბრძოლა გაუმართა და ფარხმალის დაყრა მხოლოდ ოვერტაიმში მოუხდა — 92:95. ელისი 36 წუთში 7 ქულას, 1 მოხსნას და 4 პასს გამოირჩა.

გაბრაზებული „კახასოლი“ ევროჩელენჯზე რუსულ „ურალ გრეიტს“ ესტუმრა და 72:61 მოუგო. ტაირონმა 25 წუთში 3 ქულა, 2 მოხსნა და 6 პასი მიითვალა. „კახასოლი“ ევროჩელენჯზე მეორე რუსულ გუნდს, როსტოვის „ლოკომოტივს“ ესტუმრა და დაძაბულ შეხვედრაში 61:63 დათმო. ჩვენი ნაკრების გამთამაშებელმა 19 წუთში 3 მოხსნა და 1 პასი გააკეთა.

მანუჩარ მარკოიშვილის „ბკ კიევი“ ევროჩელენჯზე იტალიაში „ვირტუსსთან“ დამარცხდა — 64:68. ქართველი ძირითადში იყო და 31 წუთში 11 ქულა და 2 მოხსნა გაჩარხა. კიეველები ჯგუფში სამიდან ორი მოგებით პირველ ადგილზე არიან.

უკრაინელებმა ხასიათი სამშაბათს გამოიკეთეს, „ხიმკის“ თასის ნახევარფინალში 85:60 მოიგეს და ფინალში „აზოვმაშს“ დაუპირისპირდებიან. მარკოიშვილმა 21 წუთში 9 ქულა, 6 მოხსნა, 4 პასი და 1 ჩაჭრა გამოადნო.



ზაზა ფაჩულია ვაშინგტონელი კერონ ბატლერის ხელებში

ბალტიის ლიგაზე კი მარტო გიორგი ცინცაძემ ითამაშა. ვიქტორ სანიკიძე „ვალმიერასთან“ არ გამოჩენილა. „ბუს“ კი 101:78 მოგებულ მატჩში ორმაგ დუბლამდე 1 პასი დააკლდა. ქართველმა გამთამაშებელმა 29 წუთში 16 ქულა, 3 მოხსნა, 9 პასი და 1 ჩაჭრა ჩაიწერა.

**ნიკა ძოპაძე**

## საქართველოს მე-19 ჩემპიონატი

### სუპერლიგა. მე-2 წრე. მე-3 ტური

15 თებერვალი. სპორტის სასახლე

**თსუ 102:94 ავიამშენი**

21:20 29:22 24:26 27:26

თსუ: გაფრინდაშვილი (21), კობრეიძე (4), ხეცურიანი (15), მარკოიშვილი (18), აბალკაცი (2); ფანჩულიძე (23), შანიძე (19)

ავიამშენი: ი. ბერიშვილი (8), ნიკოლაძე (9), ბოისა (4),ნინიაშვილი (21), მათიაშვილი (16); დ. ბერიშვილი (20), პირველაშვილი (12), კვიმსაძე (4)

*მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ხათუნა გაბედავა*
*კომისარი: როლანდ გელოვანი*

ტურის ცენტრალურმა მატჩმა მოლოდინიც გაამართლა და ჩემპიონატს ინტრიგაც შესძინა.

ფინანსურად შეჯირვებულმა თსუ-მ მოულოდნელად დაამარცხა სიძლიერით სუპერლიგის მეორე გუნდი, „თბილავიამშენი“. და თავად ხომ შეინარჩუნა სამომავლო ამბიცია და ცხრილის ზედა ნახევარშიც დაძაბულობა შეიტანა.

„ავიამშენს“ აკლდა ვატო ნაცვლიშვილი და მიუხედავად იმისა, რომ რიჩარდ მაშიაშვილმა და თორნიკე ნინიაშვილმა ფარქვეშ მისი არყოფნა გუნდს არ დაატყვეს, ლევან მოსეშვილის სამწყსოს ამ მატჩში მაინც რაღაც აკლდა.

ჩავარდა „ავიას“ დაცვა, რომელსაც თსუ-მ პირველ ტაიმში 50 ქულა ჩაუგდო, ორნიშნა რიცხვით დაწინაურდა. სტუდენტებმა მეორე ტაიმშიც შეძლეს უპირატესობის შენარჩუნება და არანაკლები ქულა გააზერხეს კიდეც.

**ბათუმი 83:72 მაკაბი**

21:20 25:13 19:16 18:21

ბათუმი: მაისურაძე (10), თავართქილაძე (10), კეშელავა (29 ქულა, 13 მოხსნა), ჩხატარაშვილი (8), ბოლქვაძე (15); დოლიძე (8), ნ. ნოზაძე (3), ოჩხიკაძე, კვერნაძე

მაკაბი: კილაძე (5), ანთაძე (12), ლონდარიძე (24 ქულა, 14 მოხსნა), ჯანგველაძე (23), ბიბილური (2), სუდაძე (6), მჭედლიშვილი, აროხია, აშმედიანი, სოხაძე

*მსაჯები: მაკა კუპატაძე, დავით მაჭავარიანი*
*კომისარი: თენგიზ ქიქოძე*

**ენერჯი 85:72 შსს**

16:27 25:10 24:16 20:19

ენერჯი: გამყრელიძე (7), ტულუში (8), ლეჟავა (8), ბაბიაშვილი (15), უგრეხელიძე (8); დიდია (11), ტუჯანი (9), ქოჭუა (8), ცაავავა (7), დვალიშვილი (4), აბაიშვილი, ხმელიძე

შსს: ნინუა (8), ნოზაძე (8), გოლეთიანი (5), ფაიქრიძე (16), შენგელია (17); ბერუაშვილი (7), აბულაძე (5), ი. ბაქრაძე (2), ამაშუკელი (1), ბერია

*მსაჯები: გურამ მიქელაძე, მალხაზ ანდღულაძე*
*კომისარი: მერაბ რატიშვილი*

**სასოფლო 74:64 დინამო**

14:14 19:14 22:13 19:23

სასოფლო: წიენიაძე (9), მარხვაშვილი, გულისაბედაშვილი (11), გ. ბარბაქაძე (11 ქულა, 10 მოხსნა), ათანელიშვილი (11); ტყეშელაშვილი (19), ყველაშვილი (14), გასიტაშვილი, ბოქოლიშვილი

დინამო: გ. ბაქრაძე (10), სორდია (3), ლაფანაშვილი (22), ხიზანიშვილი, ხანიაშვილი (15); ნანიტაშვილი (5), ბოლქვაძე (4), დოლიძე (3), გემაზაშვილი (2), ქადარია

*მსაჯები: მაკა კუპატაძე, ზაზა მაჩალაძე*
*კომისარი: როლანდ ხომერიკი*

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ენერჯი | 10 | 10 | 0 | +202 | 20 |
| ავიამშენი | 11 | 8 | 3 | +159 | 19 |
| თსუ | 11 | 7 | 4 | +171 | 18 |
| ნტდ | 10 | 7 | 3 | +116 | 17 |
| სასოფლო | 11 | 7 | 4 | +78 | 18 |
| ბათუმი | 10 | 4 | 6 | -102 | 14 |
| დინამო | 11 | 3 | 8 | -131 | 14 |
| შსს | 11 | 2 | 9 | -160 | 13 |
| მაკაბი | 11 | 0 | 11 | -333 | 11 |

### 18-წლამდელთა ჩემპიონატი

10 თებერვალი

**აკადემია 66:49 ქუთაისი**

15:6 22:13 14:16 14:16

აკადემია: ბოქოლიშვილი (21), ჯავახიშვილი (20), იენიეშვილი (7 ქულა, 13 მოხსნა)
ქუთაისი: ბერძენაძე (14), ქორიძე (11)

**მართვე-4 74:70 რუსთავი**

19:25 19:13 21:17 15:15

მართვე-4: ტეტელაშვილი (19 ქულა, 10 პასი), ქობონელიძე (15), ძიძიშვილი (14)
რუსთავი: დვალიშვილი (27 ქულა, 20 მოხსნა, 4 დაფარება), დოლიაშვილი (10 ქულა, 9 მოხსნა), მამისმედაშვილი (10), ბურული (10)

**მართვე-2 110:121 1 ეძსპ. სკოლა**

18:23 31:30 24:39 37:29

მართვე-2: გლოველი (56 ქულა, 14 მოხსნა, 8 პასი, 4 ჩაჭრა), ქიქვეიშვილი (28), ბაშარული (13)
1 ეძსპ. სკოლა: ჩქარეული (39), მაისურაძე (26), ნიკლაური (17), ლეჟავა (16)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აკადემია | 8 | 6 | 2 | 14 |
| მართვე 2 | 8 | 4 | 4 | 13 |
| დინამო | 6 | 4 | 2 | 10 |
| 1 ეძსპ. სკოლა | 7 | 4 | 3 | 11 |
| მართვე 1 | 7 | 4 | 3 | 11 |
| ქუთაისი | 7 | 3 | 4 | 10 |
| რუსთავი | 7 | 3 | 4 | 10 |
| ენერჯი | 6 | 3 | .3 | 9 |
| ნაკრები 93 | 6 | 0 | 6 | 6 |

### 20-წლამდელთა ჩემპიონატი

6 თებერვალი

**რუსთავი 107:76 ქუთაისი**

23:18 24:20 34:15 26:23

რუსთავი: სიხარულიძე (22 ქულა, 14 მოხსნა), მაჭავარიანი (22), დვალიშვილი (15), დოლიაშვილი (14)
ქუთაისი: კანდელაკი (20), ქორიძე (19), თუკვაძე (14)

8 თებერვალი

**მაკაბი 70:72 აკადემია**

12:23 21:14 18:22 19:13

მაკაბი: ლონდარიძე (25 ქულა, 15 მოხსნა), ჯანგველაძე (21 ქულა, 15 მოხსნა)
აკადემია: მეფარიშვილი (30), ბოქოლიშვილი (18)

9 თებერვალი

**სამედიცინო 116:67 ქუთაისი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| რუსთავი | 6 | 5 | 1 | 11 |
| სამედიცინო | 7 | 4 | 3 | 10 |
| აკადემია | 4 | 4 | 0 | 8 |
| მაკაბი | 5 | 3 | 2 | 8 |
| ქუთაისი | 6 | 1 | 5 | 7 |
| მართვე | 5 | 1 | 4 | 6 |



# სარეზერვო მედლები

**საქართველოს** ძიუდოისტთა ნაკრები ბუდაპეშტის მსოფლიოს თასს სარეზერვო შემადგენლობით ესტუმრა. უნგრეთში 14 ქართველი გავიდა ტატამზე. ძირითადი ნაკრების 12 წევრი კი პარიზის სუპერთასის შემდეგ საფრანგეთში დარჩა და ერთობლივ შეკრებებში მოსინჯა ძალები. აქვე ვთქვათ, რომ ჩვენებმა უნგრეთში მთავარი მწვრთნელის გარეშე იჭიდავეს. შოთა ხაბარელი ბიჭებს ვერ გაყვა.

**60 კგ**

აქ მარტო სოსო ნიჟარაძე ჭიდაობდა. მან პირველივე წრეში ვერაფერი მოუხერხა უკრაინელ ანატოლი ლასკუტას.

**66 კგ**

გია გუჯეჯიანმა ბელგიელ ფაბრის ფლამინდთან წააგო. სანდრო იაკობაშვილმა უკრაინელ დანილო მიროს 22 წამში სუფთად მოუგო, ჰოლანდიელი იასპერ დე იონგიც სუფთად მოინელა და მერე თვითონვე წააგო იპონით კუბელ რონალ ჟირონესთან. გიორგი ფერსაშვილმა ორი წრე გამოტოვა მერე კი მომავალ ჩემპიონ სლოვენიელ როკ დრაკშირისთან დამარცხდა.

**73 კგ**

ლაშა გუმბერიძემ ერთხელ იჭიდავა, განელ ემანუელ ნარტესთან ვაზარი და იუკო წააგო...

ამბაკო ავალიანმა ჩეხი იაროსლავ პოდკორნი დააიპონა, მერე კი სლოვენიელ სასო ჟერებთან გაფრთხილებით წააგო.

მიხეილ ხომიზურმა თავიდან დაისვენა, უკრაინელ პეტრო კუზმინს 57 წამში ორი ვაზარი აუღო და მერვედფინალში ნორვეგიელ მარტინ თიბლინს ველარ გასცდა.

**81 კგ**

ეს წონა ნაკრებში ყველაზე პრობლემატურად ითვლება. უნგრეთში ორმა ძიუდოისტმა იჭიდავა და ვერსაც ვერაფერს გამორჩა. ხვიჩა ხუციშვილმა შვეიცარიელ მეთიუ პაპუდოს ვაზარი მოჰგერ, მერე კი სუფთად დამარცხდა კუბელ ოსკარ ბოროტო კარდენასთან.

გრიგოლ შინჯიკაშვილმა ჯერ ბელგიელი სტივენ სნუდდესი, მერე კანადელი კალემ კაჩურსი დააიპონა. ბელგიელ გერასთან კი იპონით წააგო.

**90 კგ**

აქ ნამდვილად არ ვუჩივით პრობლემებს. ირაკლი ცირეკიძეს, რომ თავი დავანებოთ, ვარლამ ლიპარტელიანი როგორი ტალანტია, ბევრმა იცის. გიორგი მამრიკაშვილმა, პირველივე ორთაბრძოლა წააგო რუს მურატ გასიევთან სუფთად. სამაგიეროდ, ზვიად გოგოჭურმა იყოჩაღა. უკრაინელი ვლადისლავ პოტაპოვი სუფთაზე დაამარცხა. კანადელ ალექსანდრ ემონდს იუკოთი აჯობა, იაპონელ იეშიდას ასევე სუფთად მოუგო და ნახევარფინალში რუსი დმიტრი გერასიმენკო მაანგრია... ფინალში გოგოჭური ბელარუს ანდრეი კაზუსიონაკს შეხვდა და სუფთაზე დამარცხდა.

**100 კგ**

ლევან რაზმაძე სუფთად დამარცხდა კუბელ ორაიდის დესპაიგნთან.

დავით ლორიაშვილმა ავსტრიელი სიმონ შვენბერგერი სუფთად დაამარცხა, სერბ მილან დიროსოვიჩს ორი ვაზარი აუღო, ფრანგ ტიერი ფაბრეს ვაზარით აჯობა და ნახევარფინალში ბრაზილიელ ლუსიანო კორეასთან ვაზარი წააგო და მესამე ადგილისთვის ფრანგ მატიე ბატალიეს დაეჭიდა და შებოჭვაში წააგო.

**+100 კგ**

ზვიად ხანჯალიაშვილმა პირველ წრეში დაისვენა, მერე ეგვიპტელ ესმან ელ შაჰაზის ორი ვაზარი წაგლიჯა და ამას შვედი კრისტოფერ იოჰანსონის სუფთად დაჩაგვრა მოაყოლა. ნახევარფინალში კი ჰოლანდიელ გრიმ ვესტერსს 2 იუკო აუღო, თვითონ 1 დაკარგა და ფინალში იაპონელ დაიკი კამიკავას სუფთად მოუგო.

## კვირის ქრონიკა

### გორგოძე მალიორკას ნახევარფინალში

ესპანეთის ქალაქ პალმა დე მალიორკაში 10 ათას დოლარიან ტურნირზე ეკა გორგოძემ ითამაშა. ჩვენებურმა მეჩოგნემ გერმანელ რიპოლის, მაროკოელ ელ ალამის, იტალიელ ფედერისია და სარას მოუგო და ნახევარფინალში გავიდა. იქ მეტოქედ მეორე ნომრად განთესილი ფრანგი ლაურა ტორპე ჰყავდა და 5:7 2:6 წააგო.

### ქართული ევროპა გაირკვა

მარტში გასამართ მოჭადრაკეთა ევროპის ჩემპიონატზე 15 ქართველი გამოვა — 11 ქალი და 4 ვაჟი. ქალების პირველობას 7-21 მარტს სანკტ-პეტერბურგი, ხოლო ვაჟებისას 5-19 მარტს ჩერნოგორიის ქალაქი ბუდავა უმასპინძლებს. ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებენ — მაია ლომინეიშვილი, ნინო ხურციძე, სოფიკო ხუხაშვილი, სოფიკო გვეტაძე, ნანა გაგნიძე, სალომე მელია, სოფო გურამიშვილი, მარიამ დანელია, ქეთი წაწალაშვილი, ნაზი პაიკიძე, მერი არაბიძე, თორნიკე სანიკიძე, მერაბ გაგუნაშვილი, მიხეილ მჭედლიშვილი, ბაადურ ჯობავა.

### მიხეილ ბერიშვილი ბარსელონაში?

საკალათბურთო სუპერლიგის გუნდ „სასოფლოს“ ფორვარდი მიშა ბერიშვილი „ბარსელონას“ მეორე გუნდში ვარჯიშობს. არის იმის შანსი, რომ ბერიშვილმა ესპანურ „ფუენლაბრადაში“ ითამაშოს. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდში საქართველოს ნაკრების მოთამაშე ნიკოლოზ ცქიტიშვილი ირჯება. ბერიშვილი რამდენიმე კვირის წინ ამერიკაში, დეველოპმენტ ლიგაში სცადა ბედი, მაგრამ მალევე მობრუნდა საქართველოში... რათა ისევ წასულიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | უეფა. უეფას თასი | | | | | | |
| | | 18 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 50 | პსჟ-ვოლფსურგი | 2.15 | 3.20 | 3.35 | 1.28 | 1.30 | 1.63 |
| 23:45 | 52 | ოლბორგი-დეპორტივო | 3.00 | 3.20 | 2.30 | 1.54 | 1.30 | 1.33 |
| 23:45 | 54 | სამპდორია-მეტალისტი ხარკ. | 1.70 | 3.50 | 4.75 | 1.14 | 1.25 | 2.01 |
| 23:00 | 56 | ასტონ ვილა-ცსკა | 1.95 | 3.25 | 3.75 | 1.21 | 1.28 | 1.74 |
| 23:45 | 58 | ბრაგა-სტანდარტი | 2.45 | 3.25 | 2.80 | 1.39 | 1.30 | 1.50 |
| 21:00 | 60 | დინამო კ-ვალენსია | 2.60 | 3.10 | 2.65 | 1.41 | 1.31 | 1.42 |
| 23:35 | 66 | ვერდერი-მილანი | 2.75 | 3.25 | 2.45 | 1.48 | 1.29 | 1.39 |
| 21:15 | 70 | ზენიტი-შტუტგარტი | 1.80 | 3.40 | 4.40 | 1.17 | 1.27 | 1.91 |
| 23:45 | 72 | ბორდო-გალათასარაი | 2.05 | 3.25 | 3.65 | 1.25 | 1.31 | 1.71 |
| | | 19 თებერვალი | | | | | | |
| 22:45 | 62 | შახტარი-ტოტენჰემი | 2.30 | 3.25 | 2.90 | 1.34 | 1.28 | 1.53 |
| 23:00 | 64 | კოპენჰაგენი-სიტი | 2.80 | 3.20 | 2.45 | 1.49 | 1.30 | 1.38 |
| 23:45 | 68 | ფიორენტინა-აიაქსი | 1.60 | 3.50 | 5.80 | 1.09 | 1.25 | 2.18 |
| 21:00 | 74 | ლეხი-უდინეზე | 3.00 | 3.20 | 2.30 | 1.54 | 1.30 | 1.33 |
| 23:45 | 76 | ნაიმეგენი-ჰამბურგი | 3.20 | 3.20 | 2.20 | 1.60 | 1.30 | 1.30 |
| 21:30 | 78 | ოლიმპიაკოსი-სტ.ეტიენი | 1.80 | 3.40 | 4.60 | 1.17 | 1.29 | 1.95 |
| 23:45 | 80 | მარსელი-ტვენტე | 1.65 | 3.50 | 5.25 | 1.12 | 1.25 | 2.09 |

| I ტაიმის შედეგი | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10050 | პსჟ-ვოლფსურგი | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10052 | ოლბორგი-დეპორტივო | 3.40 | 2.00 | 2.60 | 1.25 | 1.47 | 1.13 |
| 10054 | სამპდორია-მეტალისტი ხარკოვი | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10056 | ასტონ ვილა-ცსკა | 2.35 | 2.00 | 3.80 | 1.08 | 1.45 | 1.31 |
| 10058 | ბრაგა-სტანდარტი | 2.85 | 2.00 | 3.10 | 1.17 | 1.48 | 1.21 |
| 10060 | დინამო კ-ვალენსია | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10066 | ვერდერი-მილანი | 3.15 | 2.00 | 2.80 | 1.22 | 1.48 | 1.16 |
| 10070 | ზენიტი-შტუტგარტი | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10072 | ბორდო-გალათასარაი | 2.45 | 2.00 | 3.70 | 1.10 | 1.47 | 1.29 |
| 10076 | ნაიმეგენი-ჰამბურგი | 3.60 | 2.00 | 2.40 | 1.28 | 1.44 | 1.09 |
| 10078 | ოლიმპიაკოსი-სტ.ეტიენი | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10062 | შახტარი-ტოტენჰემი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10064 | კოპენჰაგენი-სიტი | 3.20 | 2.00 | 2.75 | 1.23 | 1.47 | 1.15 |
| 10068 | ფიორენტინა-აიაქსი | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10074 | ლეხი-უდინეზე | 3.40 | 2.00 | 2.60 | 1.25 | 1.47 | 1.13 |
| 10080 | მარსელი-ტვენტე | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 15 ივნისი | | | | | | | |
| 11050 | პსჟ-ვოლფსურგი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11052 | ოლბორგი-დეპორტივო | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11054 | სამპდორია-მეტალისტი ხარკოვი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11056 | ასტონ ვილა-ცსკა | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11058 | ბრაგა-სტანდარტი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11060 | დინამო კ-ვალენსია | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11066 | ვერდერი-მილანი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11070 | ზენიტი-შტუტგარტი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11072 | ბორდო-გალათასარაი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11076 | ნაიმეგენი-ჰამბურგი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11078 | ოლიმპიაკოსი-სტ.ეტიენი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11062 | შახტარი-ტოტენჰემი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11064 | კოპენჰაგენი-სიტი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11068 | ფიორენტინა-აიაქსი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11074 | ლეხი-უდინეზე | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11080 | მარსელი-ტვენტე | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |

| ფრეს გარეშე(ძირ დრო) | | | |
|---|---|---|---|
| 16050 | პსჟ-ვოლფსურგი | 1.52 | 2.20 |
| 16052 | ოლბორგი-დეპორტივო | 2.10 | 1.60 |
| 16054 | სამპდორია-მეტალისტი ხარკოვი | 1.24 | 3.60 |
| 16056 | ასტონ ვილა-ცსკა | 1.38 | 2.65 |
| 16058 | ბრაგა-სტანდარტი | 1.75 | 1.85 |
| 16060 | დინამო კ-ვალენსია | 1.82 | 1.82 |
| 16066 | ვერდერი-მილანი | 1.95 | 1.65 |
| 16070 | ზენიტი-შტუტგარტი | 1.30 | 3.00 |
| 16072 | ბორდო-გალათასარაი | 1.45 | 2.45 |
| 16076 | ნაიმეგენი-ჰამბურგი | 2.20 | 1.50 |
| 16078 | ოლიმპიაკოსი-სტ.ეტიენი | 1.30 | 3.00 |
| 16062 | შახტარი-ტოტენჰემი | 1.62 | 2.05 |
| 16064 | კოპენჰაგენი-სიტი | 1.95 | 1.65 |
| 16068 | ფიორენტინა-აიაქსი | 1.22 | 3.40 |
| 16074 | ლეხი-უდინეზე | 2.10 | 1.60 |
| 16080 | მარსელი-ტვენტე | 1.23 | 3.60 |

| რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (ძირ. დრო) | | | |
|---|---|---|---|
| 14050 | პსჟ-ვოლფსურგი | 1.75 | 2.10 |
| 14052 | ოლბორგი-დეპორტივო | 2.00 | 1.80 |
| 14054 | სამპდორია-მეტალისტი ხარკოვი | 1.45 | 2.40 |
| 14056 | ასტონ ვილა-ცსკა | 1.70 | 2.20 |
| 14058 | ბრაგა-სტანდარტი | 1.85 | 1.95 |
| 14060 | დინამო კ-ვალენსია | 1.90 | 1.90 |
| 14066 | ვერდერი-მილანი | 1.95 | 1.85 |
| 14070 | ზენიტი-შტუტგარტი | 1.65 | 2.30 |
| 14072 | ბორდო-გალათასარაი | 1.75 | 2.10 |
| 14076 | ნაიმეგენი-ჰამბურგი | 2.00 | 1.80 |
| 14078 | ოლიმპიაკოსი-სტ.ეტიენი | 1.65 | 2.30 |
| 14062 | შახტარი-ტოტენჰემი | 1.80 | 2.00 |
| 14064 | კოპენჰაგენი-სიტი | 1.95 | 1.85 |
| 14068 | ფიორენტინა-აიაქსი | 1.30 | 2.50 |
| 14074 | ლეხი-უდინეზე | 2.00 | 1.80 |
| 14080 | მარსელი-ტვენტე | 1.45 | 2.40 |

| პირველი ტაიმი ფრეს გარეშე | | | |
|---|---|---|---|
| 23050 | პსჟ-ვოლფსურგი | 1.27 | 1.75 |
| 23052 | ოლბორგი-დეპორტივო | 1.61 | 1.32 |
| 23054 | სამპდორია-მეტალისტი ხარკოვი | 1.10 | 2.55 |
| 23056 | ასტონ ვილა-ცსკა | 1.16 | 2.10 |
| 23058 | ბრაგა-სტანდარტი | 1.40 | 1.55 |
| 23060 | დინამო კ-ვალენსია | 1.50 | 1.47 |
| 23066 | ვერდერი-მილანი | 1.55 | 1.37 |
| 23070 | ზენიტი-შტუტგარტი | 1.13 | 2.35 |
| 23072 | ბორდო-გალათასარაი | 1.20 | 1.80 |
| 23076 | ნაიმეგენი-ჰამბურგი | 1.70 | 1.27 |
| 23078 | ოლიმპიაკოსი-სტ.ეტიენი | 1.13 | 2.35 |
| 23062 | შახტარი-ტოტენჰემი | 1.33 | 1.63 |
| 23064 | კოპენჰაგენი-სიტი | 1.55 | 1.37 |
| 23068 | ფიორენტინა-აიაქსი | 1.08 | 2.85 |
| 23074 | ლეხი-უდინეზე | 1.61 | 1.32 |
| 23080 | მარსელი-ტვენტე | 1.09 | 2.78 |

| გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირ. დრო) | | | |
|---|---|---|---|
| 13050 | პსჟ-ვოლფსურგი | 1.70 | 1.90 |
| 13052 | ოლბორგი-დეპორტივო | 1.70 | 1.90 |
| 13054 | სამპდორია-მეტალისტი ხარკოვი | 1.70 | 1.90 |
| 13056 | ასტონ ვილა-ცსკა | 1.70 | 1.90 |
| 13058 | ბრაგა-სტანდარტი | 1.70 | 1.90 |
| 13060 | დინამო კ-ვალენსია | 1.70 | 1.90 |
| 13066 | ვერდერი-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 13070 | ზენიტი-შტუტგარტი | 1.70 | 1.90 |
| 13072 | ბორდო-გალათასარაი | 1.70 | 1.90 |
| 13076 | ნაიმეგენი-ჰამბურგი | 1.70 | 1.90 |
| 13078 | ოლიმპიაკოსი-სტ.ეტიენი | 1.70 | 1.90 |
| 13062 | შახტარი-ტოტენჰემი | 1.70 | 1.90 |
| 13064 | კოპენჰაგენი-სიტი | 1.70 | 1.90 |
| 13068 | ფიორენტინა-აიაქსი | 1.70 | 1.90 |
| 13074 | ლეხი-უდინეზე | 1.70 | 1.90 |
| 13080 | მარსელი-ტვენტე | 1.70 | 1.90 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**





# დავიდი და დევიდი

**ესპანეთის** ნაკრებმა ინგლისთან ამხანაგურ შეხვედრაში მოგებით (2:0) წაუგებელ მატჩთა სერია 29-მდე გაზარდა.

ესპანელები 2006 წლის ნოემბრიდან არ დამარცხებულან, ზედიზედ კი 9 თამაში მოიგეს. სევილიის „სანჩეს პისხუანზე", სადაც ინგლისს უმასპინძლეს, წაგება საერთოდ არ იციან.

მეორე გოლი დავიდ ვილიამ გაიტანა და ნაკრების რეკორდი მოხსნა. „ვალენსიას" ფორვარდმა მიჯრით მეექვსე მატჩში შეაგდო. სერია კი შარშან შემოდგომაზე დაიწყო: სომხეთთან (2), ესტონეთთან, ბელგიასთან და ჩილესთან — თითო-თითო.

აქამდე ზედიზედ ხუთში მხოლოდ ორ ესპანელს გაეტანა — ტელმო სარას (1945-51) და ლადისლაო კუბალას (1953-61).

ნახსენებ მატჩში შეცვლაზე შესულმა დევიდ ბექჰემმა კი 108-ე სანაკრებო მატჩი მიითვალა და ბობი მურს გაუტოლდა, ხოლო პიტერ შილტონამდე კიდევ 17 უკლია.

33 წლის ბექჰემის გადასწრების შანსი აქვს მაიკლ ოუენს (89), რომელიც ჯერ 29-საა, თუმც ფაბიო კაპელო „ნიუკასლის" ფორვარდს არ სწყალობს და იტალიელის ხელში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ოუენმა 89-ს რამე მიუმატოს.

**ვაჟა ხუციშვილი**

**ესპანეთის ნაკრების მეგოლეთა ათეული**

| | წლები | მატჩი | გოლი |
|---|---|---|---|
| 1. რაულ გონსალესი | 1996- | 102 | 44 |
| 2. ფერნანდო იერო | 1989-2002 | 89 | 29 |
| 3. ფერნანდო მორიენტესი | 1998- | 47 | 27 |
| 4. ემილიო ბუტრაგენიო | 1984-92 | 69 | 26 |
| 5. დავიდ ვილია | 2005- | 42 | 25 |
| 6. ალფრედო დი სტეფანო | 1957-61 | 31 | 23 |
| 7. ხულიო სალინასი | 1986-96 | 56 | 23 |
| 8. მიჩელი | 1985-92 | 66 | 21 |
| 9. ტელმო სარა | 1945-51 | 20 | 20 |
| 10. ფერნანდო ტორესი | 2003- | 59 | 18 |

**ყველაზე მეტი მატჩი ინგლისის ნაკრებში**

| | წლები | მატჩი | გოლი |
|---|---|---|---|
| 1. პიტერ შილტონი | 1970-90 | 125 | - |
| 2. ბობი მური | 1962-73 | 108 | 2 |
| 3. დევიდ ბექჰემი | 1996- | 108 | 17 |
| 4. ბობი ჩარლტონი | 1958-70 | 106 | 49 |
| 5. ბილი რაიტი | 1946-59 | 105 | 3 |
| 6. ბრაიან რობსონი | 1980-91 | 90 | 26 |
| 7. მაიკლ ოუენი | 1998- | 89 | 40 |
| 8. კენი სენსომი | 1979-88 | 86 | 1 |
| 9. გარი ნევილი | 1995- | 85 | - |
| 10. რეი უილკინსი | 1976-86 | 84 | 3 |

**ესპანეთი 2:0 ინგლისი**

1:0 ვილია (36), 2:0 ლიორენტე (82)

**ესპანეთი:** კასილიასი (რეინა 46), პიკე, ალბიოლი (მარჩენა 75), კაპდევილა (არბელოა 46), რამოსი, ალონსო, სენა, ინიესტა, ხავი (გუისა 85), ვილია (სილვა 56), ტორესი (ლიორენტე 64)

მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

**ინგლისი:** ჯეიმსი (გრინი 46), ტერი, ჯაგიელკა (აპსონი 46), ე. კოული, ჯონსონი, ბარი (ლამპარდი 46), კარიკი, დაუნინგი (ბექჰემი 46), რაითფილიპსი, აგბონლაჰორი (კ. კოული 76), ჰესკი (კრაუჩი 46)

გაფრთხილება: ბექჰემი

42 102 მაყურებელი

**ბრაზილია 2:0 იტალია**

1:0 ელანო (13), 2:0 რობინიო (27)

**ბრაზილია:** ჟულიო სეზარი, ჟუანი (ტიაგინიო 78), ლუსიო, მარსელო, მაიკონი, მელო, ჟილბერტო სილვა (ჟოსე 89), ადრიანო (პატო 81), რონალდინიო, რობინიო (ბაპტიშტა 89), ელანო (დანიელ ალვეში 70)

მწვრთნელი: დუნგა

**იტალია:** ბუფონი, კანავარო, ლეგროტალიე, გროსო, ძამბროტა, პირლო (დოსენა 75), მონტოლივო (კამორანეზი 46), დე როსი (აკვილანი 58), დი ნატალე (როსი 46), ჯილარდინო (ტონი 46), პეპე (პეროტა 46)

მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

გაფრთხილება: პეროტა, გროსო, ძამბროტა

მსაჯი:

60 077 მაყურებელი

**საფრანგეთი 0:2 არგენტინა**

0:1 გუტიერესი (41), 0:2 მესი (83)

**საფრანგეთი:** მანდანდა, გალასი, მექსესი, აბიდალი, სანია, დიარა, გურკუფი, ტულალანი, ანრი, ანელკა (ბენზემა 65), რიბერი

მწვრთნელი: რაიმონ დომენეკი

**არგენტინა:** კარისო, ჰაინცე, დემიკელისი, პაპა, ძანეტი, გაგო, მასკერანო, გუტიერესი, მაქსი როდრიგესი (ანგელერი 81), აგუერო (ტევესი 82), მესი

მწვრთნელი: დიეგო მარადონა

გაფრთხილება: ტულალანი, გალასი, მაქსი როდრიგესი

**კოლუმბია 2:0 ჰაიტი**

**პერუ 0:1 პარაგვაი**

**ვენესუელა 2:1 გვატემალა**

**პორტუგალია 1:0 ფინეთი**

**იტალია U-21 1:1 შვედეთი U-21**

**ბელგია 2:0 სლოვენია**

**ნიგერია 0:0 იამაიკა**

**ავსტრია 0:2 შვედეთი**

**გერმანია 0:1 ნორვეგია**

**შვეიცარია 1:1 ბულგარეთი**

**ტუნისი 1:1 ჰოლანდია**

**საბერძნეთი 1:1 დანია**

**კამერუნი 3:1 გვინეა**

**ეგვიპტე 2:2 განა**

**ლიტვა 3:1 ანდორა**

**უელსი 0:1 პოლონეთი**

**ესტონეთი 0:2 ყაზახეთი**

**ისრაელი 1:0 უნგრეთი**

**ტუნისი U-21 1:1 საფრანგეთი U-21**

**ძუვეიითი 1:1 აზერბაიჯანი**

**ისლანდია 2:0 ლიხტენშტაინი**

**ისრაელი U-21 4:1 მოლდოვა U-21**

**სლოვენია U-21 3:1 რუმინეთი U-21**

**ლიბია 2:3 ურუგვაი**

**მაკედონია 1:1 მოლდოვა**

**ხორვატია U-21 2:1 მაკედონია U-21**

**კვიპროსი U-21 0:2 სერბეთი U-21**

**ლატვია 0:0 სომხეთი**

**ფინეთი U-21 2:1 ესტონეთი U-21**

**ეკვადორი 3:2 ინგლისი U-21**

**ირლანდია U-21 1:1 გერმანია U-21**

**ესპანეთი U-21 1:1 ნორვეგია U-21**

**თურქეთი U-21 1:2 უკრაინა U-21**

**პორტუგალია U-21 3:1 შვეიცარია U-21**

**მალტა U-21 0:1 დანია U-21**

**თურქეთი U-21 2:2 უკრაინა U-21**

**ნორვეგია U-21 2:0 ლიხტენშტაინი U-21**

## მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

**I ჯგუფი**

**მალტა 0:0 ალბანეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| უნგრეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:2 | 7 |
| ალბანეთი | 5 | 1 | 3 | 1 | 3:2 | 6 |
| პორტუგალია | 4 | 1 | 2 | 1 | 6:3 | 5 |
| შვედეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| მალტა | 5 | 0 | 1 | 4 | 0:11 | 1 |

**III ჯგუფი**

**სან მარინო 0:3 ჩრდ. ირლანდია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლოვაკეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:5 | 9 |
| ჩრდ. ირლანდია | 5 | 2 | 1 | 2 | 8:4 | 7 |
| ჩეხეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:2 | 7 |
| პოლონეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 7 |
| სლოვენია | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| სან მარინო | 5 | 0 | 0 | 5 | 1:15 | 0 |

# დანაღმული წიგნი



**ინგლისი** სკანდალის მოლოდინშია და ამ სკანდალს დენიელ ლოიდის ახალი წიგნი ჰქვია.

დენიელ ლოიდი ყოფილი მოდელია და მის ინგლისი 2004-ის და მის ბრიტანეთი 2006-ის ტიტულებს ატარებს. ახლა კი მას ავტობიოგრაფიული წიგნის გამოცემის სურვილი გასჩენია.

და რა კავშირშია ეს წიგნი სპორტთან?

საქმე ის გახლავთ, რომ დენიელის სარეცელი სხვადასხვა დროს გაუყვიათ ტედი შერინგემს, მარკუს ბენტს და ჯერმენ დეფოს. ეს ის ფეხბურთელები არიან, რომლებთანაც ამ გოგოს, ასე ვთქვათ, ოფიციალური რომანები ჰქონდა. ამათ გარდა დენიელს მიეწერება ინტიმური კავშირი არმან ტრაორესთან, ჟერომ პიკესთან, კარლტონ კოულთან, ლუის ჰემილტონთან და კიდევ ვინ მოთვლის, ვისთან.

მომავალი წიგნის ავტორი ირწმუნება, ისეთი რამეები უნდა დავწერო, მთელი ინგლისი შოკში ჩავარდებაო.

# დელ პიეროების სიხარული



**ტურინის** „იუვენტუსის" კაპიტნის ალესანდრო დელ პიეროს ოჯახში მალე მატება იქნება — ფეხბურთელის ცოლი, სონია ამორუზო ფეხმძიმედაა.

ეს ამბავი დელ პიერომ თავისი ვებგვერდის საშუალებით ამცნო გულშემატკივარს:

„გვსურს, ჩვენი სიხარული გაგიზიაროთ. სონია ბავშვს ელოდება. მეორე შვილის გაჩენა ჩვენს ცხოვრებაში ახალ ღადებით ემოციას შემოიტანს, რაც ერთხელ უკვე განვიცადეთ — როდესაც ტობიასი შეგვეძინა."

ალესანდრო დელ პიერო და სონია ამორუზო 1999 წლიდან ერთად ცხოვრობენ, ქორწილი კი 2005-ში გადაიხადეს. უფროსი შვილი ტობიასი კი 2007 წლის 22 ოქტომბერს შეეძინათ.

# ების კლენსის საჩუქარი



**მოდელმა** ები კლენსმა შეყვარებულს, „პორტსმუთის" ფორვარდ პიტერ კრაუჩს ვალენტინობისთვის ასეთი საჩუქარი გაუკეთა: ქალის საცვლების რეკლამაში მიიღო მონაწილეობა და ხალხსაც ხომ დაანახა, კრაუჩს აი, როგორი გოგო უყვარსო და ჯიბეც, ცხადია, გაისქელა.

რა აჩუქა კრაუჩმა ების უცნობია.

ეროვნული ბიბლიოთეკა




კლაუდიო რანიერი


ჟოზე მოურინიუ


ავრაამ გრანტი


ლუიშ ფელიპე სკოლარი


გუს ჰიდინკი

# ტავარიშ ჰიდინკ, დიდი მწვრთნელი ორ კურდღელს არ დასდევს!

## სასაცილო არგუმენტი: სკოლარიმ, ფეხბურთელები არ მყავდაო...

**რა უნდა** მისტერ აბრამოვიჩს? თავად თქვა, რომ ლამაზი ფეხბურთი და ჯილდოები სურს, ნახევარ მილიარდ გირვანქაზე მეტიც დახარჯა, მაგრამ მისი სურვილების შემსრულებელს ჯერაც ვერ მიაგნო.

2004 წლის მაისი — კლაუდიო რანიერი, 2007 წლის სექტემბერი — ჟოზე მოურინიუ, 2008 წლის მაისი — ავრაამ გრანტი, 2009 წლის თებერვალი — ლუიშ ფელიპე სკოლარი.

რომან აბრამოვიჩი 2003 წლიდან პატრონობს „ჩელსის" და ამ ხნის განმავლობაში ოთხი მწვრთნელი გაუშვა.

ოთხეულიდან ყველაზე ტიტულოვანმა, მსოფლიოს ჩემპიონმა (2002) და ევროპის ვერცხლოსანმა (2004) სკოლარიმ „ჩელსიში" კიდევ ერთი „ტიტული" მიიმატა — სხვებთან შედარებით ყველაზე მალე, სეზონის დაწყებიდან ექვს თვეში მოხსნეს.

რანიერიმ ერთი სეზონი იმუშავა რუსი მილიარდერის ხელში, მოურინიუმ სამი, გრანტმა კი რვა თვე.

ახლა გუს ჰიდინკის ჯერია. მან კონტრაქტი სეზონის ბოლომდე გააფორმა და 14 კვირაში 2,5 მილიონ გირვანქას მიუთვლიან.

რუსეთის ნაკრების მწვრთნელს ორ ფრონტზე მოუწევს ბრძოლა. იქით ნაკრები, აქეთ — „ჩელსი".

ნაკრებშიც მისი ჯამაგირის გადამხდელი აბრამოვიჩია. წელიწადში 6 მილიონს უდებს ჯიბეში.

ჰიდინკი სკოლარივით მსოფლიოს ჩემპიონი არაა, მაგრამ სანაკრებო დონეზე არაერთხელ გააკვირვა საფეხბურთო სამყარო.

სამხრეთ კორეა 2002-ის მუნდიალზე მეოთხე ადგილზე გაიყვანა, ავსტრალიას 2006-ში მერვედფინალი ანახა, რუსებს კი შარშან ევროჩემპიონატის ნახევარფინალი აღირსა.

საკლუბო ამბავში ჟოზე მოურინიუს არ ჩამოუვარდება. ჰიდინკის პსვ-მ 1988 წელს ჩემპიონთა თასი მოიგო.

მაგრამ ჰოლანდიელის „ორად გახლეჩამ" რუსეთში რია-რია გამოიწვია.

რუსთა ნაკრების ყოფილმა თავკაცმა ანატოლი ბიშოვეცმა თქვა: „ორ ადგილზე მუშაობას სიკეთე არ მოაქვს. ეს საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი. მე ერთდროულად ვმუშაობდი რუსეთის ნაკრებში და „ზენიტში".

ისეთი არეული ვიყავი, რომ ვერცერთ საქმეს ვერ ვუძლვებოდი.

მისი ვერ გამიგია, რადგან ნაკრების არც ერთი მწვრთნელი ხელისგულზე ისე არ უტარებიათ, როგორც გუს ჰიდინკი".

გაჯი გაჯიევი, „კრილია სოვეტოვის", „სატურნის" და „ანჟის" ყოფილი მწვრთნელი: „ახლა ჰიდინკს ორად გახლეჩა მოუწევს, ეს კი შეუძლებელია. ჩვენ რეალობა უნდა გავითვალისწინოთ. წარმოგიდგენიათ, რომ იტალიამ, ესპანეთმა, ინგლისმა ან საფრანგეთმა თავისი ნაკრების მწვრთნელი იმავდროულად კლუბშიც ამუშაოს?"

„სერიოზული მწვრთნელი ორ კურდღელს არ გამოეკიდება" — ეს კი ანდრეი კანჩელსკისის სიტყვებია.

და მაინც, რატომ დათანხმდა ჰოლანდიელი მწვრთნელი „ჩელსიში" მუშაობას?

თვითონ ასე უპასუხა: „ყველამ იცის, რომ რომან აბრამოვიჩი რუსეთის ნაკრებს და ფეხბურთის აკადემიას აფინანსებს. ჩვენ კარგი ურთიერთობა გვაქვს და მეც, ალალად გეტყვით, მხოლოდ იმიტომ დავყაბულდი „ჩელსის" წინადადებას, რომ დახმარება მთხოვეს".

და რატომ გაუშვეს ლუიშ ფელიპე სკოლარი? ბრიტანულმა მედიამ გამოჩხრიკა, რომ ბრაზილიელის გაშვებაში ხელი გაურიეს დიდიე დროგბამ, პეტრ ჩეხმა და მიხაელ ბალაკმა.

კობჰემში „ჩელსის" ბაზაზე მისულ რომან აბრამოვიჩს ხსენებული სამეული შეუკრებია და მათთან საუბრის შემდეგ გამოუცხადებია, რომ სკოლარის უშვებს.

„დიდი ფილი" გაბრაზდა და ლონდონიდან წასულმა ყოფილ კლუბს შეუტია: „მე არ მყავდა გუნდში ზეკლასის ფეხბურთელები, რომლებსაც განსაკუთრებული რამეების კეთება შეუძლიათ, როცა გუნდს უჭირს.

ადრე „ჩელსიში" ასეთი არიენ რობენი იყო, მე კი მისნაირი არ მაღირსეს. ასეთი რობინიო შეიძლებოდა ყოფილიყო, ვინც რისკზე წავიდოდა და თამაშს საკუთარ თავზე აიღებდა. რობინიოც არ მიყიდეს.

ჩემ სქემაში დიდიე დროგბათი და ნიკოლა ანელკათი თამაში ძალიან ძნელია. 4-4-2-ს ვერ ვაკეთებდი, რადგან ფლანგელები არ მყავდა.

სალომონ კალუ კარგია 4-3-3-ში, 4-4-2-ში კი არ გამოდგება, რადგან დაცვა არ ეხერხება.

ანელკას და დროგბას ცენტფორვარდად რომ ეთამაშათ, ცენტრში და ფლანგებზე ვინ დამეყენებინა?"

**მაჟა ხუციშვილი**

**ჩელსის მწვრთნელების შედეგები აბრამოვიჩის პატრონობისას**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რანიერი | 19 | 10 | 5 | 4 | 30-12 |
| მოურინიუ | 185 | 124 | 40 | 21 | 330-119 |
| გრანტი | 54 | 36 | 13 | 5 | 97-36 |
| სკოლარი | 36 | 20 | 11 | 5 | 57-24 |

# ჩელსი წაგებაშია, მაგრამ...

**„ჩელსის"** ფინანსურმა ანგარიშებმა ფრიად საინტერესო ფაქტები დაგვანახა. კერძოდ ის, რომ რომან აბრამოვიჩს მწვრთნელების მალიმალ შეცვლა ერთობ ძვირი უჯდება.

ოფიციალური მონაცემები გვამცნობენ, რომ 2007 წლის ივლისიდან 2008 წლის ივნისამდე ლონდონური კლუბის ზარალმა 66 მილიონი გირვანქა შეადგინა.

და რა შუაშია მწვრთნელების ხშირი შეცვლა? იმავე მონაცემებით, ჟოზე მოურინიუსთან და ავრაამ გრანტთან კონტრაქტების გაწყვეტა კლუბს ჯამში 23 მილიონი გირვანქა დაუჯდა და ეს დამატებითი ხარჯი რომ არა, ზარალი დაახლოებით მესამედით ნაკლები იქნებოდა.

2008 წლის გაზაფხულზე გაძევებული გრანტის კომპენსაციამ 7,5 მილიონი შეადგინა, მოურინიუს კი ორჯერ მეტი გადაუხადეს.

იმის წინ, 2006-2007 წლებში, „ჩელისის" ზარალმა უფრო მეტი, 74 მილიონი შეადგინა. კიდევ უფრო ადრე, 2005-2006 წლებში — 80,2 მილიონი და კიდევ უფრო ადრე, 2004-2005 წლებში: 140 მილიონი. ანუ გამოდის, რომ „ჩელსის" ფინანსური მდგომარეობა წლიდან წლამდე უმჯობესდება, მაგრამ საბოლოო გაუმჯობესებამდე, ანუ მოგებაზე გასვლამდე, ჯერ ადრეა.

ბი-ბი-სი კი იუწყება, წინა საფინანსო წელიც ზარალით დასრულდა, რაც მძიმე ტვირთად დააწვება კლუბის რუს მეპატრონე რომან აბრამოვიჩსო და იქვე შეგვახსენებს: 2003 წლიდან, ანუ როცა აბრამოვიჩმა „ჩელსი" იყიდა, კლუბის შენახვა უკვე 710 მილიონი გირვანქა დაუჯდაო.

აბრამოვიჩის ფულის გარეშე „ჩელსის" საქმეები მთლად კარგად რომ ვერ იქნებოდა, ფაქტია, ახლა კი ლონდონური კლუბი ევროპის ხუთ უმდიდრეს კლუბს შორისაა: „რეალი", „მანჩესტერი", ბარსელონა", „ბაიერნი", „ჩელსი".

ერთიც: ლუიშ ფელიპე სკოლარისთვის „ჩელისის" კონტრაქტის ნაადრევად გაწყვეტის სანაცვლოდ 7,5 მილიონი გირვანქა აქვს გადასახდელი.

# რა ჩემი საქმეა?



**რობინიოს** აზრით, „ჩელსიმ“ მიჰქარა, სკოლარი რომ მოხსნა.

„მე ძალიან კარგად ვიცნობ სკოლარის, რომელსაც მოთამაშეებთან საუბარი არ ეზარება.

არ მესმის, რით ვერ გაუგო მწვრთნელს ზოგიერთმა ფეხბურთელმა, რომელთა უსახურმა თამაშმაც გამოიწვია „ჩელსის“ ბოლოდროინდელი ცუდი შედეგები. ნამდვილად არ ველოდი სკოლარის გაშვებას, მაგრამ პრემიერლიგაში მოულოდნელობები ხშირია.

„დიდმა ფილმა“ ბრაზილიის და პორტუგალიის ნაკრებში დაამტკიცა, რომ ძლიერი მწვრთნელია, თუმც „ჩელსიმ“ საკმარისი დრო არ მისცა თავის გამოსაჩენად. საერთოდაც, ეს ჩემი გასარჩევი ამბავი არაა, რადგან სხვა კლუბის საქმეა, მაგრამ მაინც მგონია, რომ არასწორად მოიქცნენ“.

ყოფილ ჩელსელ, ამჟამად კი ტოტენჰემელ კარლო კუდიჩინის კი მიაჩნია, რომ სკოლარის დანიშვნა თავშივე შეცდომა იყო: „მას სანაკრებო გამოცდილება აქვს, მაგრამ არა საკლუბო და ყოველდღიურ ტემპს ვერ შეეგუა. თან ინგლისურ მენტალიტეტსაც ვერ მოერგო. სკოლარი კარგი ადამიანია, ოღონდ „ჩელსის“ მწვრთნელად არ გამოდგებოდა“.

**ოთარ მხეიძე**

# ტუჩდოპინგიანი

**ჰონდურასის** ნაკრების ფეხბურთელი სერხიო მენდოსა დოპინგთან დაძმობილებული აღმოჩნდა და ფიფამ ერთწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა.

„ოლიმპიას“ მცველი ოქტომბერში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის შემდეგ შეამოწმეს და სისხლში კლოტებოლის სტეროიდი აღმოაჩნდა.

მენდოსამ თქვა, რომ ტუჩებზე რაღაც მალამოს ისვამდა და არ იცოდა, რომ კლოტებოლს შეიცავდა, რომელიც ფიფასგან აკრძალულთა ნუსხაშია.

საჯელი 9 იანვრიდანაა ძალაში, მაგრამ ფეხბურთელს გასაჩივრების უფლება დაუტოვეს.

ტოტალიზატორი

# 1X2 ამფსონეზი

სათამაშო სახლში ყურმოკრული

| კოდი | წყვილი | შედეგი | კოეფ-ტი | სისტ |
|---|---|---|---|---|

(რუბრიკის სპონსორია ელიას პელემბე)

— მარადონასთან როგორ უნდა წააგო, ტო! ჯერ მაგის იგროკობა მითხარი, მერე ტრენერობა!

ტიპი ფუტბოლის აზრზე არაა, ტო! პროსტაამც, არგენტინელებმა რა მიქნეს ოთხშაბათს, რა პატიოსანი ქვითარი გამიფუჭეს... დომენეკის აძინიქსზე ვიდექი არგენტინასთან.

მეთქი, ამხანაგურია და ნიჩიას გააგორებენ, მარა მაგ მარადონამ ამხანგობა ხო არ იცის. მასტი ინგლისთან ხელით რო გოლს გაიტანს, ის ფრანგებთან ნიჩიას დაგისვამს?

— ამ გვატემალამაც რო თამაშების გაყიდვა დაიწყო? აი, ამ ხელებით რა ბილეთი დავხიე, ძმაო, იცი? თან ვხევდი, თან ცვეტში ვტიროდი.

გვატემალას ორიანი ვიყავი ვენესუელასთან და აძინ ნოლს იგებდნენ. მერე ეტყობა, უგო ჩავესმა დარეკა, გვატემალა იყიდა და როჟებმა აძინ დვა არ წამიგეს? ჩაუტანენ ეხლა ვენესუელიდან ბენზინს და სალიარკას ლარ დვაცეტში.

არადა, რეები დავსვი, იკაიფე: კუვეიტი-აზერბაიჯანზე მეწერა, რო ჯავადოვი პირველ წუთზე გაიტანს. ტიპმა შეაგდო.

მოზამბიკი-მალავიში ელიას პელემბეს ბოლო წუთზე გოლი მინდოდა და ეგაც წამოვიდა.

ფინეთის ჰოკეიში „საპკო“-„კოოკოოს“ უეჭველი ორიანი ვიცოდი და დავსვი. ეგენი ცვლიან ხოლმე. „კოოკოო“ ხო გასვლის გუნდია.

მარტო გვატემალას ორიანი მქონდა დარჩენილი, ძმაო და ტონა ფულს ვიგებდი.

— შენ აბა, ჩემი შაბათის ბილეთი უნდა გენახა, ტო! მთელი გერმანია ცვეტში დავსვი. იმენა მთელი და ამ კლინსმანმა პადკატი არ გამიკეთა? იცი რა ქვითარი მქონდა? ექვსიდან ხუთი დამიჯდა. ქვითარმა რო შემომხედა, სირცხვილისგან გაწითლდა, ტო!

კლინსმანი რო ხარ გვარად, ვორონინთან რატო აგებ, რატო? გამაგებინე, რა?

ისე ამ ვორონინსაც სამი წელი არ გაეტანა და ვერ გავიგე, პარასკევს ფუტბოლი ისწავლა და შაბათს ორი გოლი შეაგდო?

— არა, ძმაო, „ბაიერნს“ იმენა არ უნდა გაეკარო. სასტავს „ჰერტასთან“ რო მოეგო, პირველ ადგილზე გადადიოდა. ეგეთი თამაშები კიდე მაგრა რო იგრუზება, ხო იცი...

— ოთხშაბათს უეფაზე რას ფიქრობ, ტო. „ზენიტი“ „შტუტგარტს“ არ დაუწვება?

— რა პონტში?

— ვა, როგორ თუ რა პონტში... შარშან „ბაიერნმა“ „ზენიტი“ ხო გაატარა, ახლა ვალი არ უნ-და დააბრუნოს? თან გაზპრომს მაგრა უჭირს. გაზს ველარ ყიდის და თამაშების გაყიდვას დაიწყებს...

**ჭუჭი ჭოჭმარია**

ჩემი წაგებული ბილეთი:

| | წყვილი | შედეგი | |
|---|---|---|---|
| 001 | ლიბერტადი-ფებრერო | ორივე გაიტანს | 8:0 |
| 002 | ჰერტა-ბაიერნი | ვორონინის სამი გოლი | არ დაჯდა |

მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ თუ რატომ გადავიდა „კოოკოო“ 3-1-1-დან 2-1,5-1,5-ზე.

114140 *



# დუნგას 13

**იტალიასთან ამხანაგურ მატჩში მოგებამ ბრაზილიელები ამ ორი ნაკრების შეჯიბრში დააწინაურა. კარლოს დუნგამ იტალიური მედიისთვის ინტერვიუში თავისი გუნდი შეაფასა და მარჩელო ლიპის კარგი საქციელიც გაიხსენა**

**— როგორ შეაფასებთ გამარჯვებას იტალიასთან და მარჩელო ლიპის წაუგებელი სერიის შეწყვეტას?**

— ამ მატჩამდე ურთიერთშეხვედრებში თანაბრად ვიყავით. ხუთ-ხუთი მოგებით, ორი ფრით და ბურთების თანაბარი სხვაობითაც. ახლა ჩვენ იტალიელებს უკვე ვჯობნით.

**— იტალიასთან მე-13 მატჩმა ფსიქოლოგიური დაძაბულობა მოგიხსნათ თუ პასუხისმგებლობა შეგმატათ მომავალი შეხვედრების წინ?**

— ღრუბლებში არ დავფრინავთ, კრიტიკაზე კი ერთი პასუხი მაქვს: მოგება, მოგება და მოგება. ამ გზით იარეს ზაგალომ, პერეირამ და სკოლარიმ.

**— ლიპის არ მოეწონა, ნამატჩევს ძამბროტას რომ წაეკამათეთ...**

— ამასთან დაკავშირებით, ჩემი და ლიპის პირველ შეხვედრაზე გიამბობთ. 1992 წელს „ფიორენტინაში“ შეკრებაზე ყოფნისას კლუბის პრეზიდენტ ვიტორიო ჩეკი გორის ვეჩხუბე. ტრანსფერზე დამაყენეს, ლიპი კი მაშინ „ატალანტაში“ მუშაობდა და მისი გუნდი ჩვენს მეზობლად იმყოფებოდა შეკრებაზე. ლიპი ჩვენს ვარჯიშს დაესწრო და პრეზიდენტთან ნაჩხუბარი გამამხნევა.

**— თქვენი ნაკრები იტალიისაზე აშკარად უკეთ გამოიყურებოდა. არადა, კაკა, ლუიშ ფაბიანო და ანდერსონი გაკლდათ...**

— ჩემი აზრით, სხვაობა აგრესიულობაში იყო. ჩემი ფეხბურთელები ტაქტიკურად ძალიან გამართულად თამაშობდნენ და მთელმა შეხვედრამ მათი კარნახით ჩაიარა. მეტოქეს სივრცე არ დავუტოვეთ, პირველ რიგში კი ანდრია პირლო ამოკეტეთ.

**— მედიამ რობინო და ელანო აქო, თქვენ კი ჟულიო სეზარი გამოარჩიათ. რატომ?**

— თავის დროზე, მაკრიტიკებდნენ, როცა მას ნაკრებში ვიძახებდი. ახლა ის მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა. ასევეა მაიკონიც.

**— ადრიანოს და რონალდინიოს პრობლემების მოგვარებაში ეხმარებით?**

— მათ მწვრთნელის ნდობა სჭირდებათ, რათა თავისი მნიშვნელობა იგრძნონ. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ბრაზილიელის მოტივაცია კლებულობს, როცა თამაშისგან სიამოვნებას ველარ იღებს.

**— გამოძახებული ამაური უკან რატომ დააბრუნეთ?**

— აქ დიდი კონკურენციაა. ჩემი იერარქიული კიბე კი ასეთია: ლუიშ ფაბიანო, ადრიანო, რობინიო, პატო. მყავს კიდევ რამდენიმე ფორვარდი, რომლებსაც ვაკვირდები. ამაური რომ მოვიყვანო, სათადარიგოებში უნდა დავტოვო, ეს კი მას ფსიქოლოგიურად გატეხს. მთელ სამყაროსთან ომს არ ვაპირებ. თუ არაფერი შეიცვლება, ამაურის კანდიდატურას მომავალში აღარ განვიხილავ.

**— „ფიორენტინას“ ნახევარმცველ ფელიპე მელოზე რას იტყვით?**

— მომწონს მისი თამაშის ყაიდა.

**— ახალი დუნგა იზრდება?**

— შედარება საჭირო არაა.

**— კიდევ ვისი იმედი გაქვთ?**

— ბენფიკელი ლუიზაო ძალიან ნიჭიერია. სოურპრიზს უნდა ველოდოთ ტიაგუ სილვასგანაც, რომელსაც „ინტერში“ ელოდნენ და საბოლოოდ „მილანში“ აღმოჩნდა.

# ერთი სიძულვილის ისტორია

**გუშინ ორმა მილანურმა გუნდმა კიდევ ერთი ბრძოლა გამართა მოდის ქალაქის წლის საუკეთესო კლუბის სახელის მოსაპოვებლად. მილანი — მსოფლიოს ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი. აქ შეერწყა ორი თაობის კულტურა: XVI-XIX საუკუნეების კლასიციზმი და ჩვენი დროის მოდერნიზმი. ქალაქის ცენტრალურ უბნებს წარსულში გადავყავართ და გვაოცებს დიდებული არქიტექტურით, რომანტიკული პეიზაჟებით, ვიწრო შუკებით და ძველი დროის სხვა ატრიბუტებით. გხიბლავს ლა სკალას არქიტექტურა — 1778 წელს აგებული პიერმარინის შედევრი და განგაცვიფრებს მისი განუმეორებლობა. ამავე დროს, გაიხედავ მეორე მხარეს და, თვალს გჭრის თანამედროვეობა. აი, ასეთი გრძნობა ეუფლება ტურისტს, რომელიც მილანში ჩადის. ამავე დროს, მილანი არის ქალაქი, სადაც წელიწადში რამდენჯერმე ეწყობა მსოფლიო მოდის დეფილეები, პრეზენტაციები, იხსნება ახალ-ახალი მოდური ბუტიკები. და სწორედ მილანში იმართება ერთ-ერთი უდიდესი და სანახაობრივი საფეხბურთო დერბი. „დერბი დე ლა მადონინას" დღეს მილანში მოდური მაღაზიების სიკაშკაშე უკანა პლანზე იწევს და ქალაქის სიმბოლოდ „სან სირო" იქცევა-ხოლმე**

## არ ხარ იტალიელი? წადი!

ამ ზამთარში, 18 დეკემბერს „მილანმა" დაბადების 108 წელი იზეიმა. „როსონერის" ფანებმა ეს დღე მხურვალედ აღნიშნეს და ქალაქის ქუჩები აიკლეს. როგორც ხდება ხოლმე, „ინტერსაც" გაჰკრეს კბილი და თან, ვვარიანადაც.

„მილანის" და „ინტერის" ქიშპობის ისტორია შორეულ 1908 წელს იღებს სათავეს — „მილანის" დაარსებიდან 9 წლის თავზე.

იმ დროს ხმამაღლა არსად თქმულა, მაგრამ დაუწერელ კანონად იქცა, რომ იტალიურ კლუბებში მხოლოდ იტალიელებს უნდა ეთამაშათ. პრაქტიკულად ყველა გუნდი, სადაც უცხოელები თამაშობდნენ, ფეხბურთის ფედერაციის რისხვას შეუშინდნენ და უხმაუროდ განახორციელეს წმენდა.

„მილანი" კი სხვა კლუბი იყო, ყველასგან გამორჩეული. ბოლოს და ბოლოს, „მილანი" ბრიტანელებმა დააარსეს და ამიტომაც იქ სხვებზე მეტად სწყალობდნენ უცხოელებს.

„მილანის" ბოსები ფედერაციაში დაიბარეს და დაემუქრნენ. კლუბიც იძულებული გახდა, ძლიერთა ამა ქვეყნისას დამორჩილებოდა, მაგრამ საქმე გართულდა. ბოსებმა გუნდი მილანის ერთ-ერთ რესტორანში შეკრიბეს და იქ ეცადნენ პრობლემის უმტკივნეულოდ მოგვარებას.

უმტკივნეულოდ კი არა, „მილანის" ლეგიონერებმა შეურაცხყოფა არ მოითმინეს და ლამის მთელი რესტორანი დაარბიეს.

„ასე იოლად არ წავალთ" — თქვეს ლეგიონერებმა, მეტწილად ბრიტანელებმა და მცირე ხნის მერე, კერძოდ კი 9 მარტს, ქალაქში ახალი გუნდი დაიბადა...

პირველი დერბი თანაქალაქელთა შორის „ინტერნაციონალეს" დაარსებიდან ერთი წლის თავზე გაიმართა. 10 იანვარს, „მილანმა", რომელსაც სოლიდური შემადგენლობა და ჩემპიონატში თამაშის გამოცდილება ჰქონდა, მინიმალური სხვაობით დაამარცხა მეტოქე — 3:2. სწორედ იმ თამაშმა დაუდო სათავე კიდევ ერთ დაუწერელ კანონს — მილანურ დერბის სატურნირო ცხრილის სახით დამატებითი მოტივაცია არ სჭირდება და გუნდს, რომელმაც ჩემპიონატში წარმატებას ვერ მიაღწია, „მადონინას" მოგებით" შეუძლია მიიღოს ერთგვარი კომპენსაცია.

## ყველას თავისი მიზანი აქვს

თუმცა ისიც არის, რომ „მილანს" და „ინტერს" დერბის განსხვავებული აღქმაც გააჩნიათ.

„გაძეტა დელო სპორტის" ანალიტიკოსები გვარწმუნებენ, რომ „ინტერისთვის" „მადონინა", მართალია, ძალიან მნიშვნელოვანი დაპირისპირებაა, მაგრამ უმნიშვნელოვანესი მაინც „იუვენტუსთან" ომია. ძნელი ასახსნელია, რატომ, მაგრამ ისტორიულად ისე ჩამოყალიბდა, რომ „ინტერისტებისთვის" „იუვესთან" მატჩი მეტს ნიშნავს, ვიდრე მილანური დერბი.

„დიახ, ასეა — ამბობს „ინტერის" 60-იანი წლების ლეგენდა მარიო კორსო — მილანური დერბი ჩვენთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, მაგრამ ისე მოხდა, რომ უფრო მეტად „იუვენტუსი" გვძულს. მახსენდება, 1965 წელს „მილანს" მოვუგეთ და ჩემპიონებიც გავხდით („ინტერმა" მეორეზე გასულ „მილანს" სამი ქულით გაუსწრო). მაგრამ ის სეზონი იმიტომაც მახსოვს გამორჩეულად, რომ „იუვენტუსიც" დავამარცხეთ ტურინში. თუმცა იმასაც ვაღიარებ, რომ „იუვენტუსი" ყოველთვის განსაკუთრებით უხერხული მეტოქე იყო ჩვენთვის და ხშირადაც გვიგებდა. „ინტერი" —„იუვენტუსი" ყოველთვის დერბივით იყო."

„მილანის" ფანები კი პირიქით არიან — პირველივე შემთხვევისას არა „იუვენტუსს", არამედ „ინტერს" აგინებენ.

„მილანური დერბი ჩვენთვის ყოველთვის უმნიშვნელოვანესი თამაში იყო — იხსენებს პაოლო მალდინის მამა ჩეზარე — როცა „ინტერს" ვამარცხებდით, თამამად ვამბობდით, რომ საუკეთესოები და ქალაქის ბატონ-პატრონები ვართ! როდესაც რამდენიმე წლის წინ „ინტერი" 6:0 დავამარცხეთ, ნამდვილი საოცრება იყო!"

## ის საოცარი 6:0

მატჩი, რომელსაც ჩეზარე მალდინი იხსენებს, 2001 წელს ჩატარდა და „ინტერის" ისტორიაში უდიდეს სირცხვილად იქცა. „მადონინა" იქამდე და მის მერეც, ასეთი კატასტროფული ანგარიშით არ დასრულებულა.

იმ თამაშამდე „ინტერს" მცირე უპირატესობა ჰქონდა — 1974 წელს „მილანი 5:1 ჰყავდა დამარცხებული და ათწლეულების განმავლობაში ისე ჩანდა, რომ ამხელა სხვაობა აღარასოდეს განმეორდებოდა.

მე-3 წუთზე სერჟინიომ ბურთი მარცხენა ფლანგზე გაიგდო და ეულად მიტოვებულ კომანდინის უპასა, რომელმაც იოლად მოატყუა მეკარე სებასტიან ფრეი და ანგარიში გახსნა.

15 წუთში კომანდინიმ და სერჟინიომ ზუსტად გაიმეორეს იგივე საგოლე კომბინაცია და — 2:0.

თუკი პირველ ტაიმში „ინტერი" ასე თუ ისე ჩანდა მოედანზე", შესვენების მერე „სან სიროზე" მხოლოდ ერთი გუნდი თამაშობდა. ფედერიკო ჯუნტიმ ჯარიმით მესამე გაიტანა. მცირე ხანში კახა კალაძემ სერჟინიოობა იკისრა და საგოლე პასი მისცა ანდრეი შევჩენკოს, დასრულებამდე 9 წუთით ადრე კი მატჩის საუკეთესო მოთამაშე სერჟინიომ თავადაც გაიტანა.

ამ 6:0-ს სხვა შედეგიც მოჰყვა — „ინტერის" განრისხებულმა ფანებმა მწვრთნელი მარკო ტარდელის და მცველების, ლორან ბლანის და სტეფან ფარინოსის მანქანები დაწვეს...

## საუკუნის სიმბოლური

შარშან მარტში „გაძეტა დელო სპორტმა" თავის ვებგვერდზე გულშემატკივართა გამოკითხვა მოაწყო და „მილანისა" და „ინტერის" საუკუნის სიმბოლური შემადგენლობების შედგენა სთხოვა.

გამოკითხვაში 35 ათასმა ფანმა მიიღო მონაწილეობა და ასეთი შემადგენლობები დასახელდა:

**მილანი:** ალბერტოზი; ბარეზი, პ. მალდინი, კოსტაკურტა, შნელინგერი; რივერა, კაკა, გულიტი, რაიკარდი; ვან ბასტენი, შევჩენკო.

ყველაზე მეტი ხმა მარკო ვან ბასტენმა მიიღო — 79 პროცენტი.

**ინტერი:** ძენგა; ფაკეტი, ბერგომი, მატერაცი, ძანეტი; სუარესი, მათეუსი, კორსო; რონალდო, მაცოლა, მეაცა.

ყველაზე მეტი ხმა ჯაჩინტო ფაკეტიმ მიიღო — 69 პროცენტი.

**კოტე ძეძელია**



„ინტერის" უცნობილესი ფანი ადრიანო ჩელენტანო




ყველაფრის მიუხედავად, „ინტერისა" და მილანის" ფეხბურთელები მშვიდობიანად თანაარსებობას ახერხებენ, რისი დასტურიც ეს ძველი ფოტოა: მარკო მატერაცი და მანუელ რუი კოშტა



„მილანის" უცნობილესი ფანი ტოტო კუტუნიო

# გერმანია

## ბუნდესლიგა. XX ტური

# ჰიონესური დერბი



ლუსიენ ფავრი

**2006 წლის** ოქტომბრის მერე „ჰერტა" ცხრილის თავში არ უნახავთ და ახლა გამოჩნდა.

„ბაიერნი" ბოლოს 2001-ის დეკემბერში ჰყავდა დამარცხებული და შაბათს ეს დანავსული სერიაც შეწყვიტა.

„ეს ჩემი საუკეთესო მატჩია ამ გუნდში — ხაროზდა ბერლინელთა მწვრთნელი ლუსიენ ფავრი — ვამაყობ ყველა ფეხბურთელით, რომლებმაც გულიანად იბრძოლეს და გამარჯვება დაიმსახურეს".

„ჰერტას" მენეჯერმა დიტერ ჰიონესმა განაცხადა: „ჩვენ პირველობის კანდიდატები ნამდვილად არ ვართ. უკეთესი გუნდებიც არიან ბუნდესლიგაში, რომლებსაც გაცილებით ძლიერი შემადგენლობა ჰყავთ — თუნდაც „ბაიერნი" — მაგრამ დღეს ჩვენი სიტყვა ვთქვით. მიზნად ისევ უეფას თასის საგზური გვაქვს, თუმც ასე კარგად თუ წაგვივა საქმე, ჩემპიონობაზე უარს არ ვიტყვით".

დიტერ ჰიონესის ძმამ და ბაიერნელმა კოლეგამ ულიმ ბრძანა: „ჰერტა" ჩემპიონობის ერთ-ერთი კანდიდატია ამ გამარჯვების მერე, მაგრამ ფავორიტი მაინც არ არის. ფავორიტად კვლავაც „ბაიერნი" რჩება."

სტუმართა ფორვარდი ლუკა ტონი პირველ ტაიმში დაშავდა და შეცვალეს.

ამის მერე ვორონინმა თავურით ახლოდან შეაგდო, რასაც კლოზემ თავურითვე უპასუხა, მაგრამ უკრაინელმა საჯარიმოს ხაზიდან მეორე გაიტანა და „ბაიერნს" ბოლო სამ მატჩში მეორე წაგება გაუფორმა.

სეზონში პირველი საშინაო მარცხი იგემა „ჰოფენჰაიმმა", თან როგორი — სამბურთიანი სხვაობით წააგო ახალ სტადიონზე „ლევერკუზენთან".

ჰელმესმა დუბლი შეასრულა, როლფესმა კი მესამე მიაყოლა პირველ ტაიმში. სალიჰოვიჩის პენალტმა ოდნავ დაუწყნარა ნერვები „ჰოფენჰაიმის" ქომაგებს, კასტროს კი ორბურთიანი სხვაობა არ მოეწონა და თავურით ისევ სამამდე გაზარდა.

„ვიცოდით, რომ შეგვეძლო, პირველი გუნდი გავმხდარიყავით, რომელიც „ჰოფენჰაიმს" სტუმრად მოუგებდა და ბიჭები მოედანზე ამ მოტივაციით გავიდნენ — თქვა „ლევერკუზენის" თავკაცმა ბრუნო ლაბადიამ — უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოვიპოვეთ და ფეხბურთელებმა ირწმუნეს, რომ უძლეველი გუნდები არ არსებობენ".

„ბაიერნივით" სამ მატჩში მეორედ დამარცხდა „შალკე" და ცხრილის შუაშია გაჩერებული.

კურანიმ მეკარის მოგერიებულს დაამატა და სტუმრები „ბოხუმთან" დააწინაურა, მაგრამ აზაუაგმა ცხრიანში შეჭედა და გაათანაბრა, ხოლო დაბროვსკიმ კლიმოვიჩის პასით მასპინძლებს მოაგებინა.

მერვე წრეში პირველი ქულა ერგო ცუდად მოთამაშე „ვერდერს". ზედიზედ ორი წაგების მერე ბოლოადგილოსან „გლადბახს" უმასპინძლა და ვერ მოუგო.

კლაუდიო პიზარომ თავურით გაიტანა, მაგრამ სამ წუთში ბრედლიმ გაათანაბრა.

ჰანოვერულ თრილერში თავიდან „შტუტგარტმა" ისეირნა მასპინძელთა დაცვაში და ორი გოლითაც დაწინაურდა, მაგრამ ტაიმის ბოლოს „ჰანოვერი" გაცოცხლდა და გათანაბრება მოახერხა.

ფორსელმა და ჰიცლშპერგერმა მატჩის მიწურულს თითო გოლი გაცვალეს და ამ ფრით ორივე გუნდის წაუგებელი სერია გაიზარდა: „შტუტგარტის" — ექვსამდე, „ჰანოვერის" კი შვიდამდე.

**ვაჟა ხუციშვილი**

### ტურის მატჩი

**ჰერტა 2:1 ბაიერნი**

1:0 ვორონინი (37), 1:1 კლოზე (61), 2:1 ვორონინი (77)

ჰერტა: დრობნი, შტაინი, ა. ფრიდრიხი, შიმუნიჩი, როდნი (კუფრე 87), დარდაი, ნიკუ, ებერტი (ჩერმიტი 90), ბაბიჩი, რაფაელი, ვორონინი (დომოვჩისკი 90)

მწვრთნელი: ლუსიენ ფავრი

ბაიერნი: რენსინგი, ლელი (ბოროვსკი 58), ლუსიო, დემიკელისი, ლამი, ვან ბომელი, ზე რობერტო, შვაინშტაიგერი, რიბერი, კლოზე, ტონი (დონოვანი 35)

მწვრთნელი: იურგენ კლინსმანი

გაფრთხილება: რაფაელი, დარდაი

მსაჯი: მაიერი

74 244 მაყურებელი

**ჰოფენჰაიმი 1:4 ლევერკუზენი**

0:1 ჰელმესი (3), 0:2 როლფესი (12), 1:2 სალიჰოვიჩი (30პ), 1:3 ჰელმესი (45), 1:4 კასტრო (49)

გაფრთხილება: გუსტავო ლუისი (ჰოფენჰაიმი), კადლეცი, ადლერი, კასტრო, ბარნეტა (ლევერკუზენი)

**კიოლნი 0:0 კარლსრუე**

გაფრთხილება: მოჰამადი, ვუჩიჩევიჩი (კიოლნი), და სილვა, ტიმი (კარლსრუე)

**ბოხუმი 2:1 შალკე**

0:1 კურანი (18), 1:1 აზაუაგი (44), 2:1 დაბროვსკი (57)

გაფრთხილება: შესტაკი, ეპალე, მავრაი, ფუხსი (ბოხუმი), რაფინია, ალთინთოფი (შალკე)

**აინტრახტი 0:2 ვოლფსბურგი**

0:1 ძეკო (9), 0:2 მისიმოვიჩი (65პ)

გაფრთხილება: შტაინჰოფერი, პრიოლი, ოჩსი, ფინკი (აინტრახტი), მისიმოვიჩი (ვოლფსბურგი)

**ჰანოვერი 3:3 შტუტგარტი**

0:1 გომესი (5), 0:2 ლანიგი (23), 1:2 შტაინერი (43), 2:2 კრჟინოვეკი (45), 3:2 ფორსელი (85), 3:3 ჰიცლშპერგერი (87)

გაფრთხილება: პინტო, ტარნატი, ბალიტჩი (ჰანოვერი), მანინი, ჰიცლშპერგერი, მარიკა (შტუტგარტი)

**ვერდერი 1:1 გლადბახი**

1:0 პიზარო (77), 1:1 ბრედლი (80)

გაფრთხილება: ციოლისი, ნალდო (ვერდერი), ბრედლი (გლადბახი)

**დორტმუნდი 1:1 კოტბუსი**

0:1 კაგდასი (31), 1:1 ფრაი (36პ)

გაფრთხილება: კელი, ტინგა (დორტმუნდი), ცებიგი, კაგდასი (კოტბუსი)

გაძევება: ლი (90, დორტმუნდი)

**ჰამბურგი 2:0 არმინია**

1:0 ტროხოვსკი (32), 2:0 გერერო (60)

ვიშნიაუსკასმა ვერ გაიტანა პენალტი (55, არმინია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰერტა | 20 | 12 | 4 | 4 | 32:23 | 40 |
| ჰოფენჰაიმი | 20 | 12 | 3 | 5 | 46:28 | 39 |
| ჰამბურგი | 20 | 12 | 3 | 5 | 31:27 | 39 |
| ბაიერნი | 20 | 11 | 5 | 4 | 43:28 | 38 |
| ლევერკუზენი | 20 | 11 | 3 | 6 | 43:27 | 36 |
| ვოლფსბურგი | 20 | 9 | 6 | 5 | 40:26 | 33 |
| შტუტგარტი | 20 | 9 | 5 | 6 | 35:28 | 32 |
| დორტმუნდი | 20 | 7 | 10 | 3 | 30:24 | 31 |
| შალკე | 20 | 8 | 6 | 6 | 26:19 | 30 |
| ვერდერი | 20 | 7 | 6 | 7 | 41:32 | 27 |
| კიოლნი | 20 | 7 | 4 | 9 | 22:28 | 25 |
| ჰანოვერი | 20 | 5 | 6 | 9 | 25:38 | 21 |
| აინტრახტი | 20 | 5 | 5 | 10 | 26:35 | 20 |
| არმინია | 20 | 3 | 9 | 8 | 18:31 | 18 |
| ბოხუმი | 20 | 3 | 8 | 9 | 23:33 | 17 |
| კოტბუსი | 20 | 4 | 5 | 11 | 16:33 | 17 |
| კარლსრუე | 20 | 5 | 2 | 13 | 18:36 | 17 |
| გლადბახი | 20 | 3 | 4 | 13 | 20:39 | 13 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| იბიშევიჩი (ჰოფენჰაიმი) | 18 |
| ჰელმესი (ლევერკუზენი) | 15 |

### II ბუნდესლიგა. XX ტური

ფიურტი — ფრანკფურტი 0:0; ობერჰაუზენი — ზანკტ პაული 3:2; ვეჰენი — კობლენცი 1:3; ალემანია — ნიურნბერგი 6:2; აუგსბურგი — დუისბურგი 1:1; ლაუტერნი — ინგოლშტადტი 2:0; მიუნხენი — ალენი 2:1; ოსნაბრიუკი — მაინცი 1:3; ჰანზა — ფრაიბურგი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფიურტი | 20 | 10 | 6 | 4 | 45:26 | 36 |
| მაინცი | 20 | 10 | 6 | 4 | 39:23 | 36 |
| ფრაიბურგი | 19 | 11 | 3 | 5 | 32:19 | 36 |
| ლაუტერნი | 20 | 10 | 5 | 5 | 36:25 | 35 |
| ალემანია | 20 | 9 | 5 | 6 | 35:25 | 32 |
| დუისბურგი | 20 | 7 | 8 | 5 | 28:21 | 29 |
| ნიურნბერგი | 20 | 7 | 8 | 5 | 29:23 | 29 |
